# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 27 მაისი 2000 №99 (1121) | ფასი 50 თეთრი






გუშინ ეროვნულზე: უგოლო 4 ტაიმის მერე პენალტების სერიაში გამარჯვებით „ლოკომოტივმა“ „ტორპედოს“ საქართველოს თასი ჩამოართვა

# ძოძუაშვილის ფასი: საქართველოს თასი!

## ტორპედომ თასი ვერ შეითავსა

საქართველოს თასს ახალი მფლობელი ჰყავს: თბილისის „ლოკომოტივი“ თასის გათამაშების ათწლიან ისტორიაში მისი მომგები მეხუთე გუნდია.

„ტორპედო“ მხოლოდ ოთხ დღეს, ორშაბათიდან პარასკევამდე იყო ერთდროულად ჩემპიონიც და თასის მფლობელიც. გუშინ კი ქუთაისელთა შარშანდელ ტიტულს „ლოკომოტივმა“ ნინ „ყოფილი“ დაუმატა.

თბილისელები ამ გამარჯვებამდე რევაზ ძოძუაშვილმა მიიყვანა. მან ზამთარში ჩაიბარა გუნდი, ნელ-ნელა ხელი დაატყო, გუშინ კი ახალგაჩემპიონებულ „ტორპედოს“ ისეთი თამაში დაუპირისპირა, რომელიც ქუთაისელთათვის დაუძლეველი გამოდგა.

„ტორპედოს“, როგორც შარშან „სამგურალთან“, ისე წლეულსაც ოთხ ტაიმს არ გაუტან-გაუშვია. გუშინაც საქმე პენალტების სერიამდე მიდგა და იქ გიორგი ლომაიამ იყოჩაღა — „ლოკომოტივის“ მეკარემ, ისევე როგორც მეოთხედფინალში „ვიტ ჯორჯიასთან“, ორი თერთმეტმეტრიანი მოიგერია და გათამაშების გმირადაც იქცა.

ქუთაისელები გამარჯვებულის კომპლექსმა დაალალატა: მათგან მხოლოდ ამ საქმეში გამოცდილ ირაკლი ზოიძეს ეჭირა ჩემპიონურად თავი. სხვებმა კი პირველობა ვერ შეიფერეს, რაც დავით ყიფიანს პირველი ქართული ტიტულის დაკარგვად დაუჯდა.


ფინალის რეპორტაჟი და მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია იხილეთ მეორე-მესამე გვერდებზე


# იგი წავა და კვლავ მოვა...




REUTERS მიუნხენიდან

ლოთარ მათეუსი: გმადლობთ! გმადლობთ!! გმადლობთ!!!

— ეს საღამო არასოდეს დამავიწყდება — თქვა თვალცრემლიანმა ლოთარ მათეუსმა, როცა მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“ შეკრებილი 47 ათასი მაყურებელი მის სახელს გაჰყვიროდა...

წუხელ დიდი ლოთარი ფეხბურთიდან გააცილეს. გერმანიის ნაკრები მიუნხენის „ბაიერნს“ შეხვდა. მატჩი ფრედ 1:1 დამთავრდა. ამ ამბის მონაწილე თავად დიეგო მარადონა გახლდათ, რომელიც კუბიდან საგანგებოდ ჩაფრინდა მიუნხენში. მარადონამ „ბაიერნის“ ათნომრიანი მაისურა მოირგო და პირველ ტაიმს გაუძლო. მეორეში ის მათეუსმა შეცვალა...

ისე, გაცილება ცოტა უცნაური კი გამოვიდა. მათეუსს ხომ ჯერ ევროპის ჩემპიონატი აქვს სათამაშო და როგორც ამბობს, მსოფლიოს და საკუთარი რეკორდის (146 მატჩი ნაკრებში) გაუმჯობესებას აპირებს...



REUTERS მიუნხენიდან

დიეგო მარადონა: ჩემი ძიპის ცხონებამ...

# საქართველოს თასი

# ფინალი

# ძოძუაშვილის ფასი: საქართველოს თასი

თბილისი
26 მაისი
19 საათი
ეროვნული
10 000 (ტევადობა 75 000)

**ლოკომოტივი 0:0 ტორპედო**

(0:0 დ.დ.) პენალტებით 4:2

0:1 ასათიანი, 1:1 გოგიჩაიშვილი, 1:2 კვეტენაძე, 2:2 ბალაშვილი, 2:2 ჩხეტიანი (მეკარე), 3:2 ჯიშკარიანი, 3:2 შეყრილაძე (მეკარე), 4:2 ხიზანიშვილი

**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ლ. მიქაძე, აბრამიძე (რუსია 78), გ. ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, კვარაცხელია, ჭიჭველიშვილი, ჯულელი (გ. ჩხაიძე 88), ხიზანიშვილი, ჯიშკარიანი

*სათადარიგონი:* ასლანაძე; კაციაშვილი, დ. გოდერძიშვილი, ონიანი, ძოძუაშვილი

**ტორპედო:** ზოიძე, იონანიძე, მახვილაძე (შეყრილაძე 98), კ. კვეტენაძე, გოგიაშვილი, დ. ჯანაშია (ასათიანი 79), ჩხეტიანი, თურმანიძე, ახვლედიანი, იმედაძე (მეგრელაძე 46), ხვადაგიანი

*სათადარიგონი:* ჭანტურია; მაღლაკელიძე, ამისულაშვილი, მ. ბობოხიძე

**გაფრთხილება:** ხიზანიშვილი (61), ჭიჭველიშვილი (66), ხვადაგიანი (83), კვეტენაძე (84), მახვილაძე (97), გოგიჩაიშვილი (116), შეყრილაძე (მატჩის შემდეგ თერთმეტმეტრიანების სერიისას)

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი); გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შილაკაძე (თბილისი)

**სფფ-ის დელეგატი:** ა. მილჩენკო

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 24-31; **დარტყმა:** 4-6; **კარში დარტყმა:** 5-6; **თამაშგარე:** 1-0

კობა ინასარიძე

...ТИТИКОС

...თითქოს გულმა უგრძნოო — ფინალური მატჩის 120 წუთი რომ ამოიწურა და არბიტრმა სერგო კვარაცხელიამ ჩასტვინა, ქუთაისის „ტორპედოს" მწვრთნელი დავით ყიფიანი სკამიდან წამოხტა, უკმაყოფილომ ფეხი მიწას დაჰკრა, ხელი ჩაიქნია. ეტყობა, იცოდა, „ლოკომოტივის" მეკარეს, გიორგი ლომაიას პენალტების მოგერიება რომ ეხერხება. მატჩამდე ყიფიანმა ეტყობა ისიც უთხრა ფეხბურთელებს, საქმე პენალტებამდე არ მიიყვანოთო.

თასის მფლობელი 90 წუთში უნდა გარკვეულიყო, დამატებით ნახევარ საათში მაინც — გუშინდელი თამაშით თასი „ლოკომოტივისთვის" იყო, მან აშკარად დაჯაბნა საქართველოს ჩემპიონი. ასეთი აზრი შეექმნათ მატჩის შემყურე ფეხბურთის სპეციალისტებსაც. „ტორპედომ" ზედიზედ მეორედ ფინალში პენალტების სერიაში ველარ იმარჯვა.

მოხდა რამე გასაკვირი? ვფიქრობთ, არაფერი. მოიგო გუნდმა, რომელმაც დაიმსახურა. „ლოკომოტივის" ოთხივე ფეხბურთელმა პენალტი უნაკლოდ შეასრულა. აი, ქუთაისელებმა კი...

ყიფიანისეულ ტაქტიკაზე ქვემოთ კიდევ ვიტყვით, თუმცა აქ, რაკი სიტყვა პენალტებზე ჩამოვარდა, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ „ტორპედოს" მწვრთნელის საკვირველი გადაწყვეტილება — მან პირველი 11-მეტრიანის დასარტყმელად სრულიად ახალგაზრდა, გამოუცდელი ასათიანი აარჩია. რატომ, ვერ გავიგეთ. დიდი შანსი იყო, ამ ბიჭისთვის ნერვებს ელალატა.

განა „ტორპედოში" დაილია უფრო საიმედო, გამოცდილი ფეხბურთელები? ძლიერი ნერვების პატრონი ყოფილა ასათიანი. აიღო ბურთი, გაისწორა და ლომაისაც აუღებელი დაურტყა. და რომ გაეცუდებინა, ვინმე რამეს ეტყოდა? ვის მოუტრიალდებოდა ენა? მერე ბურთთან მოედანზე მყოფთაგან ყველაზე გამოცდილი გოგიჩაიშვილი მივიდა, წარბი არ შეტოკებია, ისე გაიტანა. „ტორპედოს" კაპიტან კვეტენაძის ჯერი დადგა, მისი დარტყმულიც ზუსტი გამოდგა, მანაც, ასათიანის მსგავსად, მარჯვნივ შეაგდო. შემდეგ ამნისტირებულმა ბალაშვილმაც უნაკლოდ გაიტანა და საჯარიმოს ჩხეტიანი მიუახლოვდა. ბურთი ხან იქით გადაატრიალა, ხან აქეთ, წინ, უკან, ლომაიას დაბნევას ცდილობდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თავად დაიბნა — მანაც მარჯვენა კუთხე აირჩია. ლომაია გაფრინდა და მარცხენა ხელით ბურთი უკუაგდო. „ლოკომოტივის" მეკარემ საქმის ნახევარი გააკეთა, თანაგუნდელებს ყველა პენალტი ზუსტად უნდა შეესრულებინათ. რუსეთიდან მობრუნებული მიხეილ ჯიშკარიანის ჯერია — აუღებელი დაარტყა, 3:2 რკინიგზელთა სასარგებლოდ. ქუთაისელთა იმედი შეყრილაძეა, გაიტანს — „ტორპედოს" შანსი კიდევ რჩება. არა — მაშინ თბილისელებმა დარჩენილი ორივე პენალტი უნდა გააცუდონ, რაც ძნელი წარმოსადგენია. საბოლოოდ შეყრილაძესაც ლომაიამ აჯობა, მის დარტყმულს ფეხი გაჰკრა, ბურთი ძელს მოხვდა და ქუთაისელს დაუბრუნდა. ფატალური მომენტია. პენალტის ნიშნულთან ზურაბ ხიზანიშვილი მიდის. არანაირი ზედმეტი მოძრაობა, გაქანდა, დაარტყა და გზა გააგრძელა. მთელი „ლოკომოტივი" მას შეესია, თუმცა გმირი გვერდზე იყო — ფეხბურთელები მოტრიალდნენ და... გიორგი ლომაიას დააცხრნენ. ეს დიდი სიხარული გახლდათ — „ლოკომოტივი" თასის მფლობელია!



თასი „ლოკომოტივისაა"! — ეს-ესაა, ზურაბ ხიზანიშვილმა გამარჯვების მომტანი პენალტი გაიტანა

უნდა გენახათ რევაზ ძოძუაშვილი, ბავშვივით გაიხარა. ფეხბურთელები აბა, მას როგორ დაივიწყებდნენ, მისცვივდნენ მოხტუნავე, ხელებგაშლილ მწვრთნელს, აბურთავეს და აბურთავეს. ძოძუაშვილმა და „ლოკომოტივმა" წლევანდელ ერთ მიზანს მიაღწიეს — თასი დაიბევეს. პენალტებით? ეს არაა სათქმელი, თამაშით... რკინიგზელებს ახლა, 30-ში, ერთი პრინციპული მატჩიც ელით, რუსთავის „გორდასთან" თუ დამარცხდნენ და თსუ — „სამგურალმა" წყვილად გაიმარჯვეს, მაშინ იკითხეთ, „ლოკომოტივი" მეორე ჯგუფში დაქვეითდება.

ახლა მატჩზე, როგორც ვთქვით, უმეტესწილად თბილისელთა უპირატესობით რომ მიმდინარეობდა.

ძოძუაშვილის არჩევანი მოულოდნელი გახლდათ, ეფექტურიც. „ლოკომოტივმა" თამაში სამი თავდამსხმელით დაიწყო — ჯიშკარიანი, ჯულელი და გოგიჩაიშვილი ავიწროვებდნენ მეტოქის მცველებს, თუმცა ამ სამიდან ერთ-ერთი ხანდახან ოდნავ უკან იხევდა და სამ ნახევარმცველს ეხმარებოდა. თბილისელებმა შუა მოედანი საიმედოდ გადაკეტეს — კვარაცხელია, ჭიჭველიშვილი და ბალაშვილი ჯანიანი ბიჭები არიან და საქმე რომ ორთაბრძოლაზე მიდგებოდა, უმეტესად ისინი რჩებოდნენ გამარჯვებულნი. ბევრს და სასარგებლოდ მოძრაობდნენ, არც საკუთარი კარის დაცვა ავიწყდებოდათ. მცველები კი, გამოცდილი ჩიხრაძის მეთაურობით, იშვიათად ცდებოდნენ, აღარაფერს ვამბობთ მეკარეზე, რომელმაც ჩინებულად ითამაშა, მაგრამ არა ირაკლი ზოიძეზე უკეთ.

გუშინ ქუთაისელთა მეკარე დანარჩენ თანაგუნდელებზე ათი თავით მაღლა იდგა, მშვიდად და ზუსტად იგერიებდა ლოკომოტიველთა დარტყმებს. მან რომ იყოჩაღა, მატჩმა ორ საათს იმიტომაც გასტანა. ეროვნული სტადიონის განათების გადამკიდენი კი ვშიშობდით, დამატებით დროში მინდორზე ფეხბურთელებს მაინც თუ გავარჩევდით. ადრე რომ ჩამობნელებულიყო, მბჟუტავი პროჟექტორებით განათებულ მინდორზე არაფერი გამოჩნდებოდა.

ზოიძეზე ვამბობდით და ის მომენტები ვახსენოთ, „ტორპედო" რომ აშკარა გოლს გადაურჩა: მე-15 წუთზე მარჯვენაფლანგელმა მცველმა ზურაბ ხიზანიშვილმა ბურთიანად 30 მეტრამდე გაირბინა და ჯულელს ბურთი ისე მიაწოდა, გოლი გარდაუვალი ჩანდა. ზოიძემ იყოჩაღა.

ზუსტად 15 წუთში კი ზოიძემ ჯიშკარიანის ახლოდან ძლიერად, კუთხეში დარტყმული ბურთი კუთხურზე მოიგერია. ისე, ამათ შუა ჯანაშიას ჰქონდა ურეალურესი შანსი ანგარიშის გახსნისა, მაგრამ მიქაძის ზურგსუკან და ლომაიას ცხვირწინ გოგიაშვილის პასით დარჩენილმა ბურთი კარს ააცილა.

„ტორპედომ" მრავალჯერ ნაცადი და ყიფიანისთვის ჩვეული ტაქტიკით ითამაშა — სამი შუა მცველით, ხუთი ნახევარმცველით, რომელთაგან ორ განაპირას — ახვლედიანსა და ჩხეტიანს მთელი ფლანგის კონტროლი ევალებოდა და ორი თავდამსხმელით, რომელთაც იონანიძე ეშველებოდა.

ლოკომოტიველები მეტოქეს მათსავე ნახევარზე მჭიდროდ ეთამაშებოდნენ და „ტორპედოც" იძულებული იყო, ბურთი დიდხანს ეგორებინა, თან არჩევდა, უპრიანი საიდან იქნებოდა შეტევა. ქუთაისელებს ასე ბევრი არაფერი გამოსვლიათ. ზემოხსენებული მომენტის გარდა ძირითად დროში ლომაიას ერთხელაც დაემუქრნენ მე-40 წუთზე — ჯარიმიდან გოგიაშვილის სახიფათოდ დარტყმული ბურთი მეკარემ კუთხურზე გადააგდო.

გუშინ „ტორპედო" ძალიან ფრთხილობდა, რაც საბოლოოდ მისთვის წამგებიანი გამოდგა. ეს შესვენების შემდეგ უფრო თვალშისაცემი გახლდათ, თუმც დროის ისეთი მონაკვეთიც იყო, როცა სტუმრები დომინირებდნენ მოედანზე.

შვიდი-ათი წუთი „ლოკომოტივი" დაბნეული თამაშობდა და ბურთიც ხშირად ტორპედოელებს ჰქონდათ. ეს მაშინ, როცა ძოძუაშვილმა ერთი მცველი თავდამსხმელით შეცვალა და ბალაშვილი დასწია უკან, მის ადგილზე კი ერთობ აქტიურმა გოგიჩაიშვილმა დაიხია.

მატჩი სულ 4 წუთის განახლებული იყო, სწორედ გოგიჩაიშვილი რომ დარჩა ზოიძესთან პირისპირ: ჯიშკარიანმა ბურთი საკუთარი ნახევრიდან წაილო. ჯულელმა ცენტრთან ახლოს თურმანიძეს არ მისცა საშუალება, ჯიშკარიანს შეხვედროდა, ტანი ჩაუდგა, მანაც გოგიჩაიშვილს გადააწოდა ბურთი, ზოიძემ კარი დატოვა, თბილისელმა თავზე გადაატარა. გოლი? არა, ბურთი ხარიხას მოხვდა. იმავე ჯიშკარიანმა ხარიხიდან ასხლეტილს თავური მიაყოლა, მაგრამ ცარიელ კარს ააცილა. ამ დროს უკვე „ლოკომოტივის" უპირატესობა აშკარა გახლდათ.

გუშინ თამაში არ გამოუვიდა „ტორპედოს" მთავარ დამრტყმელ ძალას — იონანიძე მასპინძელთა მარწუხებში მოქცეულიყო. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ თითქმის ნახევარ საათში ბურთი სულ ერთხელ თუ ორჯერ მიიღო. ყიფიანმა დააგვიანა ჯანაშიას შეცვლაც. ალბათ აჯობებდა, ასათიანისთვის ადრე მიეცა თამაშის საშუალება. ჯანაშია ინერტული იყო, მცველებს საიმედოდ „დაეკეტათ" და თავისი კოზირის — სისწრაფეში ბურთის მიღების გამოყენების საშუალება არ მიეცათ. სწორედ ასათიანის მოედანზე შესვლის შემდეგ დადგა ის დრო, რაზეც ზემოთ ვთქვით. ასათიანს იონანიძის ადგილზე დაავალა ყიფიანმა თამაში, ჩემპიონატის ბომბარდირი კი წინ, მეგრელაძეს შეუწყვილა, თუმცა ამას ძოძუაშვილის საპასუხო სვლა მოჰყვა — ჯულელის ნაცვლად ჩხაიძე. — ლოკომოტივი" დალაგდა, რამდენიმე წუთში კი ძირითადი დროც დამთავრდა.

„ტორპედოს" თვალი კვლავ შეტევისკენ უჭირავს, თუმცა ყიფიანის ჟესტით ფეხბურთელები დაცვას აძლიერებენ. 96-ე წუთი. გოგიჩაიშვილმა ცენტრიდან, მარცხენა ფლანგიდან წაილო ბურთი. გზად ასათიანი მოატყუა, მერე ჩხეტიანი, საპირისპირო მხარეს გადაინაცვლა, თურმანიძეც ამათ მიაყოლა და ზოიძესთან ისევ პირისპირ დარჩა, ჭვინტით ეშმაკურად და კარგად დაარტყა, მაგრამ მეკარემ არ გაატანინა, კვლავ ივარგა.

მერე 5 წუთი ბურთი მოედნის შუაში გორაობდა. 103-ზე კი მეგრელაძის თავურს ლომაიას ჩინებული რეაქცია მოჰყვა, ბურთი კარის ხაზზე გააქვავა. ზუსტად სამ წუთში, ზუსტად ასეთივე მომენტი შეიქმნა „ტორპედოს" კართან — რუსიამ ბურთი ზოიძეს ხელებში ჩაუგდო. კიდევ სამ წუთში ასათიანმაც დაურტყა ლომაიას თავით, მაგრამ კარს ააცილა. დაბოლოს, 110-ე წუთზე ხვადაგიანისა და თურმანიძის შეუთანხმებლობით რუსიას შეეძლო ესარგებლა, თუმცა ზოიძე იქ არ იყო? მან თავდამსხმელს დაასწრო და არ დაარტყმევინა.

მერე კი ათი წუთიც მიილია. დავით ყიფიანი სკამიდან წამოხტა და... დანარჩენი დასაწყისში ეწერა, მაგრამ არა ის, რომ გიორგი ლომაიამ საქართველოს თასის მეოთხედფინალში „ვიტ ჯორჯიასაც" ორი პენალტი აუღო და გუნდს გაამარჯვებინა, „ტორპედოს" დუბლი არ გააკეთებინა.



ფინალის ტრიუმფატორი რევაზ ძოძუაშვილი ძირითადი დროის შემდეგ ლოკომოტიველებს მოძღვრავს

## პრესკონფერენცია

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ორივე გუნდის თავკაცი გამოცხადდა. დარბაზში ჯერ „ლოკომოტივის“ წარმატების მთავარი სულისჩამდგმელი რევაზ ძოძუაშვილი შემოვიდა, ცოტა ხანში კი უხასიათოდ მყოფი დავით ყიფიანიც შემოჰყვა. დამარცხებულს კომენტარი რომ ვთხოვეთ, გაიკვირვა, რა, მატჩს არ უყურეთო, მერე კი...

— დამსახურებულად გაიმარჯვა „ლოკომოტივმა“ და ამიტომ კიდევ ერთხელ მივულოცავ. თამაშის წინ ერთი ამბავი იყო, ჰიპოთეზები შეითხზა. მატჩი ჩაწყობილიაო. რა ეტყობოდა ამ შეხვედრას ჩაწყობილის?

ამ მარცხში ყველაზე მეტად ბრალი თავდასხმას მიუძღვის. დავით ჯანაშია, ზურაბ იონანიძე, გიორგი იმედაძე და გიორგი მეგრელაძე აშკარად ვერ იყვნენ ფორმაში. განსაკუთრებით იონანიძე, დღეს მინდორზე მისი აჩრდილი ვნახეთ. ეს ძირითადად გადაღლილობით აიხსნება, სეზონი სრულდება, ფეხბურთელებიც გამოიფიტნენ. 29 აპრილის მერე, თუ არ ვცდები, მეცხრე შეხვედრა ჩავატარეთ. ყველა მნიშვნელოვანი იყო. მარტო სამჯერ თბილისის „დინამოს“ ვეთამაშეთ. ეს ჩავარდნაც ამას მოჰყვა.

**— ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ გუნდში დისციპლინა ხომ არ მოიშალა?**

— ბოლო ცხრა თვის მანძილზე, რაც მე „ტორპედოში“ ვარ, რკინისებური დისციპლინა სუფევს. ვინც იგი დაარღვია, საკადრისადაც დაისაჯა, თუ ფინანსურად, თუ ისე. გიგიაშვილიც გამოდგება მაგალითად. ერთი დაყვირება ძირითადში ადგილის დაკარგვად დაუჯდა. კარგა ხანს სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

**— სეზონის ბოლოს გიორგი იმედაძე კიევის „დინამოში“ აპირებს წასვლას, გიორგი მეგრელაძესაც აქვს რაღაც ვარიანტები. ალბათ, ახალი თავდამსხმელების მოძებნა მოგიწევთ?**

— იმედაძის სანახავად დღეს საგანგებოდ იყვნენ ჩამოსულნი. კიევის „დინამოს“ წარმომადგენლები ესწრებოდნენ შეხვედრას. როგორ ფიქრობთ, მოეწონებოდათ მისი თამაში? ისე, გუნდიდან ვინც წავა, მის შემცვლელს მოვძებნით, არ გაგვიჭირდება.

**— დღევანდელი მარცხი „ტორპედოში“ თქვენს შემდგომ მუშაობაზე ხომ არ იმოქმედებს?**

— ვერ გეტყვით. აქამდე ამაზე საუბარი არ ყოფილა. სეზონის დამთავრების შემდეგ დავსხდებით და დავილაპარაკებთ. გააჩნია, ჩემგან რას მოითხოვს კლუბის ხელმძღვანელობა. ჩემპიონთა ლიგის მოგება თუ მომთხოვეს, ქუდს დავიხურავ და წავალ. ლიგის მოგება კი არა, დღევანდელ პირობებში ევროტურნირებზე ღირსეული გამოსვლაც კი არარეალური მგონია.

*რევაზ ძოძუაშვილი:*

— თამაშის წინ მცირე უპირატესობა, ვფიქრობ, ჩვენს მხარეს იყო. ქუთაისის „ტორპედომ“ ამ მატჩამდე ჩემპიონობა მოიპოვა და ისეთი მობილიზებულები ვერ იყვნენ, ჩვენ კი — პირიქით, თასის მოსაგებად ვიყავით შემართულნი და მიხარია, მიზანს რომ მივაღწიეთ. მგონი, კარგი თამაში გამოვიდა დაძაბული, საინტერესო. ფორტუნამაც გაგვიღიმა. ბედი რომ არა, ვერ მოვიგებდით.

**— მეორე ტაიმის მსვლელობისას შეცვლა განახორციელეთ. აბრამიძის ნაცვლად რუსია შემოიყვანეთ და თითქოს შეტევა გააძლიერეთ, თუმც იქვე მეორე ცვლილებაც მიაყოლეთ. ფორვარდი ჯულელი მცველი ჩხაიძით შეცვალეთ. რამ განაპირობა ყოველივე?**

— ჯულელის მინდვრიდან გამოყვანა იძულებითი გახლდათ. მისი შეცვლა სულაც არ მინდოდა. იგი მინდორზე ყოველთვის სახიფათოა, თანაც პენალტსაც ჩინებულად ურტყამს, მაგრამ ტრავმა მიიღო და... მის შეცვლას ტაქტიკური გადანაცვლებები მოჰყვა, ბალაშვილი მარჯვნივ გადმოვიდა, ხიზანიშვილმა დაცვის ცენტრში შეიწია აბრამიძის ადგილზე, გია ჩხაიძე კი მარცხნივ გავამწესე. საბოლოოდ ყველაფერი კარგად დასრულდა.

**— თასი კი აიღეთ, მაგრამ ბოლო ტურში „გორდასთან“ წაგების შემთხვევაში, მეორე ლიგაში დაქვეითება გემუქრებათ. დღევანდელი მატჩის შემდეგ გუნდი გადაღლილი იქნება, არ გაგიჭირდებათ?**

— „ლოკომოტივის“ სათადარიგო შემადგენლობაში დღეს ხუთი-ექვსი ისეთი ფეხბურთელი გვყავდა, ნებისმიერ დროს შეიძლება მათი ნდობა. ერთი სიტყვით სრულფასოვანი შემცვლელები გვყავს. ჩვენც „გორდასთან“ თამაშის წინ რამდენიმე ცვლილებას მოვახდენთ. მჯერა, ყველაფერი კარგად დასრულდება.

ვანო ოქროპირიძე



ბაჩო კოპალიანის ფოტო

მიხეილ მახვილაძე (№3) და მიხეილ ჯიშკარიანი



ბაჩო კოპალიანის ფოტო

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებული კახა გოგიჩაიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

გიო ახვლედიანის სვეტი

## ათი წლის წინათ

ათი წლის წინათ, სწორედ აი, ამ დღეს, 27 მაისს ძალიან კარგი ამინდი იყო. მაისი საერთოდაც საუკეთესო თვეა ჩვენს სინამდვილეში. ადრიან დილიდანვე წავეყარენით ერთმანეთს და გავსწიეთ წყლისპირას, ლუდის დარბაზისკენ, სადაც კარგა მადლიანად მივაძეხით შებრაწულ ნეკნებსა და კუპატსა, ასევე ლუდსაც.

საზოგადოდ, მაშინ კარგი დრო იყო იმ მხრივ, რომ თავისუფლების სურნელი და თან გაზაფხული. მაშინ იხსნებოდა თბილისში ნამცხვრებიანი კოპერატივ-კაფეები, სადაც გოგოები ღიად ეწეოდნენ პაპიროსებს. იმხანად შემოსული იყო ჩინური ლუდი თეთრ ქილებში, ბრინჯისა, რაიც რვა მანეთი ღირდა. პერესტროიკის ბოლო წელიწადი იწყებოდა და მიტინგები უკვე თავისუფლად ტარდებოდა. სკვერებში აქაიქ კარვები იდგა, ფეხბურთი კი კვდებოდა იმ თვალსაზრისით, რომ ხალხი პოლიტიკაზე გადართულიყო. ცოცხლობდა იმ თვალსაზრისით, რომ დამოუკიდებელი გამხდარიყო, მაგრამ ჯერ არავის ეცნო.

დიახ, ძალიან კარგი დრო იყო, ზუსტად ათი წლის წინათ დღევანდელ დღეს — 27 მაისს.

თებერვალში საქართველომ საფეხბურთო დამოუკიდებლობა გამოაცხადა დიდი სკანდალით და გაწევ-გამოწევით ჰადრაკის სასახლეში. და აი, ახლა, ჩვენ ლუდის დარბაზიდან გამოვედით, მაღლა ამოვუყევით, მუშტაიდის კიდეს გამოვყევით და სტადიონს მოვადექით. ზუსტად ათი წელი გავიდა — საქართველოს ნაკრები მაშინ პირველად გავიდა მოედანზე გივი ნოდიას ხელმძღვანელობით და ეთამაშა ლიტვისას. ეგებ ამაში პირობითობაც ერია — ლიტვის ნაკრებს „ჟალგირისის“ მწვანე ფორმა ეცვა, „ჟალგირისი“ იყო და ბენიამინას ზელკიავიჩუსი წვრთნიდა. ჩვენებს უბრალო თეთრი მაისურები და შავი ტრუსები ეცვათ მკერდზე გაკრული ხელით ეწერათ „საქართველო“ და შავწითელი ნიშანიც ჰქონდათ გულთან. სტადიონი სავსე არ იყო, მაგრამ ცარიელიც არ ეთქმოდა. საქართველო 1:2-ს აგებდა, მაგრამ მაინც ფრედ დაამთავრა შეხვედრა. დიდი არაფერი თამაში გამოდგა, მაგრამ ათი წელიწადი კი გასულა და მთავარი ის იყო, რომ ეს თამაში შედგა. მაშინ ხომ ამბობდნენ, დამოუკიდებლობა უფსკრულში გადაჩეხავს ქართულ ფეხბურთსო. ათი წელი გავიდა და დღევანდელი ამბავი გვეუბნება, რომ ქართული ფეხბურთი დამოუკიდებლობას არ გადაუჩეხია უფსკრულში, არამედ იმას რომ დამოუკიდებლობას პატიოსნება და ცოდნა უნდა ახლდეს თან.

იმ დღეს კი სტადიონზე გამოაცხადეს, სამაჩაბლოში ძალიან ცუდი რამეები მოხდა და ყველამ კინოს სახლთან მოვიყაროთ თავიო. ბევრი გამოცხადებისთანავე წამოიშალა. სრული უმრავლესობა ხომ იმიტომ იყო მოსული, რომ ამ თამაშს პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

მე კი მგონია, რომ სტადიონზე დაფა უნდა გაკეთდეს — აქ, პირველად ითამაშა საქართველოს ნაკრებმა, ამადაამ წელს, ამადაამ დღეს, ამადაამ გუნდთანო და იმ მატჩის მონაწილე ყველა ქართული ფეხბურთელის სახელი და გვარი ჩამოიწეროს.

# ნაკრებს შემცირება ემუქრება

## საქართველოს ეროვნული გუნდი აზერბაიჯანს ჯამარაულის, ყაველაშვილის და ზაზა ჯანაშიას გარეშე ეწვევა

ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ 4 ივნისს ბაქოში „ტოფიკ ბახრამოვზე“ საქართველოს ეროვნული ნაკრები აზერბაიჯანისას ძირითადი შემადგენლობის სამი წამყვანი ფეხბურთელის გარეშე დაუპირისპირდება. ზაზა ჯანაშია ნამდვილად ვერ ითამაშებს, ამას წყალი არ გაუვა, აი, შვეიცარიული „ციურიხის“ ქართველი ლეგიონერების — გოჩა ჯამარაულისა და მიხეილ ყაველაშვილის საკითხი კი ჯერაც გასარკვევია, თუმც ძალიან მცირე შანსია იმისა, რომ დუეტი ნაკრებს დაეხმაროს. ამის შესახებ გუშინ თავად ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელებმა დავით ყიფიანმა და რევაზ ძოძუაშვილმა განაცხადეს.

მოგეხსენებათ, ორ თვეზე მეტია, ეროვნული ნაკრების ფორვარდ, ერთ დროს ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპისგან შერისხულ ზაზა ჯანაშიას ტრავმა აწუხებს. ამ მიზეზით ვერც აპრილში სომხეთის ნაკრების წინააღმდეგ სტუმრად გამართულ მატჩში მიიღო მონაწილეობა.

ახლა იგი უკვე გამოჯამრთელდა და ორიოდე დღეა, გუნდთან ერთად ვარჯიშსაც შეუდგა, როგორც ვიცით, ზედმეტი წონაც აწუხებს, ამიტომ მისი გამოძახებისაგან ამჯერად თავს შევიკავებთ. ზაზა ისეთი ფორვარდია, სკამზე ვერ დავსვამთ, ეს არც გვჭირდება. მას თუ გამოიძახებ, უნდა ათამაშო კიდეც, ახლა კი ფორმაში არაა და ამას ვერ შევპირდებით. სჯობს, რომელიმე ახალგაზრდა და გამოუცდელი გამოვცადოთო, თქვეს მწვრთნელებმა.

ყიფიანისგან ისიც შევიტყვეთ, რომ ზაზას ნაკრებისადმი დამოკიდებულებაც შეუცვლია. „კარგია, რომ ჯანაშია ეროვნულ გუნდს ბოლო დროს სერიოზულად ეკიდება. ადრე, თავადაც იცით, როგორ ჭირდა მასთან დაკავშირება და ნაკრებში მოწვევა. ეს პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, ახლა კი თავად გვიკავშირდება და გუნდში თამაშის სურვილსაც გამოთქვამს“ — ესეც ყიფიანმა განგვიცხადა.

რაც შეეხება ჯამარაულსა და ყაველაშვილს, მათ „ციურიხს“ შვეიცარიის ჩემპიონატში ორი უმნიშვნელოვანესი მატჩი აქვს სათამაშო. ივნისის პირველ რიცხვებში უმაღლეს დივიზიონში დარჩენისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტებს — „ბელინცონასა“ და „არაუს“ ხვდება და ქართველთა დახმარებაც სჭირდება. „ციურიხის“ ხელმძღვანელობა საქართველოს ნაკრების თავკაცობას დაკავშირებია და მათი მიწვევისგან თავის შეკავებაც უთხოვია. საბოლოო პასუხი არ გაგვიცია, ჯერაც ვფიქრობთო, აღნიშნა ყიფიანმა. თანაც დაამატა, 4 და 10 ივნისი თუ უეფას მიერ ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად გამოყოფილ დღეებად არ ითვლება, მაშინ შვეიცარიელებს სრული უფლება აქვთ, ჩვენებურები არ გამოუშვანო. ეს ალბათ ასეც მოხდება, რადგან „ციურიხის“ ელიტაში დარჩენა-არდარჩენის საკითხი ჯერაც ბეწვზე ჰკიდია.

შეგახსენებთ, იგივე მიზეზის გამო ნაკრების ხელმძღვანელობამ გიორგი ქინქლაძის („დერბი ქაუნთი“), ალექსანდრე იაშვილისა და ლევან კობიაშვილის (ორივე „ფრაიბურგი“) გუნდში მიწვევისგან თავი შეიკავა. ალბათ, ამ შემთხვევაშიც ასე იქნება.

სამაგიეროდ, გუშინ ქვეყნის თასის ფინალში „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ კარგი თამაშის შემდეგ „ტორპედოს“ მეკარე ირაკლი ზოიძე, ალბათ, ნაკრებში გამოძახებულ სამ გოლკიპერს — სოსო გრიშიკაშვილს, დავით გვარამაძესა და ნიკოლოზ ტოგონიძეს შეუერთდება.

საბოლოო შემადგენლობას ყიფიანი და ძოძუაშვილი უახლოეს მომავალში დაადგენენ. დანარჩენიც შემდეგისთვის იყოს.

ვანო ოქროპირიძე

# დინამო ორშაბათს და 7 მილიონს ელოდება

— ვინ ანგრევს „დინამოს"? აი, ესაა საკითხავი და გთხოვთ, ამით დავიწყოთ — „დინამოს" გენერალურმა მდივანმა ვაჟა ჟვანიამ არჩევანიც არ დამიტოვა, სათქმელს ისე მოჰყვა...

ცუდ დღეშია დღეს ჩვენი ფეხბურთის ფლაგმანი დღე არ გავა, ვინმემ „დინამოზე" რაიმე არ თქვას. ზოგი ჭორია, ზოგიც მართალი, ფაქტი კი ის არის, რომ ამ ლაპარაკ-ლაპარაკში, სენსაციურ განცხადებებსა და მტყუან-მართლის რჩევაში უკან და უკან მიდის კლუბის საქმე. პირველ ყოვლისა, შედეგს ვგულისხმობ — წარუმატებლობა ქვეყნის ჩემპიონატისა და თასის გათამაშებაში და თითქმის ევროსარბიელს მიღმა დარჩენა. თითქმის იმიტომ, რომ ათვზის ჩემპიონს უეფას თასზე მოხვედრის არცთუ დიდი შანსი აქვს (ინტერტოტოზე თამაში კი კლუბის თავკაცებმა იუარეს) და ვალიც მრავლად დაუგროვდა. ვალი, რომელიც კლუბის ახალი ხელმძღვანელების გადასახდელია...

რა ხდება „დინამოში"? — სიმართლე გითხრათ, ვაჟა ჟვანიასა და კლუბის პრეზიდენტ მერაბ რატიანთან საუბრის დაწყებას ამ კითხვით ვაპირებდი, მაგრამ... მაშ ასე, ვინ ანგრევს დინამოს?

*ვაჟა ჟვანია:* — „დინამოს" მისი ძველი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ანგრევს. ყოველივეს მიზანმიმართულად აკეთებს.

**— კი მაგრამ, რა მიზეზი აქვს საამისოდ?**

— ის, რომ თავის მანკიერებებს მალავს... „დინამოს" პრეზიდენტობისას მერაბ ჟორდანია და დავით ყიფიანი (გუნდის მაშინდელი მთავარი მწვრთნელი) საქართველოს პრეზიდენტს სუპერკლუბის შექმნას დაჰპირდნენ. შევარდნაძემაც ყველაზე დიდი შეღავათი გასწია — გადასახადებისგან გაათავისუფლა კლუბი. რა გამოვიდა აქედან? სად არის სუპერდინამო? ჟორდანიამ თავისი საქმიანობით კატასტროფამდე მიიყვანა ეს გუნდი. სწორედ ამის შედეგია ის, რომ დღეს ამდენი ვალი გვაწევს კისერზე. ბუნებრივია, ამას გადავიხდით, მაგრამ ჩვენსასაც მოვითხოვთ. ჟორდანიას ფული აქვს დასაბრუნებელი და ამის გაკეთება მოუწევს.

**— რა ფულზე ლაპარაკობთ და რამდენია იგი?**

— ეს არის ძირითადად ფეხბურთელების ტრანსფერიდან შემოსული თანხები. სად არის კობიაშვილის, იაშვილისა და ალექსიძის გაყიდვით მიღებული ფული. ჟორდანიას „დინამოსი" შვიდ მილიონამდე მართებს და ჩვენ მის დაბრუნებას ვითხოვთ.

**— სხვათა შორის, „დინამოსთან" დაკავშირებით კომპლექსური გამოძიება მიმდინარეობს. შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ ეს ფული ვერც მიიღოთ. რას აპირებთ ასეთ შემთხვევაში?**

— რა გამოძიებაზეა საუბარი, ვიცი, რასაც ნიშნავს ეგ კომპლექსური გამოძიება, შეეკვრებიან ერთმანეთს და საქმეს არაფერი ეშველება. რაც შეეხება რეზერვს, არსებობს კახა კალაძის ტრანსფერი, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ 50 პროცენტი „დინამოს" კუთვნილებაა. იმედი გვაქვს, რომ ამ თანხასაც მოგვცემენ, მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო ის ფაქტორი, რომ ჩვენს წინააღმდეგ სერიოზული კამპანიაა გაჩაღებული. გვებრძვიან ფედერაციის ხელმძღვანელები, მათი ძალისხმევით მსაჯებმა რა დღეშიც ჩაგვაგდეს, ყველამ დაინახა... რა უფლება აქვს სახელმწიფოს კანცელარიის მოხელეს თედო ისაკაძეს, რომ ამბობს, „დინამოზე" ტენდერი უნდა გამოცხადდეს და კლუბი ინვესტორებმა ჩაიბარონო. როგორ, როცა არსებობს კლუბის დირექტორატი (სპორტკლუბ „დინამოს" საბჭო) და კლუბს პატრონი ჰყავს, იგი ვინმეს საკუთრება უნდა გახდეს?

*მერაბ რატიანი:* „დინამოს" ირგვლივ ასეთი საყოველთაო სჯა-ბაასი იმიტომაცაა ატეხილი, რომ ვერ წარმოუდგენიათ, აქამდე ამ კლუბმა როგორ მიაღწია. უამრავი მაგალითი გვაქვს საიმისოდ, თუ რამდენმა გუნდმა ვერ გაუძლო გაჭირვებულ ყოფას და დაიშალა, ჩვენ კი ისეთი ტრადიციები გვაქვს, რომ ამას არ დავუშვებთ. „დინამო" გაივლის ამ დაძაბულ ეტაპს და გარწმუნებთ, მალე ფეხზეც დადგება. გაჭირვების მიუხედავად, ნახეთ, წლეულს რა შედეგი გვქონდა. ელემენტარულად არ დავმარცხებულვართ არც თასზე, არც ჩემპიონატში და ის, რომ ვერც თასი ავიღეთ და ვერც ჩემპიონები გავხდით, იმ მსაჯების ნამუსზე იყოს, სხვათა დავალებით რომ მოქმედებდნენ.

**— ორიოდე დღის წინ ინტერტოტოს თასზე მონაწილეობაზე უარი განაცხადეთ...**

— რა აზრი აქვს, ჯერ ერთი, არც ისე პრესტიჟული ტურნირია, მეორე და მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ იქ მონაწილეობისთვის 50 ათას შვეიცარიულ ფრანკს ავიღებთ, ეს თანხა კი გზის ხარჯებს — ჩასვლა-ჩამოსვლას და სტუმრების მიღებასაც ვერ აუვა. სამწუხაროდ, დღეს ამგვარად არ ვართ მოწყობილი. ისე კი ევროსარბიელზე მოხვედრის შანსი ჯერაც არ დაგვიკარგავს. „ტორპედოს" იმედი გვაქვს, მჯერა, ეს გუნდი ბოლომდე იბრძოლებს „ვიტ ჯორჯიასთან".

**— დიდი რეზონანსი გამოიწვია იმ განცხადებამ, რომ „დინამოს" უკლებლივ ყველა ფეხბურთელი ტრანსფერზეა დაყენებული...**

*ვაჟა ჟვანია:* ეს არის ელემენტარულად ცივილიზებული საფეხბურთო მეურნეობა. ჩვენი მიზანია, ყველაფერი გამჭირვალედ ხდებოდეს, ყველამ ყველაფერი იცოდეს. რას ხედავთ ამაში უჩვეულოს, ფეხბურთელებმა საზღვარგარეთ თამაშის სურვილი გამოთქვეს და ჩვენც ისინი ტრანსფერზე დავაყენეთ. ბევრ დინამოელის საქართველოში თამაში მართლაც საცოდაობაა, ეს იმის ბრალია, რომ არარაობაა ჩვენი ჩემპიონატი. კონტრაქტი დოგმა არ არის, ვისაც წასვლა უნდა, წავა კიდეც.

*მერაბ რატიანი:* ბევრმა ეს განცხადება არასწორად გაიგო, მართალია, ოცდაორივე ფეხბურთელი ტრანსფერზე დავაყენეთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა გაიყიდება. ჩვენი მიზანი რამდენიმე ფეხბურთელის გაყიდვაა, ამ ჭაობიდან რომ ამოვიდეთ, მაგრამ ძირითად ბირთვს ალბათ შევინარჩუნებთ, მათ ნიჭიერ ახალგაზრდებს დავუმატებთ, გუნდში გამოცდილ, მცოდნე სპეციალისტს მოვიწვევთ და საქმეც აეწყობა. მომავალს იმედით ვუყურებთ.

**— სხვათა შორის, გუნდის მთავარი მწვრთნელის საკითხი კვლავაც ღიად რჩება. რა ხდება ამ მხრივ?**

*ვაჟა ჟვანია:* გვინდა, რევაზ ძოძუაშვილს, ალექსანდრე ჩივაძეს და სერგო კუტივაძეს დაველაპარაკოთ, მაგრამ არ ვჩქარობთ. არც არის საჩქარო, ჯერჯერობით მატერიალურ-ტექნიკური ბაზაა მოსაწესრიგებელი... კორღალიძის და ჩვენს ურთიერთობას ათასნაირად მოსდევს ჩირქი, მისი გუნდიდან წასვლა ვიღაც-ვიღაცეებმა მოინდომეს და ეს ოთარმაც მშვენივრად იცის. ისე, ეს პროცესი „დინამოს" რამდენიმე ფეხბურთელმაც დააჩქარა და მათ სინდისზეც იყოს.

*მერაბ რატიანი:* სანამ მწვრთნელს მოვიწვევთ, ჩვენს შესაძლებლობებზე და სასურველი კანდიდატების მიე... შემოთავაზებულ პირობებზეც უნდ... ვიფიქროთ, ამიტომაც არ ვჩქარობთ... გვინდა ბოლომდე, საფუძვლიანად ა... წონ-დავწონოთ ყველაფერი.

**— ამას წინათ იტალიელი სპე... ციალისტის ჯანი კარნევალის „ბა... თუმიდან" „დინამოში" გადასვლა... ზეც საუბრობდნენ.**

— გაუგებარია, საიდან წამოვიდ... ასეთი საუბარი, გაკვირვებული და... ვრჩი, კარნევალის ამის თაობაზე არც შევხვედრივართ.

**— ცნობილია, რომ 31 მაის... იწურება ტბს ბანკისთვის ვალის... დაბრუნების ბოლო ვადა...**

*ვაჟა ჟვანია:* ამ დღეისთვის „დინამოს" ტბს ბანკისთვის ვალი გასტუმ... რებული ექნება, ისე რომ იცოდე... ვალის ნაწილი, 80 000 დოლარი უკვე... დაფარული გვაქვს, ჩვენ გვაქვს იმის... საშუალება, რომ ვალის დარჩენილი... თანხა სრულად მოვიძიოთ (131 ათასი... დოლარი) და დავალიანება დავფარო...

**— ვალის გადახდის უმოკლეს... გზად ბევრი ახალი ვალის აღებას... თვლის...**

*მერაბ რატიანი:* რას ამბობთ, ეს ჩვენთვის კატასტროფა იქნება, თანაც ვინ გვასესხებს ფულს. „დინამოს" იმიჯი ხომ ფაქტობრივად ნულზე დასცეს. არადა, იყო პერიოდი, მილიონი რომ დაგვჭირვებოდა, ერთ დღეში ვიშოვიდით, მაგრამ... გამოვალთ ამ მდგომარეობიდან.

*ვაჟა ჟვანია:* ფედერაციას რომ აშვეთია-კიკნაძე-ანჩაბაძის ტრანსფერი არ შეეფერხებინა, გარწმუნებთ, დღეს უვალოდ ვიქნებოდით, მაგრამ ხელის შეშლის მეტს არაფერს გვიკეთებდნენ, ამასაც მოვუვლით, მალე ყველაფერს თავის სახელი დაერქმევა. ყოველივე ცივილიზებული გზით მოხდება, არ გვჭირდება ჩვენ არავის „კრიშა". ჩვენ გვინდა პიროვნება, რომელიც ლობირებას გაუწევს კლუბს, როგორც მსოფლიოში მიღებული ცივილიზებული წესია. ეს ტერმინი საქართველოშიც უნდა დამკვიდრდეს.

ორშაბათს ამ პიროვნების ვინაობასაც გაიგებთ.

**პაატა ძვანტალიანი**




# ესპანელთა კვირეული

## ოთხშაბათს ესპანელებმა ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშეს, დღეს ქვეყნის თასისთვის იბრძოლებენ

### ესპანეთი

დღეს ესპანეთის თასის ფინალია. სამეფო თასის ცხრაგზის მფლობელი მადრიდის „ატლეტიკო“ და ორგზის გამარჯვებული ბარსელონის „ესპანიოლი“ ვალენსიაში, „მესტალას“ სტადიონზე შეერკინებიან ერთმანეთს. ამ ჯილდოს მოპოვების რაოდენობის თვალსაზრისით აშკარა უპირატესობა მადრიდელთა მხარესაა. დავუმატოთ ისიც, რომ ბოლო ათწლეულში „ატლეტიკო“ ოთხჯერ გასულა ფინალში, ხოლო ესპანიოლელთა ახლანდელ თაობას გუნდის ბოლო ფინალი არც ახსოვს — ეს შორეულ 1957 წელს მოხდა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, თითქოს შეიძლება დავასკვნათ, რომ „ატლეტიკო“ უდავო ფავორიტია, მაგრამ მხოლოდ თითქოს...

უამრავჯერ თქმული და დაწერილი ერთხელაც გავიმეოროთ. მადრიდელთა პრეზიდენტმა ხესუს ხილმა კლუბის კუთვნილი ფული (ათობით მილიონი დოლარი) გაფლანგა. ის ციხეში ჩააყუდეს და პრეზიდენტობიდანაც გადააყენეს. მაგრამ ხილი ის კაცია, ვინაც წყლიდან მშრალად გამოსვლის უამრავი ხერხი იცის — მართლმსაჯულებასაც დაუსხლტა და სავარძელიც დაიბრუნა. მერე გუნდის მეორე დივიზიონში გავარდნის მოშრეც შეიქნა (კლუბის ყველაზე ცუდი შედეგი ბოლო 66 წლის განმავლობაში) და მწვრთნელი რადომირ ანტიჩიც კინწისკვრით გააგდო. რაც აქ ჩამოვთვალეთ და ბარე ორს მთელი ცხოვრება არ გადახდებოდა, ხილს და მის გუნდს სულ რალაც ხუთ თვეში შეემთხვათ.

ასე რომ, პირველდივიზიონელი „ესპანიოლი“ მეორედივიზიონელს ხვდება. ამ კრიტერიუმით კი უკვე ბარსელონელები ხდებიან ფავორიტები. თანაც ხელფასების შემცირების პერსპექტივით უკმაყოფილო ატლეტიკოელებს თვალი გაქცევაზე უჭირავთ, რაც ასევე „ესპანიოლის“ წისქვილზე ასხამს წყალს.

რაც შეეხება კატალონიელთა პრობლემებს, მწვრთნელ პაკო ფლორესს საფიქრალი გაჩენია. მეკარე ხუან ლუის მორას ნაცვლად კარს არგენტინელი პაბლო კავალიერო დაიცავს. ჩემპიონატის ბოლო ტურში „დეპორტივოს“ წინააღმდეგ თამაშისას მცველმა ტონი სოლდევილამ კუნთი დაიზიანა და მას ნანდო მუნიოსი შეცვლის.

„ატლეტიკომ“ უეჭველად უნდა მოიგოს — აცხადებს კლუბის არგენტინელი თავდამსხმელი სანტიაგო სოლარი — ეს სჭირდება კლუბს, ქომაგებს და ფეხბურთელებს“. მადრიდელებს ისე დაემართათ, როგორც ქართულ ანდაზაშია, ზოგი ჭირი მარგებელიაო. მხოლოდ თასის აღება და შესაბამისად, ევროტურნირზე მონაწილეობა თუ გაუხალისებს ატლეტიკოელ ფეხბურთელებს (მათ, ვინც გაისადაც კლუბში დარჩება) ცხოვრებას. აბა, მეორე დივიზიონში თავისავე ფარმკლუბთან ჭიდილი რომ სახელს ვერ შემატებთ, კარგად მოეხსენებათ, დღეს გამარჯვება მართლაც რომ ხსნა იქნება ოდინდელი ამბიციური კლუბისთვის.

ფინალში მადრიდელთა მთავარი იმედი, ცხადია, ჰოლანდიელი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი იქნება. „ატლეტიკოში“ თუ ვინმეს ძალუძს გოლების გატანა, სწორედ ჰასელბაინკია. ამიტომაც იყო, რომ მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი ფერნანდო სამბრანო მთელი კვირა მოლაპარაკებებს აწარმოებდა ფრანკ რაიკარდთან, ვისაც მადრიდელი მეგოლის ნაკრებში მიწვევა განუზრახავს. სამბრანოს ხვეწნამ გაჭრა — რაიკარდი დათმობაზე წავიდა და ფეხბურთელი კლუბში სათამაშოდ გაუშვა. უფრო გულქვა აღმოჩნდა ჩეხთა ნაკრების თავკაცი იოჟეფ ჰოვანეცი — „ატლეტიკოს“ რადეკ ბეიბლის გარეშე მოუწევს მინდორზე გასვლა. სხვა მხრივ კი კლუბში ცვლილებები არ არის. დღეს „ატლეტიკოსთვის“ კოშმარული სეზონის ბოლო მატჩია.

**გიორგი დარჯანია**

**სავარაუდო შემადგენლობები**

ატლეტიკო: მოლინა, გამარა, ტონი მუნოსი, სანტი, გასპარი, აგილერა, უგო ლეალი, ბარახა, ვალერონი, სოლარი, ჰასელბაინკი

ესპანიოლი: კავალიერო, კრისტობალი, ნანდო მუნიოსი, პოჩეტინიო, როხერი, ველამასანი, სერხიო, გალკა, არტეაგა, დე ლუკასი, ტამუდო

### ესპანიოლი თასის ფინალში

| | | |
|---|---|---|
| 1909 | სისლისტა — ესპანიოლი | 3:1 |
| 1910 | ბარსელონა — ესპანიოლი | 3:2 |
| 1911 | ბილბაო — ესპანიოლი | 2:1 |
| 1915 | ბილბაო — ესპანიოლი | 5:0 |
| 1929 | ესპანიოლი — რეალი | 2:1 |
| 1940 | ესპანიოლი — რეალი | 3:2 |
| 1941 | ვალენსია — ესპანიოლი | 3:1 |
| 1947 | რეალი — ესპანიოლი | 2:0 |
| 1957 | ბარსელონა — ესპანიოლი | 1:0 |

### ატლეტიკო თასის ფინალში

| | | |
|---|---|---|
| 1926 | ბარსელონა — ატლეტიკო | 3:2 |
| 1956 | ბილბაო — ატლეტიკო | 2:1 |
| 1960 | ატლეტიკო — რეალი | 3:2 |
| 1961 | ატლეტიკო — რეალი | 3:1 |
| 1964 | სარაგოსა — ატლეტიკო | 2:1 |
| 1965 | ატლეტიკო — სარაგოსა | 2:0 |
| 1972 | ატლეტიკო — ვალენსია | 2:1 |
| 1975 | რეალი — ატლეტიკო | 0:0 (4:3პ) |
| 1976 | ატლეტიკო — სარაგოსა | 1:0 |
| 1985 | ატლეტიკო — ბილბაო | 2:1 |
| 1987 | სოსიედადი — ატლეტიკო | 2:2 (4:3პ) |
| 1991 | ატლეტიკო — მალიორკა | 1:0 |
| 1992 | ატლეტიკო — რეალი | 2:0 |
| 1996 | ატლეტიკო — ბარსელონა | 1:0 |
| 1999 | ვალენსია — ატლეტიკო | 3:0 |



ყველაზე ცნობილი 007 შონ კონერი, ყველაზე ცნობილი 10 პელე და ფიფას პრეზიდენტი ბლატერი

REUTERS




მიხაელ შუმახერმა ამჯერად ჯოვანი ტრაპატონისა და მომღერალ ბრუნო მოგოლის ჩაუქროლა

# პერუცი გადის პირისპირ...

მეტოქის დარტყმული ბურთი ანჯელო პერუციმ იოლად აილო, მცველს მიაწოდა, თავად კი მოწინააღმდეგის კარისკენ დაიძრა. რამდენიმე წამში იგი უკვე მოედნის მეორე ნახევარზე, მეტოქე-კოლეგასთან იყო პირისპირ დარჩენილი და ბურთიც კარში შეაგორა. ანგარიში გაზდა...

ამ მატჩში ანგარიში მეორეხარისხოვანი იყო, უპირველესი კი შემოსული თანხა გახლდათ. ამ ფულით რომში გამართული საქველმოქმედო შეხვედრის ორგანიზატორები კომპიუტერებს და სპორტულ ინვენტარს შეიძენენ და პალესტინის სკოლებს გაუგზავნიან.

საპატიო სტუმართა ლოჟაში პალესტინელთა მამა იასერ არაფატი და ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრი შიმონ პერესი გვერდიგვერდ ისხდნენ, მოედანზე კი რობერტო ბაჯოს გუნდი, ფორმულა 1-ის პილოტებით — მიხაელ შუმახერით და ჯანკარლო ფიზიკელათი — გაძლიერებული, იტალიური ესტრადის ვარსკვლავებს ეთამაშებოდა. ამათ მიშელ პლატინი თავკაცობდა მოედნის კიდიდან; თუმცა უფრო გამოცდილი სპეციალისტი მთლად მინდორზე იყო — „ვარსკვლავთა“ დაცვის ცენტრი ჯოვანი ტრაპატონის ებარა.

ასეთი ამბავი, აბა, პელეს გარეშე როგორ ჩაივლიდა? ბლატერიც იქ იყო. თვით შონ კონერიც. და ბევრი სხვაც.

გიხაროდენ, პალესტინელო მოსწავლეებო!

### შვედეთი

**თასის ფინალი. I მატჩი**

**აიკ 0:2 იორგრიტე**

0:1, 0:2 ოლბოკი (30, 54)

*საპასუხო მატჩი გაიმართება 1 ივნისს გიოტებორგში*

**ამხანაგური მატჩები**

**ქუვეითი 2:0 მილანი (იტალია)**

1:0, 2:0 აბდულა (67, 83პ)

**ჩინეთი 0:2 იუგოსლავია**

0:1 კეჟმანი (32), 0:2 კოვაჩევიჩი (55)

# ფულის მოგების რეცეპტი

ტოტალიზატორის მოყვარულმა მავანმა პოლონელმა ქომაგმა ცნობილ ბუქმეიკერულ კანტორა „უილიამ ჰილს“ დიდძალი ფული მოუგო. მოთამაშემ იტალიაში „ლაციოს“ გაჩემპიონებაზე 48 ათასი გირვანქა (70,7 ათასი დოლარი), ხოლო უეფას თასზე „გალათასარაის“ გამარჯვებაზე 120 ათასი გირვანქა (176,7 ათასი დოლარი) შეიტანა... რაც იწინასწარმეტყველა, ყველაფერი ახდა, მაგრამ როდი მოეშვა, ახლა „ჩელსი“ — „ასტონ ვილას“ წყვილში ლონდონელების სასარგებლოდ შეიტანა ფსონი. ისევ მოიგო და შემდეგ უკვე მადრიდის „რეალს“ ენდო, თანხა 340 ათას გირვანქამდე (580 ათასი დოლარი) გაზარდა... გაუმართლა... სამეფო კლუბმა ჩემპიონთა თასი, ხოლო პოლონელმა ნახევარი მილიონი გირვანქა (736 ათასი დოლარი) მოიგო. — ეს ყველაზე საოცარი ფსონია, რომელიც ოდესმე ფეხბურთზე მიგვიღია — განაცხადა „უილიამ ჰილის“ პრესატაშემ და დასძინა — აღსანიშნავია, რომ მომხმარებელს ფსონები ტელეფონის საშუალებით შემოჰქონდა.

### პორტუგალია ევრო 2000-ზე

ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა უმბერტო კოელიუმ დაასახელა ის 22 რჩეული, რომლებიც ბელგია-ჰოლანდიაში ევროპის ჩემპიონატზე ამ ქვეყნის ღირსებას დაიცავენ.

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| ვიტორ ბაია | პორტუ |
| პედრო ესპინია | ვიტორია, გიმარაეში |
| ჟოაკიმ სილვა „კიმი“ | სპორტინგი, ბრაგა |

**მცველები**

| | |
|---|---|
| აბელ შავიერი | ევერტონი, ინგლისი |
| ფერნანდო კოუტუ | ლაციო, იტალია |
| დიმაშ ტეიშეირა | სტანდარდი, ბელგია |
| კარლოს სეკრეტარიუ | პორტუ |
| ჟორჟე კოშტა | პორტუ |
| ბეტო სევერო | სპორტინგი, ლისაბონი |
| რუი ჟორჟე | სპორტინგი, ლისაბონი |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| პაულო სოუზა | პარმა, იტალია |
| პაულო ბენტუ | ოვიედო, ესპანეთი |
| მანუელ რუი კოშტა | ფიორენტინა, იტალია |
| ლუიშ ფიგუ | ბარსელონა, ესპანეთი |
| სერჟიო კონსეისაო | ლაციო, იტალია |
| ფრანსისკო კოშტა „კოშტინია“ | მონაკო, საფრანგეთი |
| ჟოზე ვიდიგალი | სპორტინგი, ლისაბონი |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| ჟოაო პინტუ | ბენფიკა, ლისაბონი |
| ნუნუ გომეში | ბენფიკა, ლისაბონი |
| რიკარდუ სა პინტუ | სოსიედადი, ესპანეთი |
| პედრო რესენდეს პაულეტა | დეპორტივო, ესპანეთი |
| ნუნო კაპუჩო | პორტუ |

### დანია

**32-ე ტური. ვიბორგი — ვაილე 3:0; ოლბორგი — ორჰუსი 1:1; აკადემისკი — ბრონდბიუ 2:0; კოპენჰაგენი — ლიუნგბიუ 1:2; სილკებორგი — ჰერფიოლგე 1:1; ოდენსე — ესბიერგი 4:1**

დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენიდან ჩრდილოეთით მდებარე ჰერფიოლგეს იგივე სახელწოდების გუნდმა ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა. ჰერფიოლგე პატარა დასახლებაა, იქ მხოლოდ 5 ათასი მცხოვრებია.

ხუთშაბათს ჩემპიონებმა „სილკებორგთან“ ფრედ 1:1 ითამაშეს, თუმცა ეს შედეგი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რათა გუნდს უძლიერესის ტიტული მოეგო. „ჰერფიოლგეს“ უახლოესი მდევარი — „ბრონდბიუ“ „აკადემისკთან“ 0:2 დამარცხდა და ლიდერს 4 ქულით ჩამორჩა. ჩემპიონატის დასრულებამდე მხოლოდ ერთი ტური დარჩა, რომელიც კვირას ჩატარდება. ცხადია, „ბრონდბიუ“ „ჰერფიოლგეს“ ველარ დაეწევა.

გუნდს შარშან ზაფხულიდან ჯონ იონსენი ავარჯიშებს, იგი „ჰერფიოლგეს“ მოთამაშე მწვრთნელია, ხოლო 1990-იანი წლების პირველ ნახევარში „არსენალშიც“ უთამაშია.

ხუთშაბათს მოპოვებული ჩემპიონობა პატარა, პროვინციული ქალაქის გუნდის პირველი ტრიუმფია. „ჰერფიოლგე“ გაისად ჩემპიონთა ლიგაშიც მოსინჯავს ძალას.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰერფიოლგე | 32 | 16 | 7 | 9 | 51:48 | 55 |
| ბრონდბიუ | 32 | 14 | 9 | 9 | 55:37 | 51 |
| ოლბორგი | 32 | 12 | 13 | 7 | 57:39 | 49 |
| აკადემისკი | 32 | 13 | 10 | 9 | 50:35 | 49 |
| ვიბორგი | 32 | 14 | 7 | 11 | 52:50 | 49 |
| ლიუნგბიუ | 32 | 14 | 5 | 13 | 51:53 | 47 |
| სილკებორგი | 32 | 12 | 10 | 10 | 46:33 | 46 |
| კოპენჰაგენი | 32 | 12 | 7 | 13 | 43:36 | 43 |
| ოდენსე | 32 | 10 | 10 | 12 | 41:44 | 40 |
| ორჰუსი | 32 | 9 | 9 | 14 | 37:52 | 36 |
| ვაილე | 32 | 7 | 11 | 14 | 38:67 | 32 |
| ესბიერგი | 32 | 8 | 4 | 20 | 41:68 | 28 |

## საგოლე პასი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლუიშ ფიგუ | 10* | 1134** | 0,79*** | ბარსელონა |
| კლაუდიო ლოპესი | 5 | 1411 | 0,32 | ვალენსია |
| შტეფან ეფენბერგი | 5 | 973 | 0,46 | ბაიერნი |
| დევიდ ბექემი | 4 | 1080 | 0,33 | მანჩესტერი |
| ესკერდინია | 4 | 1170 | 0,31 | პორტუ |
| ნვანკვო კანუ | 4 | 398 | 0,9 | არსენალი |
| პაველ ნედვედი | 4 | 861 | 0,42 | ლაციო |
| ამადეო კარბონი | 3 | 1350 | 0,2 | ვალენსია |
| ანდრეი შევჩენკო | 3 | 537 | 0,5 | მილანი |
| ბონავენტურე კალუ | 3 | 925 | 0,29 | ფეიენოორდი |
| დეკო | 3 | 895 | 0,3 | პორტუ |
| დიდიე დეშამპი | 3 | 1097 | 0,25 | ჩელსი |
| ლუბინკო დრულოვიჩი | 3 | 1070 | 0,25 | პორტუ |
| ეგორ ტიტოვი | 3 | 520 | 0,52 | სპარტაკი |
| ევანილსონი | 3 | 426 | 0,63 | დორტმუნდი |
| ფერნანდო მორიენტესი | 3 | 1129 | 0,24 | რეალი |
| ჯანფრანკო ძოლა | 3 | 1210 | 0,22 | ჩელსი |
| ჯოვანი ელბერი | 3 | 895 | 0,3 | ბაიერნი |
| იონ კარეუ | 3 | 1080 | 0,25 | რუსენბორგი |
| რობერტო კარლოსი | 3 | 1530 | 0,18 | რეალი |
| კახა კალაძე | 2 | 900 | 0,2 | კიევი |

* საგოლე პასების რაოდენობა; ** ნათამაშევი დრო (წთ); *** საშუალოდ 1 მატჩში

## გაძევება

| | | | |
|---|---|---|---|
| იური კოვტუნი | 2 | 336 | სპარტაკი |
| ანდრეი ტიხონოვი | 1 | 511 | სპარტაკი |
| ოტო ბრაგსტადი | 1 | 899 | რუსენბორგი |
| სელესტინ ბაბაიარო | 1 | 1160 | ჩელსი |
| კრის სატონი | 1 | 220 | ჩელსი |
| კლაუდიო ტაფარელი | 1 | 392 | გალათასარაი |
| ფაბიო როსიტო | 1 | 304 | ფიორენტინა |
| ფერნანდო კოუტუ | 1 | 555 | ლაციო |
| გერი ჩიპი | 1 | 289 | მარიბორი |
| ჟილ გრიმანდი | 1 | 224 | არსენალი |
| გუტი | 1 | 596 | რეალი |
| ჰერვე ალიკარტე | 1 | 765 | ბორდო |
| იენს იერემისი | 1 | 867 | ბაიერნი |
| ვან ვონდერენი | 1 | 707 | ფეიენოორდი |
| კოსტას კონსტანტინიდისი | 1 | 434 | ჰერტა |
| ლარს რიკენი | 1 | 428 | დორტმუნდი |
| ლილიან ლასლანდი | 1 | 832 | ბორდო |
| მარკ ვან ბომელი | 1 | 359 | პსვ |
| მარტინ ჰაშეკი | 1 | 667 | სპარტა |
| ნილტონი | 1 | 154 | ბოავიშტა |
| ნიშა საველიჩი | 1 | 676 | ბორდო |
| პატრიკ ბლონდო | 1 | 479 | მარსელი |
| პაულინიო სანტოსი | 1 | 632 | პორტუ |
| რიშარ მარტინი | 1 | 119 | მარსელი |
| რობსონი | 1 | 223 | სპარტაკი |
| სებასტიან პერესი | 1 | 721 | მარსელი |
| ტომაშ გალაშეკი | 1 | 412 | ტილბურგი |
| უილიამ ანდელი | 1 | 269 | ბოავიშტა |
| იანიკ ფიშერი | 1 | 429 | მარსელი |

* გაძევების რაოდენობა; ** ნათამაშევი დრო (წთ)

## თამაშგარე მდგომარეობა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კლაუდიო ლოპესი | 54 | 1411 | 3,44 | ვალენსია |
| მარიო ჟარდელი | 35 | 1150 | 2,74 | პორტუ |
| გაბრიელ ბატისტუტა | 26 | 875 | 2,67 | ფიორენტინა |
| ტორე ანდრე ფლო | 26 | 1159 | 2,02 | ჩელსი |
| ენრიკო კიეზა | 24 | 606 | 3,56 | ფიორენტინა |
| რაული | 24 | 1350 | 1,6 | რეალი |
| იონ კარეუ | 22 | 1080 | 1,83 | რუსენბორგი |
| სილვიან ვილტორდი | 22 | 1044 | 1,9 | ბორდო |
| ფერნანდო მორიენტესი | 21 | 1129 | 1,67 | რეალი |
| პატრიკ კლუივერტი | 20 | 1203 | 1,5 | ბარსელონა |
| ენდი კოული | 18 | 1047 | 1,55 | მანჩესტერი |
| ჯანფრანკო ძოლა | 18 | 1210 | 1,34 | ჩელსი |
| რობერტო მანჩინი | 16 | 650 | 2,22 | ლაციო |
| სიმონე ინძაგი | 15 | 700 | 1,93 | ლაციო |
| ბონავენტურე კალუ | 13 | 925 | 1,26 | ფეიენოორდი |
| ნიკოლა ანელკა | 13 | 516 | 2,27 | რეალი |
| ადრიან ილიე | 12 | 544 | 1,99 | ვალენსია |
| ალან ბოკშიჩი | 12 | 599 | 1,8 | ლაციო |
| ნუნუ კაპუჩო | 12 | 986 | 1,1 | პორტუ |
| გიორგი დემეტრაძე | 12 | 311 | 3,47 | კიევი |

* თამაშგარეთა რაოდენობა; ** ნათამაშევი დრო (წთ); *** საშუალოდ 1 მატჩში

## კარში დარტყმა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რივალდო | 36 | 1229 | 2,64 | ბარსელონა |
| კლაუდიო ლოპესი | 32 | 1411 | 2,04 | ვალენსია |
| რაული | 31 | 1350 | 2,07 | რეალი |
| ლუიშ ფიგუ | 29 | 1134 | 2,3 | ბარსელონა |
| იონ კარეუ | 25 | 1080 | 2,08 | რუსენბორგი |
| პატრიკ კლუივერტი | 25 | 1203 | 1,87 | ბარსელონა |
| სიმონე ინძაგი | 25 | 700 | 3,21 | ლაციო |
| სილვენ ვილტორდი | 25 | 1044 | 2,16 | ბორდო |
| ფერნანდო მორიენტესი | 24 | 1129 | 1,91 | რეალი |
| ჯანფრანკო ძოლა | 24 | 1210 | 1,79 | ჩელსი |
| მარიო ჟარდელი | 24 | 1150 | 1,88 | პორტუ |
| რობერტო კარლოსი | 22 | 1530 | 1,29 | რეალი |
| სერგეი რებროვი | 20 | 1061 | 1,7 | კიევი |
| ტორე ანდრე ფლო | 20 | 1159 | 1,55 | ჩელსი |
| ენდი კოული | 17 | 1047 | 1,46 | მანჩესტერი |
| ხერარდი | 17 | 1432 | 1,07 | ვალენსია |
| კილი კონსალესი | 17 | 1380 | 1,11 | ვალენსია |
| გაბრიელ ბატისტუტა | 16 | 875 | 1,65 | ფიორენტინა |
| გაისკა მენდიეტა | 16 | 1158 | 1,24 | ვალენსია |
| პაულო სერჟიო | 16 | 1007 | 1,43 | ბაიერნი |
| გიორგი დემეტრაძე | 12 | 311 | 3,47 | კიევი |

* დარტყმულთა რაოდენობა; ** ნათამაშევი დრო (წთ); *** საშუალოდ 1 მატჩში

# ჩემპიონთა ლიგა




# სულერთია რომელი საუკუნეა

ტრიუმფატორი მადრიდში დაბრუნდა: ჩემპიონთა თასის მერვედ მოპოვების შემდეგ პარიზიდან დაბრუნებულ „რეალს“ „ბარახასის“ აეროპორტიდან ქალაქის ცენტრამდე, სიბელესის მოედნამდე, გულშემატკივართა დაუსრულებელი მწკრივი შეეგება.

ცნობისთვის: „ბარახასის“ აეროპორტიდან მოედნამდე ორსაათნახევრის გზაა.

მოზეიმეთ სიბელესის ქანდაკება „სამეფო გუნდის“ დროშაშემოხვეული დაუხვდათ. თასის იქ აღმართვის შემდეგ ამალა „სანტიაგო ბერნაბეუსკენ“ დაიძრა, სადაც განათებულ სცენაზე ასულმა ფეხბურთელებმა 87 ათას ადამიანს სიტყვით მიმართეს. აგრუხუნდა პიროტექნიკა, ცნობილმა ესპანურმა პოპ ჯგუფმა „ასუკარ მორენომ“ საზოგადოება სიმღერებით გაახალისა.

„ბედნიერი ვარ, ხალხის სიხარულს რომ ვხედავ. იმედი მაქვს, თქვენ ყველანი ამაყობთ კლუბით“ — თქვა „რეალის“ მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ.

ახლა, რაც შეეხება ჩრდილოვან მხარეს: ათეულობით ათასი კაცის სიხარულმა გათელა გაზონი, მოტეხა ხის ტოტები, ჩატეხა რამდენიმე ქუჩის საათი და საინფორმაციო დაფა (ჯამში 81 ათასი დოლარის ზარალი) და სიბელესის მოედნის გარშემო დატოვა 20 ათასი კილოგრამი ნაგავი. ამასთან დაკავშირებით ესპანეთის სოციალისტურმა პარტიამ და კიდევ უფრო მემარცხენე „ისკიერდა უნიდამ“ მოითხოვა, თანხა საფეხბურთო კლუბს აენაზღაურებინოთ.

კიდევ იყო ეპიზოდი, როდესაც ცენტრალურ მოედანზე ოთხასამდე ადამიანმა პოლიციელებს ბოთლების სროლა დაუწყო.

### კაპიტანი

ამჯერად იმ კაცზე გესაუბრებით, ვინც ფინალში, „სტად დე ფრანსზე“ კაპიტნობდა — ფერნანდო რედონდოზე.

„ოცნება ამიხდა. მართალი გითხრათ, ერთიხანობა „რეალისთვის“ მერვე თასის მოგება წარმოუდგენლადაც მეჩვენებოდა, მაგრამ როდესაც თამაშის წინ, გასახდელიდან მოედანზე გასვლის დროს, გვირაბში, თანაგუნდელებს თვალებში ჩავხედე, მივხვდი, რაც მოხდებოდა. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ თასს „რეალი“ მოიპოვებდა.

იცით, ორი წლის წინ, ამსტერდამშიც ვითამაშე ფინალში, მაგრამ ახლა ნამდვილად სხვა იყო, რადგან ჩვენს წინააღმდეგ ესპანური გუნდი იდგა. „ვალენსია“ ტრადიციულად ძნელი მეტოქეა, მაგრამ ვიცოდით, რაზეც აწყობდა თამაშს. მეტოქე მოედნის შუაში შეეცდებოდა უპირატესობის მოპოვებას და თუ მათი ნახევარმცველების თავდამსხმელებისგან გათიშვას შევძლებდით, გავიმარჯვებდით“.

| | რეალი | | ვალენსია | | ბაიერნი | | ბარსელონა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საშ. | სულ | საშ. | სულ | საშ. | სულ | საშ. | სულ |
| კარისკენ დარტყმა | 13,7 | 234 | 14,8 | 253 | 12,6 | 203 | 16,1 | 258 |
| კარში დარტყმა | 8 | 136 | 8 | 136 | 5,25 | 84 | 9,31 | 149 |
| ჯარიმა | 13,82 | 235 | 14,35 | 244 | 14,56 | 233 | 13,31 | 213 |
| კუთხური | 6,59 | 112 | 6,41 | 109 | 4,88 | 78 | 5,56 | 89 |
| თამაშგარე | 4,47 | 76 | 6,24 | 106 | 2,19 | 35 | 3,25 | 52 |
| ბურთის ფლობა (წთ) | 29 | 494 | 24 | 424 | 27 | 434 | 34 | 552 |
| ბურთის ფლობა (%) | 52 | | 46 | | 49 | | 61 | |
| გატანილი გოლი | 2,06 | 35 | 1,59 | 27 | 1,56 | 25 | 2,81 | 45 |
| გაშვებული გოლი | 1,35 | 23 | 1,06 | 18 | 1,19 | 19 | 1,44 | 23 |
| გაფრთხილება | 1,35 | 23 | 1,94 | 33 | 1,38 | 22 | 1,25 | 20 |
| გაძევება | 0,06 | 1 | 0 | 0 | 0,06 | 1 | 0 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1999-2000



დიდი კაპიტანი
მანუელ სანჩისი



რაული და მორიენტესი სიბელესის მოედანზე




მათი გუნდი ჩემპიონთა თასის რვაგზის მფლობელია

## კიდევ კაპიტანი და მომავალი კაპიტანი

მანუელ სანჩისსა და იკერ კასილიასზე მოგახსენებთ — უხუცესი და უმრწემესი „რეალის" შემადგენლობაში.

სანჩისი „სტად დე ფრანსის" მინდორზე ფინალური მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე შევიდა, მაგრამ ეს ჩემპიონთა თასზე დიდი კაპიტნის მესე შეხვედრა გახლდათ.

მესე მატჩი ზუსტად ფინალში, როგორია?!

ცნობისთვის: ფეხბურთელს კი არა, ჩემპიონთა თასზე ასზე მეტი მატჩი მხოლოდ შვიდ კლუბს აქვს ჩატარებული და კიდევ — ფინალამდე ერთი დღით ადრე სანჩისი 35 წლისა შესრულდა, ფინალის შემდეგ დღეს კი „რეალთან" კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გააგრძელა.

ამრიგად, 1950-იან-60-იან წლებში თასის ექვსჯერ მფლობელის, ლეგენდარული მადრიდელის, ფრანსისკო ხენტოს რეკორდი ერთით გაუმჯობესდა.

სანჩისის გარდა, ისტორიაში, ეს თასი ორჯერ ალუმართავთ კაპიტნებს: მიგელ მუნიოსსა და ხოსე მარია სარაგას („რეალი"), ჟოზე აგუაშს („ბენფიკა"), არმანდო პიკის („ინტერი"), ემლინ ჰიუზს („ლივერპული"), ჯონ მაკგოვერნს („ნოტინგემ ფორესტი") და ფრანკო ბარეზის („მილანი"). ერთადერთი, ვისაც ეს პატივი სამჯერ ხვდომია, „ბაიერნის" ლეგენდა ფრანც ბეკენბაუერი გახლავთ.

იკერ კასილიასმაც რეკორდი დაამყარა: 19 წლის და 4 დღის მეკარეს ჩემპიონთა თასი არასდროს აღუმართავს. კასილიასი ყველაზე ახალგაზრდაა და ადრე თუ გვიან აუცილებლად გახდება „სამეფო კლუბის" შემადგენლობაში ყველაზე მეტი მატჩის მონაწილე ანუ გუნდის კაპიტანი.

კასილიასის მიღწევათაგან აღსანიშნავია ესპანეთის 20 წლამდელთა ნაკრებში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. სხვათაშორის, შარშან შვედეთში გამართულ 18 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატში, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობდა, ესპანელთა შემადგენლობაში კასილიასიც იყო.

სასეირო ფაქტია, რომ 1998 წლის იმ დღეს, როდესაც „რეალმა" ამსტერდამში „იუვენტუსს" მოუგო და მეშვიდედ მოიპოვა ჩემპიონთა თასი, მაშინ სარეზერვო გუნდის გოლკიპერი მე-17 დაბადების დღეს ზეიმობდა.

იკერ კასილიასმა ამ დღეებში მართლაც სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა: ესპანური თვალსაზრისით, იგი მე-20 საუკუნის ბოლო თასის მფლობელია, ხოლო ევროპის სხვა ნაწილისა და ამერიკის გაგებით — 21-ე საუკუნის პირველი გათამაშების ტრიუმფატორი. ასეა თუ ისე, მან საუკუნეთა მიჯნაზე გაიბრწყინა.

### და ბოლო!

„საფეხბურთო კლუბი რეალ მადრიდი მადლობას უძღვნის „ვალენსიას" ქომაგებს იმ ქცევისთვის, რომელიც მათ ჩემპიონთა თასის ფინალის წინ, განმავლობაში და შემდეგ გამოავლინეს. „ვალენსიამ" და მისმა გულშემატკივრებმა გვიჩვენეს, რას ეწოდება ნამდვილი ფეხბურთი"

**ბაბუნა ძედია**

| | ჩელსი | | პორტუ | | მანჩესტერი | | ლაციო | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საშ. | სულ | საშ. | სულ | საშ. | სულ | საშ. | სულ |
| კარისკენ დარტყმა | 13,7 | 192 | 12,5 | 176 | 12,6 | 177 | 14,6 | 205 |
| კარში დარტყმა | 7,93 | 111 | 6,07 | 85 | 6 | 84 | 6,93 | 97 |
| ჯარიმა | 21,07 | 295 | 18,5 | 259 | 15,86 | 222 | 16 | 224 |
| კუთხური | 6,21 | 87 | 5,36 | 75 | 5,21 | 73 | 6,71 | 94 |
| თამაშგარე | 4,57 | 64 | 4,43 | 62 | 4,36 | 61 | 4,79 | 67 |
| ბურთის ფლობა (წთ) | 28 | 395 | 27 | 381 | 31 | 447 | 26 | 367 |
| ბურთის ფლობა (%) | 50 | | 49 | | 52 | | 48 | |
| გატანილი გოლი | 1,57 | 22 | 1,36 | 19 | 1,5 | 21 | 1,86 | 26 |
| გაშვებული გოლი | 1 | 14 | 1,21 | 17 | 0,79 | 11 | 0,86 | 12 |
| გაფრთხილება | 1,29 | 18 | 1,93 | 27 | 1,43 | 20 | 2,43 | 34 |
| გაძევება | 0,14 | 2 | 0,07 | 1 | 0 | 0 | 0,07 | 1 |

## ეუხეშნენ

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლუიშ ფიგუ | 58 | 1134 | 4,6 | ბარსელონა |
| პაულო სერჟიო | 43 | 1007 | 3,84 | ბაიერნი |
| სერგეი რებროვი | 42 | 1061 | 3,56 | კიევი |
| ლიბორ სიონკო | 41 | 925 | 3,99 | სპარტა |
| კილი გონსალესი | 40 | 1380 | 2,61 | ვალენსია |
| რივალდო | 38 | 1229 | 2,78 | ბარსელონა |
| დეკო | 36 | 895 | 3,62 | პორტუ |
| სავიო | 36 | 768 | 4,22 | რეალი |
| გაისკა მენდიეტა | 35 | 1158 | 2,72 | ვალენსია |
| მიროსლავ ბარანეკი | 35 | 879 | 3,58 | სპარტა |
| რობერ პირესი | 34 | 841 | 3,64 | მარსელი |
| ბონავენტურე კალუ | 33 | 925 | 3,21 | ფეიენოორდი |
| ვრატისლავ ლოკვენცი | 32 | 946 | 3,04 | სპარტა |
| ჟოსელინ ანგლომა | 31 | 1255 | 2,22 | ვალენსია |
| ფერნანდო რედონდო | 29 | 1332 | 1,96 | რეალი |
| იოან მიკუ | 29 | 980 | 2,66 | ბორდო |
| ანჯელო დი ლივიო | 28 | 993 | 2,54 | ფიორენტინა |
| გუტი | 28 | 596 | 4,23 | რეალი |
| ჰასან სალიჰამიჯიჩი | 28 | 924 | 2,73 | ბაიერნი |
| მანუელ რუი კოშტა | 26 | 1080 | 2,17 | ფიორენტინა |
| კახა კალაძე | 23 | 900 | 2,3 | კიევი |

** რამდენჯერ ეუხეშნენ; ** ნათამაშევი დრო (წთ); *** საშუალოდ 1 მატჩში*

## დაჯარიმება

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ორან ბერგი | 39 | 1078 | 3,26 | რუსენბორგი |
| დიდიე დეშამპი | 38 | 1097 | 3,12 | ჩელსი |
| ტორე ანდრე ფლო | 38 | 1159 | 2,95 | ჩელსი |
| მილან ფუკალი | 35 | 1080 | 2,92 | სპარტა |
| პეტრ გაბრიელი | 33 | 1080 | 2,75 | სპარტა |
| სელესტინ ბაბაიარო | 31 | 1160 | 2,41 | ჩელსი |
| დენის უაიზი | 31 | 1134 | 2,46 | ჩელსი |
| მარსელ დესაი | 31 | 1257 | 2,22 | ჩელსი |
| ამადეო კარბონი | 30 | 1350 | 2 | ვალენსია |
| იონ კარეუ | 29 | 1080 | 2,42 | რუსენბორგი |
| მიროსლავ ბარანეკი | 29 | 879 | 2,97 | სპარტა |
| ფერნანდო რედონდო | 28 | 1332 | 1,89 | რეალი |
| ჯოვანი ელბერი | 28 | 895 | 2,82 | ბაიერნი |
| ჟოსელინ ანგლომა | 27 | 1255 | 1,94 | ვალენსია |
| გაისკა მენდიეტა | 27 | 1158 | 2,1 | ვალენსია |
| პაველ ნედვედი | 27 | 861 | 2,82 | ლაციო |
| დეკო | 26 | 895 | 2,61 | პორტუ |
| იაპ სტამი | 26 | 1170 | 2 | მანჩესტერი |
| მარტინ ჰაშეკი | 26 | 667 | 3,51 | სპარტა |
| ხულიო კრუზი | 25 | 810 | 2,78 | ფეიენოორდი |

** დაჯარიმდნენ; ** ნათამაშევი დრო (წთ); *** საშუალოდ 1 მატჩში*

## გაფრთხილება

| | | | |
|---|---|---|---|
| ალოიზიო | 5 | 829 | პორტუ |
| დევიდ ბექემი | 5 | 1080 | მანჩესტერი |
| ჯუზეპე პანკარო | 5 | 958 | ლაციო |
| ლუიშ ფიგუ | 5 | 1134 | ბარსელონა |
| პაულინიო სანტოსი | 5 | 632 | პორტუ |
| კლაუდიო ლოპესი | 4 | 1411 | ვალენსია |
| დეიან სტანკოვიჩი | 4 | 648 | ლაციო |
| გაბრიელ ბატისტუტა | 4 | 875 | ფიორენტინა |
| ხერარდი | 4 | 1432 | ვალენსია |
| გერი ჩიპი | 4 | 289 | მარიბორი |
| ჟორჟე კოშტა | 4 | 1080 | პორტუ |
| კახა კალაძე | 4 | 900 | კიევი |
| მარტინ ჰაშეკი | 4 | 667 | სპარტა |
| მათიას ალმეიდა | 4 | 562 | ლაციო |
| მეჰმეთ შოლი | 4 | 1014 | ბაიერნი |
| მიჩელ სალგადო | 4 | 1219 | რეალი |
| პოლ ბოსველტი | 4 | 990 | ფეიენოორდი |
| პოლ სქოულზი | 4 | 938 | მანჩესტერი |
| სინიშა მიხაილოვიჩი | 4 | 969 | ლაციო |
| აბელარდო | 3 | 666 | ბარსელონა |

** გაფრთხილებათა რაოდენობა; ** ნათამაშევი დრო (წთ)*

## გოლი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მარიო ჟარდელი | 10 | 1150 | 0,78 | პორტუ |
| რივალდო | 10 | 1229 | 0,73 | ბარსელონა |
| რაული | 10 | 1350 | 0,67 | რეალი |
| სიმონე ინძაგი | 9 | 700 | 1,16 | ლაციო |
| სერგეი რებროვი | 8 | 1061 | 0,68 | კიევი |
| ტორე ანდრე ფლო | 8 | 1159 | 0,62 | ჩელსი |
| პაულო სერჟიო | 7 | 1007 | 0,63 | ბაიერნი |
| როი კინი | 7 | 1048 | 0,6 | მანჩესტერი |
| პატრიკ კლუივერტი | 7 | 1203 | 0,52 | ბარსელონა |
| ლუის ენრიკე | 6 | 581 | 0,93 | ბარსელონა |
| გაბრიელ ბატისტუტა | 6 | 875 | 0,62 | ფიორენტინა |
| ფერნანდო მორიენტესი | 6 | 1129 | 0,48 | რეალი |
| იონ კარეუ | 5 | 1080 | 0,42 | რუსენბორგი |
| ლუიშ ფიგუ | 5 | 1134 | 0,4 | ბარსელონა |
| გაისკა მენდიეტა | 5 | 1158 | 0,39 | ვალენსია |
| კლაუდიო ლოპესი | 5 | 1411 | 0,32 | ვალენსია |
| აბელ ბალბო | 4 | 336 | 1,07 | ფიორენტინა |
| ულფ კირსტენი | 4 | 357 | 1,01 | ლევერკუზენი |
| მარსელო სალასი | 4 | 522 | 0,69 | ლაციო |
| გაბრი | 4 | 647 | 0,56 | ბარსელონა |
| კახა კალაძე | 1 | 900 | 0,1 | კიევი |
| გიორგი დემეტრაძე | 1 | 311 | 0,28 | კიევი |

** გოლების რაოდენობა; ** ნათამაშევი დრო (წთ); *** საშუალოდ 1 მატჩში*

## ფეხბურთის რუკასთან



**უკრაინის** ნაკრებისა და კიევის „დინამოს“ მეკარემ, ალექსანდრ შოვკოვსკიმ მუხლი იტკინა და თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდს ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ ამხანაგურ შეხვედრაში ვერ დაეხმარება. „შოვკოვსკი ინგლისთან ვერ ითამაშებს“ — განაცხადა ნაკრების დამხმარე მწვრთნელმა ალექსეი მიხაილიჩენკომ — მან მუხლის მყესები დაიზიანა და დაახლოებით ექვს კვირას ვერ შეძლებს ვარჯიშს“. შოვკოვსკი უკრაინის თასის ფინალსაც გამოტოვებს. შაბათს კიეველები „კრივბასს“ ხვდებიან. ჩემპიონატს კი მის მაგივრად ვიაჩესლავ კერნოზენკო ჩაამთავრებს. „დინამომ“ 25 შეხვედრიდან 69 ქულა დააგროვა და დარჩენილ ხუთ ტურში მხოლოდ ქულა სჭირდება, რათა უკრაინის ჩემპიონის ტიტული ზედიზედ მერვედ მოიპოვოს.

**შვეიცარიელი ნახევარმცველი ჩირიაკო სფორცა „კაიზერსლაუტერნიდან“ მიუნხენის „ბაიერნში“ გადავიდა. ფეხბურთელი ამ კლუბში 1995-96 წლების სეზონშიც თამაშობდა, რის შემდეგაც მილანის „ინტერს“ მიაშურა. მერე სფორცამ „კაიზერსლაუტერნში“ იასპარეზა და 1998 წელს გერმანიის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მიუნხენური პრესის ცნობით, შვეიცარიელმა „ბაიერნთან“ სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. სატრანსფერო თანხა ჯერჯერობით არ გაცხადებულა. „კაიზერსლაუტერნში“ ერთი სიახლეცაა — ფრანგი ნახევარმცველი იური ჯორკაეფი გუნდში გაისადაც ითამაშებს. „ჯორკაეფს არ გავყიდით“ — განაცხადა „კაიზერის“ პრეზიდენტმა იურგენ ფრიდრიხმა და დასძინა, რომ ფრანგ მსოფლიოს ჩემპიონს არაერთი ევროპული კლუბი იწვევს, მათ შორის ყველაზე მეტად პსჟ აქტიურობსო.**

**იტალიის** ვიცე-ჩემპიონი „იუვენტუსი“ სამომავლოდ რამდენიმე ახალი ფეხბურთელის ყიდვას აპირებს. ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტოს განცხადებით, ტურინელებმა „ბოლონიადან“ მცველი მიკელე პარამატი გადაიბირეს. „იუვენტუსმა“ ბოლონიურ კლუბს 2,5 მილიონი გირვანქა გადაუხადა, ფეხბურთელთან კი ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ტურინელები „ბოლონიას“ კიდევ ერთ ნახევარმცველს, ჯონათან ბინოტოსაც აკვირდებიან და შესაძლოა მალე ისიც შეიძინონ.

**შოტლანდიის ჩემპიონ „რეინჯერსს“ „მალიორკადან“ დიეგო ტრისტანის შეძენა სურს და ესპანურ კლუბს 12,2 მილიონ გირვანქას სთავაზობს. თავდამსხმელმა წლეულს ერთობ წარმატებით იასპარეზა, პრიმერადივიზიონში 18 გოლი გაიტანა და საუკეთესო ბომბარდირთა შორის მეექვსე ადგილზე დამკვიდრდა, უეფას თასის 10 შეხვედრაში კი ხუთჯერ გამოიჩინა თავი. 24 წლის ტრისტანის ყიდვის სურვილი ესპანურმა გრანდებმა — „რეალმა“ და „ბარსელონამაც“ გამოთქვეს. ფეხბურთელის აგენტი ფრანსისკო დურანი ირწმუნება, რომ მას მადრიდიდან და კატალონიიდან მართლაც შეეხმიანნენ.**

**გერმანელი** ნახევარმცველი ანდი მიოლერი დორტმუნდის „ბორუსიადან“ „შალკეში“ გადაბარგდა. 1997 წლის უეფას თასის მფლობელმა გელზენკირხენულმა გუნდმა, რომელმაც ბუნდესლიგის განვლილი სეზონი მე-13 ადგილზე დაასრულა, 32 წლის მიოლერთან პირადი საკითხები ხუთშაბათს შეათანხმა. ფეხბურთელს „ბორუსიასთან“ კონტრაქტი დაუსრულდა და „შალკეში“ თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა მიოლერმა წლეულს ერთობ წარუმატებელი სეზონი ჩაატარა. გერმანიის ნაკრების თავკაცმა ერიხ რიბეკმა იგი ევრო 2000-ზე სათამაშოდ გუნდში არ მიიწვია. გამოცდილმა ფეხბურთელმა ნაკრების მაისურა 85-ჯერ მოირგო, მან ბუნდესლიგაში 332 შეხვედრა ჩაატარა და 104 გოლი გაიტანა.

**იტალიურმა „მილანმა“ ვალენსიელ ხერარდს ყურადღება ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური შეხვედრის შემდეგ მიაპყრო, მაშინ ახალგაზრდა ესპანელმა „ლაციოს“ სამი გოლი გაუტანა. ახლა იტალიის თექვსმეტგზის ჩემპიონმა „ვალენსიას“ მეორე ნახევარმცველს, ფრანსისკო ფარინოსსაც დაადგა თვალი. 22 წლის ფეხბურთელი „ვალენსიაში“ 18 წლის ასაკიდან თამაშობს, იგი ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრების წევრი იყო. ჯერჯერობით უცნობია, გაყიდის თუ არა „ვალენსია“ ხერარდს ან ფარინოსს.**

# ბებერი ქალბატონის საფინანსო სტრატეგია

„იუვენტუსის“ შემოსავლები 1999-2000 წლების სეზონში წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით გაცილებით გაიზარდა და 230 მილიარდი ლირა (107 მილიონი დოლარი) შეადგინა, შარშან შემოსავალი 173 მილიარდი ლირა იყო. ეს ფინანსური მონაცემები საზოგადოებას ტურინული გუნდის მმართველმა, ანიელის ოჯახის წარმომადგენელმა გააცნო.

ანიელის ოჯახის თავმჯდომარემ უმბერტო ანიელიმ ჟურნალისტებს გაუმხილა, რომ სამომავლოდ რამდენიმე ახალი პროექტის განხორციელებას აპირებს, რაც შემოსავალს კიდევ უფრო გაზრდის.

— გუნდის მენეჯმენტის გაფართოებას ვგეგმავთ. ეს კონკრეტულად რომელიმე მატჩის შედეგზე არ იქნება დამოკიდებული — განუცხადა ანიელიმ იტალიურ საინფორმაციო სააგენტო ANSA-ს და დასძინა — „იუვენტუსის“ სტადიონის — „დელე ალპისა“ და მისი მიმდებარე ტერიტორიების შეძენას ვაპირებთ, რათა გუნდის საწვრთნელო ბაზა და სხვა ინფრასტრუქტურული ნეგებობები ავაშენოთ.



REUTERS ლონდონიდან

„პორტუმ“ პორტუგალიის თასი მეათედ მოიგო

## პორტუგალია

**თასის ფინალი.** გადათამაშება

**პორტუ 2:0 სპორტინგი (1:1)**

1:0 კლეიტონ კრუზი (49), 2:0 დეკო სოუზა (73)

პორტუ: ვიტორ ბაია, სეკრეტარიუ (რუი ბაროში 70), ჟორჟე კოშტა, ალოიზიო, ესკურდინია, ჩაინიო, დეკო სოუზა (ოლივეირა 89), კლეიტონ კრუზი, ნუნო კაპუჩო (დომინგუში 89), დრულოვიჩი, ჟარდელი

მწვრთნელი: ფერნანდო სანტუში

სპორტინგი: შმაიხელი, საბერი, ბეტო სევერო, ანდრე კრუზი (კიროგა 42), რუი ჟორჟე ვიდიგალი, დუშერი, ბარბოსა, ედმილსონი (დი ფრანჩესკი 68), მ. მპენზა (ტონიტო გონსალესი 69), აევუ

მწვრთნელი: აუგუსტო ინასიო

გაძევება: ტონიტო გონსალესი (87)

35 000 მაყურებელი

**წინა** უქმეებზე თასის ფინალურ შეხვედრაში „სპორტინგსა“ და „პორტუს“ შორის გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა და გადათამაშება ხუთშაბათისთვის დაინიშნა. განმეორებით ორთაბრძოლაში უკვე „პორტუმ“ იმარჯვა, ლისაბონელები 2:0 დაამარცხა და საპატიო ჯილდოსაც დაეუფლა.

„სპორტინგთან“ გამარჯვებით „პორტუმ“ რევანში აიღო, გეხსომებათ, რამდენიმე კვირის წინ დასრულებულ პორტუგალიის პირველობაზე ლისაბონელებმა პორტუელებს აჯობეს და ჩემპიონები გახდნენ. ხუთშაბათს „სპორტინგს“ ქვეყნის ჩემპიონობისა და თასის ერთდროულად მოგება შეძლო, მაგრამ 1982 წელს მიღწეული წარმატება ვერ გაიმეორა.

„პორტუს“ ძირითად შემადგენლობაში კვლავ დაბრუნდა მეკარე ვიტორ ბაია, რომელმაც მუხლის ოპერაცია გაიკეთა და იძულებით დაახლოებით ორი თვე გამოტოვა. ახლა იგი სრულიად ჯანმრთელია და პორტუგალიის ეროვნულ ნაკრებშიც მიიწვიეს ევროპის მომავალ ჩემპიონატზე სათამაშოდ.

„სპორტინგს“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე, გუნდის საუკეთესო ბომბარდირი, არგენტინელი ალბერტო აკოსტა აკლდა, მისი არყოფნა ლისაბონელებს დაეტყოთ კიდეც. „პორტუმ“ უპირატესობა პირველივე ტაიმში იგდო ხელთ და მეტოქის კართან არაერთი სახიფათო მომენტი შექმნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის, ბრაზილიელი მარიო ჟარდელის აქტიურობა. იგი ბევრს ეცადა, მაგრამ გოლი ვერ გაიტანა. სამაგიეროდ, თავი გამოიჩინეს მისმა თანამემამულეებმა — კლეიტონ კრუზმა და დეკო სოუზამ. 49-ე წუთზე კრუზმა შენიშნა, რომ „სპორტინგის“ დანიელი მეკარე კარის ხაზიდან წინ გამოსულიყო, ეფექტური დარტყმით მას ბურთი თავზე გადაუგდო და ანგარიში გახსნა.

შემდეგ დეკო სოუზას ჯერი დადგა. მან დაახლოებით 20 მეტრიდან ძლიერი და ზუსტი ჯარიმა დაარტყა, შმაიხელი არც განძრეულა — 2:0.

დარჩენილ წუთებში „სპორტინგმა“ თავი არ დაზოგა, შმაიხელიც ჩვეულად ჩაერთო შეტევაში, მაგრამ გუნდს ვერაფრით დაეხმარა. „სპორტინგს“ ფეხბურთელიც გაუძევეს — შეცვლაზე შესულმა ტონიტო გონსალესმა სულ 18 წუთი ითამაშა, წითელი ბარათი დაიმსახურა და მოედანი ნაადრევად დატოვა. „პორტუ“ კი პორტუგალიის თასს გუნდის ისტორიაშიტ მეათედ დაეუფლა.

## რუსეთი

მე-10 ტური. ლოკომოტივი — ჩერნომორეცი 0:3; კრილია — სატურნი 3:2; სპარტაკი — დინამო 3:1; ფაკელი — ნ. ნოვგოროდი 1:1; როტორი — ანჟი 2:2; ალანია — ზენიტი 1:0; ურალანი — ტორპედო 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 10 | 9 | 1 | 0 | 23:5 | 28 |
| ლოკომოტივი | 10 | 7 | 2 | 1 | 12:4 | 23 |
| ტორპედო | 10 | 6 | 3 | 1 | 13:5 | 21 |
| ანჟი | 11 | 6 | 2 | 3 | 14:8 | 20 |
| ჩერნომორეცი | 10 | 5 | 3 | 2 | 15:3 | 18 |
| დინამო | 10 | 5 | 2 | 3 | 8:8 | 17 |
| კრილია | 10 | 4 | 0 | 6 | 11:14 | 12 |
| სატურნი | 10 | 3 | 3 | 4 | 8:11 | 12 |
| ზენიტი | 11 | 3 | 3 | 5 | 7:11 | 12 |
| როტორი | 10 | 3 | 3 | 4 | 11:19 | 12 |
| როსტსელმაში | 10 | 2 | 5 | 3 | 6:6 | 11 |
| ფაკელი | 10 | 2 | 5 | 3 | 12:17 | 11 |
| ალანია | 10 | 2 | 2 | 6 | 8:15 | 8 |
| ცსკა | 9 | 2 | 1 | 6 | 6:12 | 7 |
| ურალანი | 10 | 1 | 2 | 7 | 8:15 | 5 |
| ნ. ნოვგოროდი | 11 | 0 | 5 | 6 | 5:13 | 5 |

# გარის უყვარს ლივერპული

**ვეტერანი** შოტლანდიელი ფეხბურთელი გარი მაკალისტერი აღნიშნავს, რომ იგი მოუთმენლად ელის მომავალი სეზონის დაწყებას. ნაკრების ყოფილ მოთამაშეს „ქოვენთრისთან“ კონტრაქტი ივნისის ბოლოს უსრულდება. ამის შემდეგ „ლივერპულთან“ ერთწლიან შეთანხმებას გააფორმებს და პრემიერლიგის ახალ სეზონს ჟერარ ულიეს გუნდში დაიწყებს.

— უკვე 35 წლის ვარ — განაცხადა მაკალისტერმა — გამოგიტყდებით, გამიკვირდა, „ლივერპულში“ რომ მიმიწვიეს. ჟერარ ულიეს პირადად ვესაუბრე და დავრწმუნდი, მას ვჭირდები. ნამდვილად ბედნიერი ვარ, სიხარულს ვერ ვფარავ.

გამოცდილი ფეხბურთელი „ლივერპულის“ ფრანგმა თავკაცმა პირადად მიიწვია და განუცხადა, რომ გუნდის გაძლიერებას აპირებს. მაკალისტერს ახალგაზრდა მოთამაშეების გვერდით ერთ-ერთი ლიდერის ფუნქცია დაეკისრება.

— „ლივერპული“ გაისად უეფას თასზე ასპარეზობს. მათ გაცილებით მეტი შეხვედრები უნდა ჩაატარონ. გუნდის საშუალო ასაკი 25 წელს ქვემოთაა, გამოცდილი ფეხბურთელები მართლაც სჭირდებათ. მენეჯერმა ყველაფერი ამიხსნა. თუ ახალგაზრდების დახმარება შემიძლია, თანახმა ვარ — თქვა შოტლანდიელმა.

მაკალისტერმა მომავალ პარტნიორ სტეფან ჟერარდზეც ისაუბრა — სტეფანი ახალგაზრდაა, იგი მართლაც ერთ-ერთი პერსპექტიული ნახევარმცველია. მე მას აუცილებლად დავეხმარები, მაგრამ ისიც უნდა შემეშველოს. მოუთმენლად ველი ახალი სეზონის დაწყებას. მწამს, ყველა ერთად დიდ წარმატებას მივაღწევთ.

ინგლისელი სპეციალისტები „ლივერპულის“ მომავალ ტაქტიკურ განლაგებაზე მსჯელობენ. მათი აზრით, ჟერარ ულიე გუნდის ნახევარდაცვას ძირითადად დიტმარ ჰამანით, სტივ ჟერარდით და მაკალისტერით დააკომპლექტებს.

„ქოვენთრის“ ქომაგებმა მაკალისტერი წლის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. იგი პრემიერლიგას შეჩვეულია, მანამდე „ლესტერში“ და „ლიდსშიც“ უთამაშია.

გარი ჯერჯერობით მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს, თუმცა აღნიშნავს, რომ არ გამორიცხავს, „ლივერპულში“ გაცილებით დიდხანს დარჩეს.

— „ლივერპულში“ თამაში მართლაც საამაყოა. შესაძლოა, გუნდში ერთ სეზონზე მეტი გავატარო, თუმც ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი — განაცხადა შოტლანდიელმა.

## სატირო-ფეხბურთი ?! კითხვა - პასუხი

***— ეს გაისკა მენდიეტა ვინ ყოფილა?***

— ვინ ამბობდა, მაკმანამანი ბითურიაო?

***— არ გგონია, რომ რობერტო კარლოსს წამლები ჰქონდა შეშხუპუნებული?***

— რომელი წამლები, კლაუდიო ლოპესის ექიმს რომ მორჩა?

***— რა სისულელეს მეუბნები?***

— ვინ უფრო სწრაფად ირბინა წელს, ლოპესმა თუ რობერტო კარლოსმა?

***— ასე გავზომოთ?***

— ხო მოუგო შარშან „ვალენსიამ“ „რეალს“ ექვსით ნოლი?

***— განა ერთხელ მოუგია?***

— ჰოდა, რაღა ჩემპიონთა ლიგის ფინალი უნდა მოეგო?

***— რა იქნებოდა, რედონდო რომ გაეგდო მსაჯს?***

— რედონდო რატომ უნდა გაეგდო?

***— ჰაჯი რატომ გააგდო?***

— ჰაჯიზე მელაპარაკები?

***— ჰაჯი აღარ ჯობია მენდიეტას?***

— რას ამოიჩემე ეს მენდიეტა?

***— აბა, კილი გონსალესს ვაგინო?***

— რატომ უნდა აგინო?

***— არ შეეძლოთ უკეთ ეთამაშათ?***

— ვის, ბიჭო?

***— არ შეეძლოთ?***

— არ გგონია, რომ კაცმა თავისი ადგილი უნდა იცოდე?

***— და გაზა?***

— გაზა რა შუაშია?

***— გაზამ იცოდა თავისი ადგილი?***

— გაზას ხომ არ უთამაშია ჩემპიონთა ლიგის ფინალში?

***— მერე?***

— ხომ სცოდნია თავისი ადგილი?

***— ეგრე სად არი?***

— აბა, მითხარი, „ვალენსიამ“ როგორ უნდა აიღოს ჩემპიონთა თასი?

***— და „რეალმა“ რატომ უნდა აიღოს ჩემპიონთა თასი მერვედ?***

— „მანჩესტერი“ გააგდო და ვოლას უნდა აელო?

***— მერვედ?***

— ახლა რა ვქნა, ცხრილები გადავაკეთო?

***— გაისად ვინ აიღებს?***

— რა შეკითხვა უნდა?

***— აბა?***

— ვინც „მანჩესტერს“ მოუგებს.

## კაცების ბადე



# ROLAND GARROS 2000

**ორშაბათს სეზონის მეორე დიდი სლემის ტურნირი — საფრანგეთის ღია პირველობა დაიწყება. მომდევნო ორი კვირის განმავლობაში „როლან გაროსის" წითელმიწა კორტები ბრძოლას მოწყურებული ქალ-ვაჟის სამკვდრო-სასიცოცხლო 356 პაექრობის, მავანთა ოცნებების მსხვრევისა და ახალი ვარსკვლავების დაბადების მოწმე გახდება.**

## თიხა ჩვენი არსობისა



„როლან გარო" (სწორედ ასე წარმოთქვამენ ფრანგები) საფრანგეთის ღია პირველობის სინონიმად 1928 წელს იქცა, თუმცა თავად ტურნირი საუკუნეზე მეტია, რაც არსებობს.

ოღონდ 1891-იდან 1925 წლამდე მოყვარულ ჩოგბურთელთა შეჯიბრს „ღია" ძნელად თუ ეთქმოდა — მასში მონაწილეობის უფლება მხოლოდ ფრანგ, ან ადგილობრივ კლუბებში მოასპარეზე მოთამაშეებს ჰქონდათ.

იქნებ უცნაურადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ საჩოგბურთო კომპლექსი თავის დროზე სულ სხვა გათამაშების, დევისის თასის სამასპინძლოდ წამოიჭიმა. „მუშკეტერებად" ცნობილი ოთხი ფრანგი მოთამაშის ამერიკელებთან შეჭიდების ხილვა იმდენმა ისურვა, რომ ახალი, დიდი სტადიონის სასწრაფოდ აშენების აუცილებლობა წამოიჭრა.

პრობლემის მოგვარება ელიტარულმა კლუბმა „სტად ფრანსემ" ითავა, ოღონდ ორგანიზატორებს ერთი ულტიმატუმი წაუყენა — კომპლექსს პირველ მსოფლიო ომში დაღუპული ავიატორის, როლან გაროსის სახელი უნდა რქმეოდა.

ასე, სულ რაღაც 9 თვეში, ზედმეტი სანტიმის დაუხარჯავად საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციამ ერთბაშად ორი კურდღელი დაიჭირა: მრავალათასიანი სტადიონიც ჩაიბარა და საერთაშორისო პირველობისთვის ნავსაყუდელიც იშოვა.

განვლილი 70 წლის განმავლობაში „როლან გაროსი" მრავალჯერ გადააკეთეს და გააფართოვეს. სულ უფრო იზრდებოდა კომპლექსის ფართობი, კორტებისა და მაყურებლების რაოდენობა.

ახალ ათასწლეულს კი ტურნირი ახალი ცენტრალური კორტით ხვდება. მოთამაშეთა კომფორტისა და მაყურებელთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, შარშანდლიდან მოყოლებული აქ ადგილები 16 400-დან 15 200-მდე შეამცირეს, სამაგიეროდ, აიგო ახალი სამედიცინო ცენტრი, გასახდელები, დოპინგკონტროლის ოთახი, შეიცვალა ტაბლოები.

გაისად ორგანიზატორები დანარჩენი კორტების გადახალისებას და ორი ახალი რესტორნის აშენებას გეგმავენ, 2002-დან კი აქ საჩოგბურთო მუზეუმი და სპორტული ბიბლიოთეკაც გაიხსნება.

### ფავორიტები

*ბოლო 10 წლის გამარჯვებული კაცები*

**1990 ანდრეს გომესი — ანდრე აგასი 6:3, 6:4, 2:6, 1:6, 6:4**
**1991 ჯიმ კურიე — აგასი 3:6, 6:4, 2:6, 6:1, 6:4**
**1992 კურიე — პეტერ კორდა 7:5, 6:2, 6:1**
**1993 სერხი ბრუგერა — კურიე 6:4, 2:6, 6:2, 3:6, 6:3**
**1994 ბრუგერა — ალბერტო ბერასატეგი 6:3, 7:5, 2:6, 6:1**
**1995 ტომას მუსტერი — მაიკლ ჩანგი 7:5, 6:2, 6:4**
**1996 ევგენი კაფელნიკოვი — მიხაელ შტიხი 7:6 (7:4), 7:5, 7:6 (7:4)**
**1997 გუსტავო კუერტენი — ბრუგერა 6:3, 6:4, 6:2**
**1998 კარლოს მოია — ალექს კორეტხა 6:3, 7:5, 6:3**
**1999 აგასი — ანდრეი მედვედევი 2:6, 3:6, 6:4, 6:3, 6:4**

თიხნარი ჩოგბურთის ოთხი საფარიდან ყველაზე ნელია და აქ წარმატების მიღწევა მეტ ფიზიკურ მზადყოფნასაც მოითხოვს. სპეციფიკიდან გამომდინარე, ერთი ხეირიანი დარტყმით ქულის მითვლის შანსები მეტად დაბალია და, შესაბამისად, ხანგრძლივი, მომქანცველი გათამაშებების რაოდენობა გაცილებით იზრდება.

შემტევი, ბადესთან თამაშის მოყვარული ჩოგბურთელები, როგორც წესი, პარიზში ვერ ხეირობენ: ჯონ მაკინროის, ბორის ბეკერს, სტეფან ედბერგსა და პიტ სამპრასს სხვა დიდი სლემის ტურნირები არაერთხელ მოუგიათ, მაგრამ „როლან გაროსზე" გამარჯვებას ერთხელაც ვერ გაუსინჯეს გემო.

წითელ მიწაზე ყველაზე მეტად უკანა ხაზიდან კარგი თამაშის უნარი, სისწრაფე და გამძლეობა ფასობს და წარმატება მოწოდებაზე ან მიღებაზე ნაკლებადაა დამოკიდებული.

შარშან ამ დროს ტრავმამოუშუშებელ ანდრე აგასიზე სალად მოაზროვნე ადამიანი კაპიკსაც არ ჩამოვიდოდა, მაგრამ ხოტორა ლასვეგასელმა მცირე სასწაული მოახდინა.



ანდრეს მეორე წრეში (არნო კლემანთან) ორი ქულა უკლდა მარცხს, მერვედფინალში კარლოს მოიასთან და ფინალში ანდრეი მედვედევთან უიმედოდ ჩამორჩებოდა, თუმცა როგორღაც თავის დაძვრენა მოახერხა და დაჯილდოების ცერემონიალზე გაოგნებისა და მოზღვავებული სიხარულისგან ცრემლებიც აღვარღვარა.

პარიზული ტრიუმფი აგასისთვის რენესანსის ეპოქის დასაწყისი გამოდგა: ამერიკელმა მალე პირველი ჩოგნობა დაიბრუნა და კიდევ ორი დიდი სლემის — აშშ-ისა და ავსტრალიის ღია პირველობების ტიტულები შეჰმატა თავის კოლექციას. აქვე გააბა რომანი ლეგენდარულ შტეფი გრაფთანაც.

„პარიზში შარშან თითქოს ხელმეორედ დავიბადე. გასული ერთი წელი ყველაზე ბედნიერი და გიჟური იყო ჩემს ცხოვრებაში, მას არაფერზე გავცვლიდი. ამჟამად მხოლოდ ერთი მიზანი მამოძრავებს — საკუთარი ტიტულის შენარჩუნება" — არ მალავს ამერიკელი.

ამ მიზნის განხორციელებაში აგასის ორი მთავარი მოცილე, გუსტავო კუერტენი და მარატ საფინი ეყოლება. 23 წლის ყოფილი ჩემპიონიცა და 20 წლის ზორბა რუსიც ბოლო ხანებში შესანიშნავად თამაშობენ და არავის გაუკვირდება, თუ ჰამბურგის მსგავსად, პარიზშიც ისინი შეხვდებიან ფინალში.

*სხვა პრეტენდენტები და მათი სავარაუდო გამამწარებლები: მაგნუს ნორმანი, სედრიკ პიოლინი, დომინიკ ჰრბატი, ალექს კორეტხა, კარლოს მოია, მარიანო პუერტა, მარიანო ზაბალეტა, ალბერტ კოსტა.*

***ბოლო 10 წლის გამარჯვებული ქალები:***

**1990 მონიკა სელეში — შტეფი გრაფი 7:6 (8:6), 3:6, 7:5**
**1991 სელეში — არანჩა სანჩეს ვიკარიო 6:3, 6:4**
**1992 სელეში — გრაფი 6:2, 3:6, 10:8**
**1993 გრაფი — მერი ჯო ფერნანდესი 4:6, 6:2, 6:4**
**1994 სანჩეს ვიკარიო — მარი პირსი 6:4, 6:4**
**1995 გრაფი — სანჩეს-ვიკარიო 6:3, 6:7 (4:7), 10:8**
**1997 ივა მაიოლი — მარტინა ჰინგისი 6:4, 6:2**
**1998 სანჩეს-ვიკარიო — სელეში 7:6 (7:5), 0:6, 6:3**
**1999 გრაფი — ჰინგისი 4:6, 7:5, 6:2**

ვისაც „როლან გაროსის" შარშანდელი დიაცთა ფინალი უნახავს, უეჭველად დამეთანხმება — ასეთი მატჩები ათწლეულში ერთხელ თუ იმართება.

ძველი და ახალი თაობის საუკეთესო წარმომადგენლების — შტეფი გრაფისა და მარტინა ჰინგისის შეხვედრა არაჩვეულებრივად დრამატული და დაძაბული გამოდგა. ჩოგბურთის დედოფლის წოდებაში გერმანელის მოცილე ჰინგისმა მოსაგებად ყველა დაშვებული თუ დაუშვებელი ხერხი იხმარა, მაგრამ მხოლოდ იმას გამორჩა, რომ მაყურებლები მტრად გადაიკიდა და მატჩის შემდეგ აქვითინებულს ფინალისტის პრიზის მიღებაც კი აღარ სურდა.

მწარედ მოსაგონარმა მარცხმა მარტინას საფრანგეთის ღია პირველობის მოგების მწველი სურვილი ოდნავაც ვერ გაუნელა: „იმედი მაქვს, ბოლოს და ბოლოს, ამ ერთადერთ აულებელ მწვერვალსაც დავლაშქრავ. ვიცი, რომ აქ გამარჯვება შემიძლია, მაგრამ რატომღაც აქამდე ბედი არ მწყალობდა".

ერთი საშიში კონკურენტი ჰინგისს ტურნირის დაწყებამდევე ჩამოშორდა. სერენა უილიამსმა მუხლის ტრავმა მოიმიზეზა და გუშინ, კენჭისყრის ჩატარებამდე რამდენიმე საათით ადრე, პარიზში ჩასვლაზე უარი განაცხადა.

ასევე საეჭვოა „როლან გაროსზე" კიდევ ორი ვარსკვლავის — ლინდსი დევენპორტისა და ანა კურნიკოვას ასპარეზობაც.

ჰინგისის გარდა პენსიაზე გასული გრაფის ტიტულზე წლეულს რეალურ პრეტენზიას სამგზის ჩემპიონი მონიკა სელეში, ესპანელი კონჩიტა მარტინესი და ორი ფრანგი, მარი პირსი და ამელი მორესმო აცხადებენ.

*პრეტენდენტები და მათი სავარაუდო გამამწარებლები: ვინუს უილიამსი, სანდრინ ტესტიუ, ელენა დოკიჩი, კიმ კლაისტერსი.*

### კაცების ბადე

1/32 · 1/16 · 1/8 · 1/4 · 1/2

აგასი (1) — დიუპუი
შერჩეული — კუჩერა
ვანეკი — ბერასატეგი
პოპი — სკილარი
შერჩეული — მასიუ
სტოლტენბერგი — ნოვაკი
ტ. მარტინი — ჩელა
ლინარი — აინაუი (15)
ჰიუიტი (9) — ტარანგო
პენჩკი — პრინოშილი
როდრიგესი — შერჩეული
კუბეკი — ბლანკო
ივანიშევიჩი — კოსტა
გუმი — მოია
გაუდიო — პასკუალე
როშიუ — ენკვისტი (7)
ნორმანი (3) — შერჩეული
სანტორო — გუსტაფსონი
შალკენი — სარგსიანი
კლემანი — ესკუდე
ტილსტრომი — მედვედევი
ბ. ბლექი — როსე
მანტია — შერჩეული
ბიორკმანი — ჰრბატი (14)
საფინი (12) — ბასტლი
რაუქსი — ილი
ვან ლოტუმი — გაუდენცი
რიოსი — ჰაასი
ბრუგერა — შერჩეული
პაველი — პორტასი
პოცი — რაფტერი
სანგვინეტი — პიოლინი (6)
კუერტენი (5) — ვინსიგერა
ალამი — შერჩეული
იოჰანსონი — რუუდი
ვოინეა — ჩანგი
შუტლერი — ფერერა
ვაცეკი — ლოდრა
შერჩეული — შერჩეული
ბუტე — ლაპენტი (11)
პენმანი (13) — სპადეა
შერჩეული — შერჩეული
ვისენტე — მირნი
აგენორი — სრიჩაპანი
გროსჟანი — ფრომბერგი
მარინი — შერჩეული
შერჩეული — ზაბალეტა
ლუბიჩიჩი — კაფელნიკოვი (4)
კიფერი (8) — გემბილი
არტურსი — ფედერერი
უე — სტანოიჩევი
შერჩეული — გიმელსტობი
შერჩეული — სოლნიე
კრაიჩეკი — ჟიბი
შილიგენი — შერჩეული
ა. მარტინი — კორეტხა (10)
ფერერო (16) — გოლმარი
რუზეცკი — დოსედელი
პუერტა — დამი
კლავეტი — კანასი
არაზი — ვუდრაფი
შერჩეული — ჰიპფლი
...ა — გოლდსტაინი
ფილიპუსისი — სამპრასი (2)

## ქალების ბადე



1/32 · 1/16 · 1/8 · 1/4 · 1/2

ჰინგისი (1) — აპელმანსი
შერჩეული — შერჩეული
შერჩეული — რეიმონდი
ბობკოვა — გარბინი
ხლადკოვა — ნეიდლი
სმეშნოვა — მალეევა
დრაგომირი — ჰაბსუდოვა
შონესი — ალარი (12)
კაპრიატი (15) — ზულუაგა
მანდულა — პანოვა
ზვერევა — სუარესი
მაროზი — კალენსი
ორემანსი — კრუგერი
რუბინი — ნაჩუკი
სტივენსონი — ლაბატი
ბუგერტი — ტოზია (7)
სელეში (3) — ტალაია
გალიარდი — შნიდერი
კუტი კისი — შერჩეული
შერჩეული — პარკინსონი
პისნიკი — დოკიჩი
უი — ჰრდლიჩკოვა
ვარტუში — მონტოლიო
ოსტერლო — მორესმო (13)
ტესტიუ (10) — ნურლანდერი
პიტკოვსკი — გრანდე
ვალერო — მაიოლი
ფრეზერი — კარლსონი
რაზანო — ბახევა
დემენტიევა — დეში
ბარაბანშიკოვა — რიტნერი
სნაიდერი — პირსი (6)
სანჩეს-ვიკარიო (8) — ნოლა
ჯეიასლანი — კოშტო
ნაგიოვა — სერნა
ანდრეტო — ბრენდი
შერჩეული — კურტუა
ჰოპმანი — სრებოტნიკი
კონსტანიჩი — ფუზე
კლეინოვა — შეტი (16)
ჰუბერი (11) — პეტროვა
ვენტო — მორარიუ
შერჩეული — ლიხოვცევა
შვარცი — დე ლონე
ბაბელი — ალორო
ლუა — პრატი
ერი — ტანსასუგარნი
კანდარი — უილიამსი (4)
მარტინესი (5) — ჟიდკოვა
კ. ბლექი — მისკინა
მოლიკი — ფორე
ფარინა — ლორენსო
სუგიამა — კლაისტერსი
გერში — შერჩეული
პლიშკე — ლუჩიჩი
ვები — კურნიკოვა (14)
კუტცერი (9) — დრეიკი
გარსია — შერჩეული
ვავრინეცი — შერჩეული
დე შვარდტი — ვაინგარტნერი
შერჩეული — კრემერი
შერჩეული — სიდო
შერჩეული — სპირლეა
ვან რუსტი — დევენპორტი (2)

# ითამაშებს მაკაბი კორაჩის თასზე? ითამაშებს ნიკოლაძე მაკაბიში?

მეცხრე ერონულში პლეი ოფის ნახევარფინალის მიღმა დარჩენილი გუნდები ახლა ძირითადად ისვენებენ და მომქანცველი სეზონის შემდეგ ენერგიას იკრებენ. გამონაკლისი მხოლოდ თბილისის „მაკაბია“, რომელსაც ერთი დღეც არ შეუწყვეტია ვარჯიში. პირიქით, წლევანდელი გათამაშების მეექვსეადგილოსანი ახლა გაცხოველებულ მზადებაშია.

საქმე ისაა, რომ „მაკაბის“ კორაჩის თასზე ასპარეზობა ამოუჩრია გულში. თავისი სურვილის შესახებ კლუბმა, ამას წინათ კალათბურთის ფედერაციასაც აცნობა და მხარდაჭერაც მიიღო. ერთადერთი თუ შეუშლის ხელს „მაკაბის“ ჩანაფიქრის განხორციელებაში. მოგეხსენებათ, საქართველოდან კორაჩის თასზე თამაშის უფლება ოთხ გუნდს აქვს და ევროპაში გასვლა ჩემპიონატის ოთხივე წარჩინებულმა კლუბმა რომ მოიწადინოს, „მაკაბი“ განზე დარჩება.

მიუხედავად ამისა, კლუბის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ მოვლენები მათთვის სასიკეთოდ განვითარდება. „მაკაბის“ პრეზიდენტისა და მთავარი მწვრთნელის ჯამლეტ ხუხაშვილის თქმით, იგი უკვე ესაუბრა გუნდების წარმომადგენლებს და რამდენიმე მათგანმა იუარა კორაჩას თასზე გამოსვლა. თუ გადაიფიქრებენ და თამაშს გადაწყვეტენ, ღმერთმა ხელი მოუმართოთო, დასძინა ხუხაშვილმა.

საევროპოდ, ცხადია, გაძლიერებასაც აპირებს „მაკაბი“. სადღეისოდ სულ თვრამეტი კალათბურთელი ვარჯიშობს გუნდში, მათ შორის რამდენიმე გასინჯვაზეა და საბოლოოდ მწვრთნელები იმათ დაიტოვებენ, ვინც წაყენებულ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. ოფიციალურად კონტრაქტი ჯერჯერობით არავის გაუფორმებია „მაკაბისთან“, თუმც უახლოეს მომავალში ამასაც უნდა ველოდოთ.

„მაკაბიში“ ჩარიცხვის ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატი დინამოელი გიორგი ნიკოლაძეა. იგი უკვე კარგა ხანია, სრულფასოვან მზადებას გადის ამ კლუბთან ერთად და გამორიცხული არაა, დღეს-ხვალ ხელშეკრულებაც გაფორმდეს. თუ ასე მოხდა, „მაკაბი“ ნიკოლაძის კარიერაში მესამე კლუბი იქნება, „დინამომდე“ იგი თსუ-ს ღირსებასაც იცავდა.

**გიორგი ბიძაშვილი**



გიორგი ნიკოლაძეს (მარჯვნივ) „მაკაბის“ ფორმა ჯერ მხოლოდ საქართველოს ნაკრებთან ამხანაგური მატჩისას ეცვა



# წლეულს ან ვერასდროს

## დღეს საფრანგეთის ჩემპიონი გაირკვევა

*დღეს საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალური სერიის გადამწყვეტი მატჩი გაიმართება ვილერბანში, სადაც ადგილობრივი კლუბი ლიმოჟელებს დაუხვდება. მასპინძელთა შორის ითამაშებს მუსტაფა სონკოც, რომელიც რამდენიმე დღის წინ ქვეყნის ჩემპიონატის უძვირფასეს კალათბურთელად დაასახელეს. სონკოსთვის ეს ზედიზედ მესამე ფინალური სერიაა, მეორე — „ვილერბანის“ რიგებში. წლეულს ამ შავკანიანმა სპორტსმენმა მართლაც ძალიან მოუმატა და აღიარებამაც არ დააყოვნა. „ვილერბანის“ გამთამაშებელს ყველა გამარჯვებაში ლომის წილი უძევს და სავარაუდოდ, დღესაც ერთ-ერთი საუკეთესო იქნება მოედანზე.*



მუსტაფა სონკო

**— მზად ხართ გადამწყვეტი მატჩისთვის?**

— სრულიად. ყველანი ჯანზე ვართ, ფსიქოლოგიურადაც ყველაფერი რიგზე გვაქვს. გამარჯვების კარგი შანსი გვეძლევა, მით უმეტეს, საკუთარი კედლების უპირატესობაც გაგვაჩნია.

**— „ვილერბანი“ საფრანგეთის 15-გზის ჩემპიონია, მაგრამ წარსულში. გუნდს ეს ტიტული 1981 წლის შემდეგ აღარ ღირსებია. როგორ ფიქრობთ, წლეულს შეძლებთ პირველობის მოპოვებას?**

— აქაურები უკვე კარგა ხანია ამბობენ, რომ ოქროს მედლებს ან წლეულს ავიღებთ, ან ვერასდროს. თუმცა ამ სიტყვებს ყოველი სეზონის წინ იმეორებენ. ახლა მოგება უფრო შეგვიძლია, ვიდრე ადრე. ყველანი მზად ვართ ამისათვის.

**— ხომ არ გაგაკვირვებთ „ვილერბანის“ წლევანდელმა თამაშმა და შედეგებმა. გუნდს ხომ იმდენი ძლიერი მოთამაშე დააკლდა.**

— არა. ეს იქნებ მოულოდნელი იყო მათთვის, ვინც ჩემპიონატის დაწყებამდე ფავორიტად არ გვთვლიდა, მაგრამ ჩვენთვის — არა. სანამ თამაშები არ დაიწყება, ვერც ერთი გუნდზე ვერ ვიტყვი რაიმეს გადაჭრით. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ელიტაში წლეულს აღზევებული „სტრასბური“ პლეი ოფში გავიდოდა? ვერავინ.

**— რა განსხვავებაა შარშანდელ და წლევანდელ „ვილერბანს“ შორის?**

— შემადგენლობა კი შეგვისუსტდა, მაგრამ წლეულს გაცილებით მეტი თავდადებით ვირჯებით. ეს კი კოლექტიურ თამაშს გვიადვილებს და მე ვიტყოდი, რომ ეს „ვილერბანი“ წინამორბედზე უფრო ძლიერია.

**— ეგებ იმიტომ, რომ მუსტაფა სონკო გაიფურჩქნა?**

— არა. მე შარშანაც ასეთსავე კარგ ფორმაში ვიყავი, მაგრამ მაშინ მსროლელად ვთამაშობდი და არა გამთამაშებლად. არადა, ჩემი ამპლუა თამაშის წარმართვა, პასების დარიგება და თანაგუნდელების ხელსაყრელ პოზიციებზე გაყვანაა.

**— ადრე ბევრს ეეჭვებოდა, რომ დიდი გუნდის წინამძღოლობა შეგეძლოთ. ჩემპიონატის უძვირფასესი მოთამაშის ტიტულით ერთგვარად ნიშნი ხომ არ მოუგეთ კრიტიკოსებს?**

— არა, მსგავსიც არაფერი ყოფილა. უბრალოდ მინდა, ეს წარმატება ჩემს გუნდს, უფრო სწორად, მთელ კლუბს მივუძღვნა, რომელიც მთელი სეზონის განმავლობაში გვერდში მედგა.

**— თუ ელოდით ამ კონკურსში გამარჯვებას?**

— ნამდვილად არა. ისე, სეზონის დასრულებისას მაინც მოაღწია ჩემამდე ამ ამბავმა, მაგრამ არ მჯეროდა.

**— თქვენ ვის მისცემდით ხმას?**

— საკმაოდ ბევრი მოთამაშეა, რომლებმაც მთელი სეზონი ბრწყინვალედ ჩაატარეს. მაგალითად იან ბონატო და ლორან სკიარაც იკმარებენ. ისინიც ღირსნი იყვნენ ამ ტიტულის.

**— ბოლო წლებში საფრანგეთში ვინც უძვირფასეს მოთამაშედ დაასახელეს, ყველა საზღვარგარეთ წავიდა სათამაშოდ. თქვენც მათ გზას ხომ არ დაადგებით?**

— „ვილერბანთან“ კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს. ასე რომ, ჩემი მომავლის შესახებ დარწმუნებით ვერაფერს გეტყვით. შეიძლება დავრჩე, შეიძლება არა. მოდით, ამაზე, საფრანგეთის ჩემპიონი რომ გამოვლინდება, მერე ვისაუბროთ.

**— ნბა?**

— ძალიან კარგი იქნება, თუ ერთ მშვენიერ დღეს იქ აღმოვჩნდები.

**— სექტემბერში საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში სიდნეის ოლიმპიადაზე გამოხვალთ. რას ელით ამ ტურნირისგან?**

— ბევრს, ძალიან ბევრს. ეს უდიდესი გამოცდილებაა. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა გრანდიოზული რამაა. ყველა სპორტსმენს როდი უსრულდება ეს ოცნება. ერთი სული მაქვს, როდის მოვა სექტემბერი და ავსტრალიაში ჩავალთ.

**— თქვენ მეგობარ ტარიკ აბდულვაჰადს კი ძალიან შეუმცირა ნაკრებში მოხვედრის შანსი იმან, რომ ვითომდა იქ გამეფებულ რასიზმზე საჯაროდ ილაპარაკა...**

— ვერ გეტყვით, რა მოხდება. ტარიკი ჩემი მეგობარია და ძალიან მეწყინება, თუ ოლიმპიადაზე არ იქნება. ეს პრობლემა მისი და მწვრთნელის მოსაგვარებელია. რაც შეეხება მის ნათქვამს, არ ვიცი, ხალხმა როგორ აღიქვა ეს. იგი მთლად ტყუილს არ ამბობს. რასიზმი ნამდვილად არსებობს ფრანგულ კალათბურთში, ამაში ჯერ კიდევ „პორტეზში“ ყოფნისას დავრწმუნდი. თუმცა კალათბურთელებთან კონფლიქტი არასოდეს მქონია და არც ნაკრებში გამჩაგრავს ვინმე კანის ფერის გამო.

**თარგმნა ბაბი ბურულმა**

# ჩხეიძე უკრაინის ვიცე ჩემპიონია



რევაზ ჩხეიძე

*ორი დღის წინ უკრაინის ჩემპიონი გაირკვა. ქართველთათვის კარგად ცნობილმა, კორაჩის თასზე რუსთავის „აზოტის“ დამამარცხებლებმა „ბკ კიევმა“ ფინალში „მბკ ოდესას“ სძლია და არსებობის პირველივე სეზონი ტრიუმფით დააგვირგვინა. ამ ფაქტს თქვენი ყურადღება მხოლოდ იმიტომ მივაპყრეთ, რომ ოდესის გუნდში ქართველი რევაზ ჩხეიძე თამაშობს, რომელიც თავის ახალ კლუბთან ერთად უკრაინის ვიცე ჩემპიონი გახდა. გუშინ ჩხიროსშინ, ოდესაში დავუკავშირდით და თავდაპირველად წარმატება მივულოცეთ:*

— ჩემპიონობის ჩინებული შანსი გავუშვით ხელიდან, გადამწყვეტი მატჩი ოდესაში რომ გამართულიყო, დარწმუნებული ვარ, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებოდა, მოედნის ფაქტორმა დიდი გავლენა იქონია საბოლოო შედეგზე.

**— „ბკ კიევს“ მსაჯებიც წაეხმარნენ?**

— არა, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი. უფრო ფსიქოლოგიური მომენტი ვიგულისხმე, საკუთარ კედლებში თამაშისას ხომ ერთიორად იმატებს რწმენა.

**— ფინალი რა სისტემით ჩატარდა?**

— ჩემპიონობისთვის სამი გამარჯვება იყო საჭირო. სერიაში 2:2 იყო ანგარიში, მხოლოდ მეხუთე შეხვედრამ გაარკვია ჩემპიონი, უკანასკნელ წამებზე სამი ქულით დავთმეთ მატჩი.

**— კლუბის ხელმძღვანელობა უკმაყოფილი დარჩა მიღწეული შედეგით?**

— ჩემპიონები რომ ვერ გავხდით, ცხადია, გული დაწყდათ, მაგრამ არაფერი გვაგრძნობინეს. თამაშის შემდეგ ყველას სათითაოდ მადლობაც გვითხრეს.

**— თქვენმა გუნდმა კორაჩის თასის საგზური მოიპოვა. აპირებთ ევროთასებზე თამაშს?**

— ზუსტად ვერ გეტყვით, ამაზე ჯერ არაფერი თქმულა, ის კი ვიცი, რომ „მბკ ოდესას“ ჩრდილოეთ ლიგაში მონაწილეობის დიდი სურვილი აქვს. წესით, როგორც ჩემპიონატის მეორეადგილოსნები, უპრობლემოდ უნდა დაგვიშვან ახალ გათამაშებაში, მაგრამ საბოლოო სიტყვა მაინც ალექსანდრ ვოლკოვზეა, იგი ჩრდილოეთ ლიგის ერთ-ერთი დამფუძნებელია.

**— მოდით, ახლა თქვენს გეგმებზეც გვითხარით. როგორც ვიცით, ოდესელებთან კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გაკავშირებდათ...**

— ასეა. ახლა უკვე თავისუფალი მოთამაშე ვარ და ყველაფერი ჩემს სურვილზეა დამოკიდებული.

**— ოდესიდან წამოსვლას აპირებთ?**

— მალე თბილისში ჩამოვალ და მერე უფრო ზუსტად გაგცემთ პასუხს. ორშაბათს კლუბის ხელმძღვანელებს ვხვდები, ყველაფერიც მაშინ გადაწყდება.

**— თავად თუ გსურთ უკრაინაში დარჩენა?**

— აქაურებმა ძალიან კარგი პირობები შემიქმნეს, კარგ კლუბში ვარ და ნორმალურ ჩემპიონატში ვთამაშობ. ურიგო არ იქნება, თუ აქვე გავაგრძელებ კარიერას. როგორც შევიტყვე, „მბკ ოდესის“ თავკაცებიც კონტრაქტის გაგრძელებას შემომთავაზებენ. არაფერი უთქვამთ, მაგრამ რამდენჯერმე მიმანიშნეს, რომ ჩემს გაშვებას არ აპირებენ.

**— გამოდის, რომ კმაყოფილები დარჩნენ თქვენი თამაშით...**

— ალბათ, ასეა. ჩემს გუნდში ათი კალათბურთელი მეტ-ნაკლებად თანაბარძალოვანია და მიუხედავად ამისა, ოცდახუთ წუთზე ნაკლები არასოდეს მითამაშია. ვფიქრობ, თავს არ ვირცხვენდი, ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელებს ჩემით უკმაყოფილება არასდროს გამოუხატავთ.

**— სხვა კლუბებიდან ხომ არ მიგიღიათ მიწვევა?**

— ჯერჯერობით არაფერი მსმენია.

**გიორგი ბიძაშვილი**


**იყიდება ან ქირავდება**

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან,
ბუნებრივი აირით და ტელეფონით
ტელ: 60-21-23



**რეკლამა სარბიელ-ში**

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

კონფერენციათა ფინალები (ოთხ მოგებამდე)

# იუინგი ისევ დაიმტვრა

**აღმოსავლეთი**

25 მაისი

| | |
|---|---|
| ინდიანა | 2 |
| ნიუ იორკი | 0 |

**ინდიანა 88:84 ნიუ იორკი**

ინდიანა: ჯეკსონი (11), მილერი (19), როუზი (24), დევისი (3 ქულა, 16 მოხსნა), სმიტსი (12); პერკინსი (7), კროშერი (5), ბესტი (5), მაკკეი (2)

ნიუ იორკი: ვორდი, ჰიუსტონი (15), სპრიუელი (10), ჯონსონი (25), იუინგი (4); ჩაილდსი (12), ტომასი (10), კემბი (6 ქულა, 11 მოხსნა), დადლი (2), ვოლესი, ბრაუნსონი

ამ ბოლო წლებში პლეი ოფი ისე არ ჩაივლის, რომ „ნიუ იორკის" ბებერმა ცენტრმა პატრიკ იუინგმა ტრავმა არ მიიღოს. ამჯერად იუინგს თითქოს არაფერი აწუხებდა, რიგიანად ირჯებოდა და გუნდს ორი ეტაპის დაძლევაში დაეხმარა, მაგრამ ახლა იუინგმა ტრადიციას არ უღალატა და ტრავმა მიიღო, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს „ნიუ იორკის" შანსებს, ზედიზედ მეორედ გავიდეს პლეი ოფის ფინალში. მით უმეტეს, იუინგის გარეშე დარჩენილმა „ნიქსმა" სერიის მეორე მატჩშიც დათმო „ინდიანასთან".

მატჩი ახალი დაწყებული იყო. მეშვიდე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც ფარიდან ასხლეტილი ბურთის მოსახელთებლად ამხტარი იუინგი ცუდად დაეცა და ტერფის მყესი დაიჭიმა. მან თანაგუნდელთა დახმარებით, კოჭლობით დატოვა მოედანი და დარჩენილ დროში აღარც გამოჩენილა. ჯერჯერობით უცნობია, რამდენად სერიოზულად დაშავდა იუინგი, თუმცა, თუ მისი წინა ტრავმებით ვიმსჯელებთ, 35 წელს მიტანებულ პატრიკს მათი დროულად მოშუშება ყოველთვის უჭირდა.

მთავარი მეფარის არყოფნის მიუხედავად, „ნიუ იორკს" ფარ-ხმალი არ დაუყრია. პირიქით, სტუმრები გაორმაგებული შემართებით ეკვეთნენ მასპინძლებს. იუინგის ადგილს ხან კურტ ტომასი თამაშობდა, ხანაც მარკუს კემბი და ორივე რიგიანად ირჯებოდა. სიმაღლიანობაში „ნიქსის" სათადარიგოებმა აჯობეს „პეისერზის" სათადარიგოებს. პირველი მატჩის გმირი ოსტინ კროშერი ამჯერად ვერაფრით დაეხმარა თავისიანებს — თამაშიდან რვა სროლა გააფუჭა და ხუთივე ქულა საჯარიმოებით მიითვალა. სტუმართა შეტევებს კარგად აგვირგვინებდნენ ლარი ჯონსონი და ალან ჰიუსტონი, სტუმრებიც ხშირად იყვნენ წინ ამ საკმაოდ დაძაბულ შეხვედრაში. მეოთხე მეოთხედის დასაწყისში ხუთი ქულის სხვაობითაც იგებდნენ, მაგრამ მეოთხედის შუაწელს ტომასმა მეექვსე პერსონალური მიიღო და სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. მისი არყოფნით ისარგებლა და ფარზე მთლიანად გაბატონდა „ინდიანას" თავდამსხმელი, დეილ დევისი. ლამის ყველა აცილებული ბურთი მის ხელში ხვდებოდა. მართალია, დევისი თვითონ ვერ აგდებდა, მაგრამ თანაგუნდელთათვის პასებს არ იშურებდა და „ინდიანამ" თანდათან ჯერ შეამცირა სხვაობა, ბოლო წუთზე კი ორი ქულით წინაც გავიდა. ნიუიორკელები საბოლოოდ მაშინ გატყდნენ, როდესაც მატჩის დამთავრებამდე ოთხი წამით ადრე დევისზე დაჯარიმდნენ. მან ორივე საჯარიმო ააცილა, მაგრამ თავადვე მოხსნა ბურთი და იქვე, შორიახლოს მყოფ ჯალენ როუზს გადააწოდა. წინა დღით სეზონის ყველაზე გაუმჯობესებულ მოთამაშედ დასახელებულმა როუზმა კარიერაში პირველი ტიტულის მოპოვება ამ მატჩში ჩაგდებული 24 ქულით აღნიშნა. თამაშს წერტილიც მან დაუსვა, როცა დევისის პასის შემდეგ ფარქვეშ შემოიჭრა და „ინდიანელთა" მეორე გამარჯვება ჩატენვით დააბოლოვა.


REUTERS ინდიანაპოლისიდან

ინდიანა — ნიუ იორკი. ინდიანელმა ჯალენ როუზმა მატჩი ჩატენვით დააბოლოვა

„ვფიქრობ, გაგვიმართლა — ამბობდა თამაშის შემდგომ მასპინძელთა მწვრთნელი ლარი ბერდი— დღეს მათ ნამდვილად გვაჯობეს, მაგრამ თამაშის ბოლოს იღბალი ჩვენს მხარეს იყო. ჩემი აზრით, დღეს გამარჯვებას „ნიუ იორკი" უფრო იმსახურებდა". „ინდიანას" წარმატებაში იღბალმა მართლაც ლომის წილი დაიდო. „პეისერზი" 2:0 დაწინაურდა სერიაში და მოზრდილი ნაბიჯი გადადგა სანუკვარი ფინალისკენ, სადაც ინდიანელ „მარდებს" არასდროს უთამაშიათ.

**ირაკლი ფირაშვილი**

# დივაცი ნაკრებში თამაშს უარობს




ვლადე დივაცი

იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა სიდნეის ოლიმპიური გუნდის კანდიდატები დაასახელა. მათ შორის, იუგოსლავიის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე და „საკრამენტო კინგზის" ცენტრი ვლადე დივაციცაა. ხმა დაირხა, დივაცი ოლიმპიადაზე თამაშს უარობსო.

მოგვიანებით დივაცმა თავად განაცხადა, რომ ოლიმპიადაზე თამაში არ სურს: „ოჯახთან ყოფნა მინდა. ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სეზონის განმავლობაში ცოლ-შვილს, პრაქტიკულად, ვერ ვხედავ. სიდნეიში რომ ვითამაშო, შეკრებებზეც უნდა წავიდე. ეს კი ზაფხულში ოჯახთან ორთვიან განშორებად დამიჯდება".

დივაცს ჰკითხეს, თქვენი უარი პოლიტიკურმა მიზეზებმა ხომ არ გამოიწვიაო. კალათბურთელმა ეს ამბავი შორს დაიჭირა: „იუგოსლავიის მთავრობა და რეჟიმი აქ არაფერ შუაშია. მე ვთამაშობ ჩემი ქვეყნისა და ხალხისთვის და არა რეჟიმისთვის. იუგოსლავიის ახლანდელი მთავრობა არ მომწონს და მუდამ ვაკრიტიკებ, მაგრამ მისგან დიპლომატიური პასპორტი მაინც მივიღე. მინდა ყველამ გაიგოს, რომ მე წარმოვადგენ არა რეჟიმს, არამედ იუგოსლავიას და ჩემს მშობლიურ იუგოსლაველ ხალხს".

იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელი ჟელკო ობრადოვიჩი მშვიდად შეხვდა დივაცის უარს და გულშემატკივრებსაც სიმშვიდისკენ მოუწოდა: „ნაკრები ოლიმპიადისთვის მზადებას ივნისის პირველ რიცხვებში დაიწყებს. დივაცს ტელეფონით ვესაუბრე. რამდენიმე დღეში ბელგრადში ჩავალ, შევხვდები ვლადეს და ყველაფერს გავარკვევთ".

# დანკანის მუხლი და კონტრაქტი

წინა სეზონის ტრიუმფით მომგები გუნდის, „სან ანტონიო სფურზის" წარუმატებლობის მიზეზების ძიება შორს არ წაგვიყვანს. მთავარ და ალბათ ერთადერთ მიზეზს ტიმ დანკანი ჰქვია. დანკანს ზედ პლეი ოფის წინ ტრავმა რომ არ მიეღო, პირველ წრეში „ფინიქსთან" ასე არ წავაგებდითო, ამბობდნენ სან ანტონიოში. ჩემპიონი გუნდის ლიდერმა ჯერ კიდევ რეგულარული ჩემპიონატის დამთავრებამდე ორიოდე კვირით ადრე დაიშავა მუხლი.

სულ ათიოდე დღის წინ გაირკვა, რომ ჩემპიონები მართლაც ამაოდ ელოდნენ ლიდერს. იგი ვერანაირად ვერ ითამაშებდა ვერც ერთ წუთს, რადგან მისი მუხლის საფუძვლიანად გამოკვლევის შემდეგ დაადგინეს, რომ იგი საოპერაციოა. კლუბს ეს საქმე დიდხანს არ გაუჭიანურებია და ოთხშაბათს, 24 მაისს, დანკანმა მარცხენა მუხლის ოპერაცია გაიკეთა. „ოპერაციამ კარგად ჩაიარა. რამდენიმე დღეში იგი სიარულს დაიწყებს. მისი სარეაბილიტაციო კურსი დაახლოებით ექვს-რვა კვირას გაგრძელდება" — ამბობს ქირურგი ვილიამსი. ასე რომ, დანკანს სიდნეის ოლიმპიადის გამოტოვება არ ემუქრება, მომავალ სეზონსაც სრულ მზადყოფნაში შეხვდება.

ახლა კლუბის მწვრთნელ და გენერალურ მენეჯერ გრეგ პოპოვიჩს დანკანის ტრავმაზე უფრო მისი კონტრაქტის საკითხი აწუხებს. პირველი სეზონის წინ გაფორმებულ, ახალბედასთვის განკუთვნილ სამწლიან კონტრაქტს ამ ზაფხულში გასდის ვადა და დანკანი თავისუფალი აგენტი ხდება. „ვიმედოვნებთ, რომ იგი კვლავ დარჩება გუნდში. ტიმი ყოველთვის გამარჯვებისკენ ისწრაფვის. ჩვენთან ერთად შარშან იგი ჩემპიონი გახდა. მართალია, წლეულს ეს ვერ გავიმეორეთ, მაგრამ მომავალში კვლავ მივაღწევთ წარმატებას" — ამბობს პოპოვიჩი. რა აზრისაა თავად კალათბურთელი, ჯერ უცნობია. შესაძლოა დანკანმა ცდუნებას ვერ გაუძლოს და ნავსაყუდელი გამოცვალოს: ორი გუნდი — „ორლანდო" და „ჩიკაგო" განსაკუთრებით არიან მონდომებულები, ეს ზემძლავრი კალათბურთელი დაითრიონ და მის გადასაბირებლად არაფერს დაიშურებენ.

# ლონი ლენის ნაცვლად

„ატლანტა ჰოქსს" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს — ლონ კრიუგერი. სანამ ჯორჯიული გუნდი თავისთან მიიწვევდა, საუნივერსიტეტო კალათბურთში მოუჭრია ჭიპი. ატლანტელ „ქორთა" ახალგამომცხვარ ბაზიერს აქამდე ნბა-ში არც უთამაშია და არც ნბას რომელიმე გუნდში უმუშავია თუნდაც რიგით მწვრთნელად. შორეულ 1974 წელს „ატლანტამ" იგი დრაფტის მეცხრე რაუნდში (ახლა დრაფტში მხოლოდ ორი რაუნდია) აირჩია, მაგრამ კრიუგერი კარგი მოთამაშე ვერ გამოდგა და შემადგენლობაში ვერ მოხვდა. საუნივერსიტეტო კალათბურთში კი მისი სახელი თუ არ ქუხს, ბევრიც არაფერი უკლია. მართალია, „ქორებს" გადამდგარი ლენი ვილკენსის სანაცვლოდ მწვრთნელად ტომ იზო უფრო სურდათ, მაგრამ იგი თავის მიჩიგანის უნივერსიტეტს იოლად ვერ შეელია და ჯორჯიელებიც ისევ კრიუგერს დაყაბულდნენ. გუშინწინ მან კლუბთან ხუთწლიანი და ათმილიონიანი კონტრაქტი გააფორმა.



ლონ კრიუგერი

კრიუგერს არცთუ სახარბიელო პირობებში მოუწევს ნბა-ში დებიუტი. განვლილ რეგულარულ ჩემპიონატში „ჰოქსი" საშინლად გამოვიდა. ბოლო თხუთმეტი სეზონის განმავლობაში პირველად მოხდა, რომ ჯორჯიელები პლეი ოფში ვერ გავიდნენ. თუმცა ამას ვინ ჩივის, სეზონი 28 გამარჯვებით და 54 დამარცხებით დაასრულეს, ეს კი „ატლანტა ჰოქსის" ისტორიული ანტირეკორდია. გუნდს არა ჰყავს ლიდერი, სამაგიეროდ, ჰყავს ცუდი შემადგენლობა და ბევრი თავგასული კალათბურთელი. 47 წლის კრიუგერს თავიდან მოუწევს გუნდის აშენება. მას კანზას სიტის, ფლორიდისა და ილინოისის უნივერსიტეტებში 18 წელი უმუშავია და მკაცრ, დისციპლინის მოყვარულ კაცად იცნობენ. თუმცა არავინ იცის, გათავხედებულ შეგირდებს როგორ მოათვინიერებს.

**ივანე კობიაშვილი**

# რაღას ფიქრობს ტიხონენკო?

მოსკოვის ცსკა-ს გადამდგარი მწვრთნელის სტანისლავ ერიომინის მემკვიდრე, ამავე გუნდის კაპიტანი ვალერი ტიხონენკო კლუბის მფლობელებს შეხვდა. მიუხედავად იმისა, რომ ტიხონენკოს კანდიდატურა ყველასთვის მისაღებია და მისი დანიშვნის საკითხი, პრაქტიკულად გარკვეულია, მან ფიქრისთვის დრო ითხოვა. სანამ გადაწყვეტილებას მივიღებ, ცსკა-ს მოთამაშეებს უნდა გავესაუბროო, აღნიშნა ცსკა-ს მწვრთნელობის კანდიდატმა.

სავარაუდოდ, ტიხონენკო 28 მაისს დაინიშნება ოფიციალურად. ამ დღეს მოსკოვის ცსკა-ს დააჯილდოებენ, რომელიც მეცხრედ გახდა რუსეთის ჩემპიონი. ცსკა-ს პრეზიდენტის ალექსანდრ გომელსკის თქმით, ტიხონენკო, ფაქტობრივად, უკვე ასრულებს არმიელთა მთავარი მწვრთნელის მოვალეობას და უახლოეს მომავალში გუნდის დაკომპლექტებასაც დაიწყებს. აღსანიშნავია, რომ ტიხონენკოს მწვრთნელად დანიშვნის იდეა სწორედ გომელსკის მოუვიდა.

ვალერი ტიხონენკო 35 წლისაა. დაიბადა უზბეკეთში, კალათბურთელად კი ყაზახეთში, ალმა ათის სკა-ში ჩამოყალიბდა. ამ გუნდის გარდა მას უთამაშია მოსკოვის ცსკა-ში (1987-90, 1997-2000), ესპანურ „ფორუმში", „უნიკახაში" და „უესკაში", აგრეთვე სამარის ცსკ ვვს-ში. ამ გუნდის შემადგენლობაში ტიხონენკო ქართულ გუნდს დაუპირისპირდა: კორაჩის თასის 1994-95 წლების გათამაშებიდან ცსკ ვვს-მა თბილისის „კაქტუსი" გამოთიშა.

ტიხონენკო სეულის ოლიმპიადის ჩემპიონია (1988). მოუგია ევროპის ჩემპიონატიც (1985), მსოფლიოს ჩემპიონატებზე სამჯერ ყოფილა მეორე (1986, 1990 და 1998). ამ წარმატებებს ცსკა-ს მომავალმა მწვრთნელმა საბჭოთა კავშირის, სნგ-ს და რუსეთის ნაკრებში მიაღწია.

სწრაფად და შეღავათიან ფასებში ვასრულებთ
დიზაინერულ, საპროექტო, სამშენებლო,
სარემონტო და შენობის გამაგრებით სამუშაოებს
Tel. 96 56 67

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ინგლისი. პლეი-ოფი. ფინალი

28 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 011 | ჯილინგემი-უიგანი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

29 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 012 | ბარნსლი-იფსვიჩი | 3,0 | 2,9 | 2,2 |

იტალია. სერია "ბ". 36-ე ტური

28 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 013 | ატალანტა-ფერმანა | 1,05 | 5,6 | 10,0 |
| 014 | კოზენცა-კიევო | 1,9 | 2,2 | 5,0 |
| 015 | ემპოლი-ალძანო | 1,5 | 2,5 | 7,5 |
| 016 | ნაპოლი-ბრეშა | 2,0 | 1,7 | 4,7 |
| 017 | პესკარა-პისტოიეზე | 1,8 | 2,5 | 5,3 |
| 018 | რავენა-სალერნიტანა | 2,4 | 2,5 | 2,9 |
| 019 | სამპდორია-საეოია | 1,05 | 5,6 | 10,0 |
| 020 | ტერნანა-მონცა | 2,0 | 2,4 | 4,0 |
| 021 | ტრევიზო-ჯენოა | 2,3 | 2,4 | 3,3 |
| 022 | ვიჩენცა-ჩეზენა | 1,5 | 2,5 | 6,0 |

იტალია "ც". პლეი-ოფი

28 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 023 | ბრეშელო-პიზა | 2,6 | 2,2 | 3,3 |
| 024 | ვარეზე-ჩიტადელა | 2,0 | 2,4 | 4,0 |
| 025 | კრემონეზე-ლეკო | 1,7 | 2,7 | 5,3 |
| 026 | მონტევარკი-ლუმეცანე | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 027 | არეცო-ანკონა | 2,2 | 2,5 | 3,4 |
| 028 | ვიტერბეზე-ასკოლი | 2,2 | 2,4 | 3,6 |
| 029 | ატლეტიკო-სტაბია | 2,6 | 2,4 | 2,9 |
| 030 | გუალდო-ფანდრია | 1,9 | 2,4 | 5,0 |

ესპანეთი. II დივიზიონი. 41-ე ტური

27 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 036 | ლევანტე-კორდობა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 041 | ბადახოსი-ალბასეტე | 1,8 | 2,9 | 4,2 |

28 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 031 | მერიდა-ესტრემადურა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 032 | ტოლედო-ატლეტიკო "ბ" | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 033 | უელვა-ლეგანესი | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| 034 | სპორტინგი-ოსასუნა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 035 | ტენერიფე-კომპოსტელა | 1,9 | 3,1 | 3,0 |
| 037 | ვილიარეალი-ლას პალმასი | 1,9 | 2,7 | 4,4 |
| 038 | ელჩე-ლოგრონიესი | 1,8 | 3,1 | 3,0 |
| 039 | ეიბარი-ლეიდა | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| 040 | ხეტაფე-სალამანკა (14[30]) | 2,5 | 3,0 | 2,5 |

ჰოლანდია. გადასასვლელი ტურნირი. მე-4 ტური

28 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 042 | ემენი-გრონინგენი | 2,5 | 3,2 | 2,2 |
| 043 | მაასტრიხტი-ალმელო | 2,2 | 3,4 | 2,4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბერძნეთი. 34-ე ტური

27 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 044 | აეკ-კალამატა | 1,2 | 5,0 | 9,0 |

28 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 045 | არისი-ოფი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 046 | ტრიკალა-პაოკ | 4,0 | 2,5 | 1,8 |
| 047 | იონიკოსი-ქსანთი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 048 | კავალა-პანათინაიკოსი | 3,0 | 3,0 | 1,5 |
| 049 | ოლიმპიაკოსი-პანაჰაიკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 050 | აპოლონი-ეთნიკოსი | 2,3 | 2,5 | 3,0 |
| 051 | პანილიაკოსი-პროდეფტიკი | 1,8 | 3,2 | 2,5 |
| 052 | პანიონიოსი-ირაკლისი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

პოლონეთი. 30-ე ტური

28 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 053 | ლეხი-გროცლინი | 2,3 | 3,0 | 2,4 |
| 054 | რაძიონკოვი-პოგონი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 055 | ვიძევი-სტომილი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 056 | პლოცკი-პოლონია | 3,0 | 1,8 | 2,0 |
| 057 | ოდრა-რუხი | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| 058 | ლეგია-ვისლა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 059 | ამიცა-ლკს | 1,4 | 4,2 | 3,6 |
| 060 | ზაგლებე-გურნიკი | 1,4 | 3,5 | 7,0 |

ავსტრია. 36-ე ტური

27 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 061 | ლუსტენაუ-ზალცბურგი | 3,0 | 3,0 | 2,0 |
| 062 | გრაცერი-ბრეგენცი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 063 | ტიროლი-აუსტრია | 1,2 | 3,5 | 7,0 |
| 064 | რაპიდი-ლინცერი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 065 | რიდი-შტურმი | 4,7 | 3,3 | 1,55 |

შვეიცარია. მე-12 ტური
27 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 090 | ბაზელი-ლუცერნი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 092 | ივერდონი-გრასჰოპერი | 2,9 | 3,0 | 2,2 |

დანია. 33-ე ტური

28 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 066 | ბრიონდბიუ-ოლბორგი | | | |
| 067 | ორჰუსი-ვიბორგი | | | |
| 068 | ესბიერგი-სილკებორგი | | | |
| 069 | ჰერფიოლგე-კოპენჰაგენი | | | |
| 070 | ლიუნგბიუ-აკადემისკი | | | |
| 071 | ვაილე-ოდენსე | | | |

რუსეთი. მე-10 ტური

27 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 079 | ცსკა-როსტსელმაში | 1,55 | 3,0 | 5,0 |

შვედეთი. მე-8 ტური

28 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 080 | გიოტებორგი-ნორჩიოპინგი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 081 | ჰალმსტადი-იორებრო | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 082 | ტრელებორგი-ჰამარბი | 1,9 | 3,0 | 3,5 |

29 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 083 | ელფსბორგი-იორგრიტე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 084 | გაის-აიკ | 3,4 | 3,1 | 1,9 |
| 085 | ჰელსინგბორგი-სუნდსვალი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 30 მაისი | | | |
| 086 | ფრიოლუნდა-ჰეკენი | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| | ესპანეთი. თასის ფინალი (ვალენსიაში) | | | |
| | 27 მაისი | | | |
| 087 | ესპანიოლი-ატლეტიკო | 2,4 | 3,0 | 2,6 |
| | შოტლანდია. თასის ფინალი (ნეიტრალურზე) | | | |
| | 27 მაისი | | | |
| 088 | რეინჯერსი-აბერდინი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | შვეიცარია. თასის ფინალი (ნეიტრალურზე) | | | |
| | 28 მაისი | | | |
| 089 | ლოზანა-ციურიხი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | ევროპის ჩემპიონატი (21 წლამდე. სლოვაკეთში) | | | |
| | 27 მაისი | | | |
| 501 | ჰოლანდია-ხორვატია | 2,4 | 3,0 | 2,6 |
| 502 | სლოვაკეთი-თურქეთი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 503 | ესპანეთი-ჩეხეთი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 504 | იტალია-ინგლისი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| | 28 მაისი | | | |
| 505 | ესპანეთი-ხორვატია | | | |
| 506 | ჩეხეთი-ჰოლანდია | | | |
| 507 | იტალია-სლოვაკეთი | | | |
| 508 | ინგლისი-თურქეთი | | | |
| | ამხანაგური მატჩები | | | |
| | 27 მაისი | | | |
| 509 | ინგლისი-ბრაზილია | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 510 | ნორვეგია-სლოვაკეთი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 511 | ჰოლანდია-რუმინეთი | 1,65 | 3,0 | 5,0 |
| 512 | ხორვატია-საფრანგეთი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | კალათბურთი | | | |
| | 27 მაისი | | | |
| 802 | ნიუ იორკი-ინდიანა | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| | 28 მაისი | | | |
| 803 | პორტლენდი-ლეიკერსი | | | |
| | 29 მაისი | | | |
| 804 | ნიუ იორკი-ინდიანა | | | |
| | ჰოკეი | | | |
| | 27 მაისი | | | |
| 806 | დალასი-კოლორადო | | | |


**კროკოს ბიუროთა მისამართები:**

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში; №2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი; თემქა, მე11-ე მიკრორაიონი, პირველი კვარტალი

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.

ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ოლიმპიზმი

# ეპო: თხუთმეტი წლის მკვლელი

## WWW. ვებრძოლოთ დოპინგს. COM



ჟაკ როგი

ინფორმაციის ნაკლებობა დოპინგთან ბრძოლისას მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია. რას ემყარება ორგანიზმში აკრძალული ნივთიერებების აღმოჩენისას სპორტსმენთა თავის გასამართლებელი არგუმენტები? ცხადია, არა იმას, რომ მხილებულმა დოპინგი შეგნებულად მიიღო. პირიქით, მავანი თირკმელებს მკურნალობდა, მავანი ნაკლული ვიტამინების შევსებას ცდილობდა და ზოგმაც საუზმეზე ერთი-ორი ვაშლით მეტი შეჭამა — აი, ამგვარი მიზეზები სახელდება, როცა სპორტსმენი თავის სხეულში ტაბუდადებულ ნივთიერებათა არსებობის ახსნას ცდილობს, ხოლო ნათქვამის კონტექსტი თავისთავად ცხადია — რომ სცოდნოდა დაჭერილს, რომ ის წყეული ვაშლი ზედმეტი არ უნდა ეჭამა, არ მიირთმევდა და თვითონაც დაისვენებდა და სხვებიც. ერთი სიტყვით, დღის წესრიგში სპორტსმენთა ინფორმაციული უზრუნველყოფის საკითხი დგას და ამ მიმართულებით ნაბიჯები უკვე გადადგმულია. კანადური მანიტობას შტატში მეშვიდე წელია, მოქმედებს სპორტისა და ჯანმრთელობის ცენტრი, რომელიც აქამდე ადგილობრივ ინტერესებს აკმაყოფილებდა, ზაფხულიდან კი აპირებს, თავისი საქმე მსოფლიოს მასშტაბით განავრცოს. სულ რამდენიმე დღეში დაგეგმილია ახალი ინტერნეტ-საიტის გახსნა (ცნობისმოყვარეებს შეუძლიათ მიაკითხონ მისამართზე WWW.SUBSTANCEUSE.COM), სადაც ნებისმიერი სპორტსმენი სრულიად უსასყიდლოდ შეიტყობს ხოლმე იმ საკვები დანამატებისა და სამკურნალო ბალახების შესახებ, რომელთა მიღებაც პიროვნებას სპორტულ დამნაშავედ აქცევს. „ვინიპეგი (მანიტობას შტატის ცენტრი) ანტისადოპინგო ინფორმაციული კამპანიის მსოფლიო ცენტრი უნდა გახდეს — ოპტიმისტურად ამბობს ამ საქმეთა ერთი მმართველი, ვიქტორ ლაშანსი — მსოფლიო სულ მალე დაგვინახავს და გაგვიცნობს“. მისასალმებელი მოვლენაა, ოღონდ, ცხადია, ძაღლის კუდს ბოლომდე ვერაფრით გაასწორებ, დოპინგის შეგნებულად მომხმარებლები ყოველთვის დარჩებიან, ამიტომ მათი მხილება და დასჯაც საჭიროა. დასჯას რა უნდა, მხილების მექანიზმებია სადღეისოდ ცოტა სუსტი. ეს განსაკუთრებით სუპერდოპინგ „ეპო“-ს ეხება, რომლის ორგანიზმში აღმოჩენა მეტად ძნელია. „ეპო“ თხუთმეტიოდე წლისაა, თავის დროზე მედიცინამ თირკმლების სამკურნალოდ გამოიგონა (ზემოთაც ხომ ვთქვით) და სულ მალე იგი სპორტსმენებმა გაიშინაურეს. სხვა სიკეთეებთან ერთად „ეპო“ მკვლელის რეპუტაციითაც სარგებლობს. როგორც ეჭვობენ, რამდენიმე ველომრბოლის სიკვდილი მისი დამსახურებაა. მკითხველმა უკვე იცის, ავსტრალიელებმა „ეპო“-ს გამოჭერის მეთოდი რომ შეიმუშავეს და სულ ახლახან, ოთხშაბათს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სამედიცინო კომისიის ვიცე-თავმჯდომარე, ბელგიელი დოქტორი ჟაკ როგი აღფრთოვანებით საუბრობდა იმაზე, რომ სიდნეის ოლიმპიადისთვის მისი დანერგვა თითქმის გადაწყვეტილი ამბავია. მეორე დღეს როგმა ტონი შეცვალა. „სიდნეიში „ეპო“-ს დამჭერი მეთოდის გამოჩენის შანსი სანახევროა“ — თქვა დოქტორმა და პრობლემაც გააცხადა. სამეცნიერო საზოგადოებისგან მეთოდის დამტკიცების გაჭიანურებულ პროცედურაზეა ლაპარაკი, ურომლისოდაც მეთოდი იურიდიულად უღონოა. პროცედურა ეს-ესაა დაიწყო და ტრადიციულად ერთ წლამდე გრძელდება ხოლმე, ოლიმპიადა კი 15 სექტემბერს იწყება. როგის თქმით, დამაჩქარებელი სამუშაოები მიმდინარეობს და იქნებ ყველაფერი დადებითად გადაწყდეს.

**დავით გულუა**

ჭადრაკი

*სარაევოს XIX კატეგორიის სუპერტურნირის მე-8 ტურმა ლიდერი ვერ შეცვალა, მაგრამ მისგან ნაბიჯზე მყოფთა რიცხვი გასამაგდა. გარი კასპაროვმა აქამდე ხომ მოწინავე დუეტში დაკარგა ადგილი, ახლა ერთპიროვნული მეორეც აღარ არის. მას ალექსანდრ მოროზევიჩი და მაიკლ ადამსი წამოეწივნენ. მხოლოდ ეს სამი კაცი თუ მოახერხებს, ალექსეი შიროვს პირველობა წაჰგლიჯოს. მათსა და დანარჩენებს შორის ერთქულიანი ნაპრალია და მისი ამოვსება საეჭვოა.*

# ადამსის მარშალის გეგმა

მე-8 ტურის ცენტრალურ პარტიაში შიროვი კასპაროვს ეთამაშა თეთრებით. მათ შორის არსებულ მძაფრი დაპირისპირების მოტივებზე არაერთხელ ითქვა. ცხადია, მძიმე ბრძოლა იყო მოსალოდნელი, მაგრამ... შიროვს ერთხელაც არ უცდია ვითარების გამწვავება, პირიქით, შავებით მოთამაშე ჩემპიონმა მოისურვა ერთ მომენტში დაფაზე ცეცხლის დანთება, მაგრამ ექსრიგელის ზუსტი მანევრების შემდეგ ფიგურები პანტა-პუნტით გაიცვალა და უკვე 27-ე სვლისთვის ზედმიწევნით თანაბარი პოზიცია შეიქმნა. მშვიდობაც მაშინვე გაფორმდა, ხოლო კასპაროვის საპირველადგილო პრეტენზიები, დაიხაც რომ გახუნდა. პარალელურად ხანმოკლე, მაგრამ მძაფრი შეტაკება შედგა მოროზოვიჩისა და კირილ გეორგიევის დაფაზე. ბულგარელმა თავიდან ცოტა მიჰქარა, როცა სიცილიური დაცვის დრაკონის ვარიანტი აირჩია. ტაქტიკური მოტივებით მდიდარი ამგვარი დებიუტის შავებით თამაში და მით უმეტეს მოროზოვიჩისნაირი ცინცხალი ტვინის პატრონის წინააღმდეგ არასწორია, ამიტომ გეორგიევი დამარცხდა, თუმც შუა თამაშში მისი პოზიცია გარეგნულად მართლაც დრამატული ჩანდა: ცენტრალ... ვერტიკალებზე ... ლიყვნენ ლაზიერი, კუ, ორი ეტლი ... იმდენივე პაიკი. ამხელა ძალით შეტ... მტრისას, მაგრამ მოროზოვიჩმა დრო... ლად ივარგა, მეტოქეს ფლანგები... ერთი-ორი წაუთაქა და ბულგარელ... პოზიციაც ხუხულასავით დაიშალა. ... ე სვლაზე გეორგიევი უკვე შამათს უ... რებდა თვალებში, თუმც იქამდე სა... არ მისულა.

მნიშვნელოვანი იყო ვესელინ ტო... ლოვისა და მაიკლ ადამსის პარტი... ერთი ბულგარელი ხომ შეცდა და, ... მეორე მოიქცა მთლად სასიკეთოდ, რ... ცა ესპანური პარტია აირჩია. ამგვ... დებიუტში ადამსისთვის არსებობს მხ... ლოდ ერთი გაგრძელება, მარშალის ... რიშით წოდებული, პაიკის შეწირვი... და თეთრების მეფეზე ჟინიანი შეტ... ვით. ჰოდა, ნახა თუ არა, ტოპალოვ... ესპანურით დაიწყოო, ინგლისელს თ... ლები აუციმციმდა და წამსვე მიუგდ... მეტოქეს პაიკი ინიციატივის ფასა... ადამსმა უპირატესობა ბოლომდე ... დათმო და გაიმარჯვა კიდეც.

**დავით გულ...**

ცხენოსნობა

# პაგის მხედარი და მხედრიონი

გუშინ თბილისის კაპიტონ ნაჭყეპიას სახელობის იპოდრომზე დასრულდა საქართველოს პირადი პირველობა ცხენოსნობაში. ვითარება ერთობ უჩვეულო გახლდათ, რადგან საქართველოს დამოუკიდებლობის დღე „მხედრიონმა“ იპოდრომზე იზეიმა. „მხედრიონის“ ელიტას ჯაბა იოსელიანსა და დოდო გუგეშაშვილთან ერთად იქ მოეყარა თავი. მათ შორის იყვნენ ორგანიზაციის დაღუპული მეომრების ჭირისუფლები. სპორტსმენები საესტრადო სიმღერების თანხლებით ასპარეზობდნენ რა თქმა უნდა, სახანძროს, პოლიციისა და „ომონის“ მანქანებიც იქვე იყვნენ. ფედერაციამ ჩემპიონები პრემიებით დაასაჩუქრა. გამარჯვებულებს პრიზები „მხედრიონმაც“ ჩამოურიგა.



პაგი და მისი მხედარი გიორგი სამხარაძე წლეულსაც საუკეთესონი იყვნენ

... ჩემპიონატში იპოდრომთან არსებული „ჟოკეი-კლუბის“ მხედარმა გიორგი სამხარაძემ შთამბეჭდავად გაიმარჯვა. შარშანდელი სეზონის ტრიუმფატორმა აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული ღირსეულად დაიცვა, თუმცა ამჯერად უფრო წარმატებით გამოვიდა. მხედრებმა სამი თასი გაითამაშეს დაბრკოლებათა გადალახვაში და ყველა სამხარაძემ და მისმა „პაგიმ“ მოიგო. ამ ცხენს ღირსეული მოწინააღმდეგე არც წლეულს გამოუჩნდა. მეორე ადგილზე განათლების სკოლის მხ... დარი ირაკლი მარკოზაშვილი გავიდ... მესამეზე — ფოთელი გიორგი კოდუ...

**ირაკლი თავაძ...**

# თეიმურაზ მიქიაშვილი: ბოდიში ბავშვებს, ვინც თამაშების მიღმა დაგვრჩნენ

— დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა იმისთვის, რომ საქართველოს დელეგაცია გამოსულიყო ევროპის თამაშებზე. მასში მონაწილეობა-არმონაწილეობა აღიქმება იმის ილუსტრაციად, თუ როგორ ვუვლით ინვალიდ ბავშვებს, რამდენადაა დაცული მათი უფლებები — გვეუბნება სპეციალური ოლიმპიური კომიტეტის თვმჯდომარე თეიმურაზ მიქიაშვილი — ეს ყოველივე ყველაზე უკეთ წარმოაჩენს სახელმწიფოს იმიჯს. სამწუხაროდ, ევროპის სპეციალურ ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს 31-კაციანი დელეგაციის მონაწილეობისთვის ვერ გამოინახა 16-17 ათასი დოლარი, რაც ისევ და ისევ ჩვენი სიდუხჭირით აიხსნება, მაგრამ არამარტო ამით, არამედ გარკვეული გულცივობითაც. იყო შემთხვევები, როდესაც ზოგიერთები, ნაცვლად იმისა, რომ მხარში ამოგვდგომოდნენ, გვეუბნებოდნენ, რა მოხდა, დიდი ამბავი, თუ მონაწილეობას არ მივიღებთ. ამით ქვეყანა ხომ არ დაიქცევაო და ასე შემდეგ. მართალია, არ მონაწილეობით, ქვეყანა არ დაინგრევა, მაგრამ ამას ეწირება ქვეყნის სახელი, მისი ავტორიტეტი. არ მონაწილეობის შემთხვევაში არასრულფასოვანი ქვეყნის რეპუტაციას დავიმკვიდრებთ. არც არავინ დაგვიჯერებს, რომ ინვალიდ ბავშვთა რეაბილიტაციაზე ვზრუნავთ.

**— ბოლოს ვინ გამოგიწოდათ დახმარების ხელი?**

— მადლობა ღმერთს, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც გვერდში გვიდგანან და გულთან ახლოს მიაქვთ ჩვენი პრობლემები. ამასთან დაკავშირებით მსურს აღვნიშნო, სპეციალური ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელის არჩილ კ...ლიას დამსახურება, რომელმაც თავისი ინიცი...ტივით სოროსის ფონდში შეიტანა განაცხადი, რას... გრანტის სახით მივველო გასამგზავრებლად საჭირო თანხა.

*სპეციალური ოლიმპიური თამაშები, მოგეხსენებათ, ინტელექტდაქვეითებული თუ სხვა ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვებისა და მოზარდებისთვის ტარდება. საქართველოს წარმომადგენლები ზაფხულის სპეციალურ ოლიმპიურ თამაშებში ორჯერ მონაწილეობდნენ და საკმაოდ მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიეს. ახლა კი სამიოდე დღის მერე ევროპის ანალოგიურ თამაშებში ისინი პირველად ჩაებმებიან. თუმცა, მას პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ ევროპის თამაშები, რადგან გრონინგენში (ჰოლანდია) აზიის რამდენიმე სახელმწიფოს გუნდებიც გამოვლენ.*



თეიმურაზ მიქიაშვილი

აღსანიშნავია, რომ სოროსი სამგზავროდ გრანტებს არ იძლევა, მეტადრე სპორტისთვის, მაგრამ არჩილის ძალისხმევითა და მონდომებით ეს შესაძლებელი გახდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ფონდი გაგებით მოეკიდა ჩვენს ორგანიზაციას, სპეციალურ ოლიმპიურ პროგრამას და საერთოდ არსებულ პრობლემებს და ჩოგბურთელებისთვის ეკატერინე და გიორგი ვეფხვაძეების მონაწილეობისთვის გრანტიც გამოყო.

**— ჩოგბურთის გარდა გრონინგენში სპორტის რომელ სახეობებში გამოვალთ?**

— დიდი სურვილი გვქონდა სპორტის სხვადასხვა სახეობებში მიგველო მონაწილეობა, მაგრამ თანხების არ არსებობის გამო მათზე უარი ვთქვით, თუმცა ევროპის თამაშებზე მინი ფეხბურთელები მაინც იასპარეზებენ. ესენი არიან ჯურხა არაბული, ჯონდარ მამულაშვილი, დავით მჭედლიშვილი, ილია ბებია და გოჩა ბრეგვაძე. გრონინგენში მათი ასპარეზობა შესაძლებელი გახდა თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ძალისხმევით, რომელმაც ჩვენს ბავშვებს 2500 დოლარი გამოუგზავნა, რასაც ცოტაოდენი ჩვენი სახსრებიდანაც დავამატეთ.

**— კი მაგრამ, ხუთკაციანი გუნდიც არსებობს?**

— რა თქმა უნდა არა, მაგრამ ეს თანხა საკმარისი არ არის იმისთვის, რომ სათადარიგო ფეხბურთელებიც წავიყვანოთ, ამის გამო ჩვენს ბიჭებს მთელი მატჩების განმავლობაში შეუცვლელად თამაში მოუწევთ. გარდა ამისა, გუნდს თავისი ხარჯებით გაყვება მწვრთნელ რევაზ რევაზიშვილი.

გვეგონა, რომ წლეულს ასეთი ფინანსური პრობლემები არ გვექნებოდა, მით უმეტეს, რომ კონტინენტი მასპინძლობს ოლიმპიურ თამაშებს, რაც ამერიკასთან შედარებით ბევრად იაფი ჯდება. ვგულისხმობ მგზავრობასთან დაკავშირებულ ხარჯებს. გეხსომებათ, შარშანაც ანალოგიურ სიტუაციაში, როდესაც ჩვენი ამერიკაში გამგზავრება ბოლო მომენტამდე გაურკვეველი იყო. იგივე განმეორდა ახლაც. ამიტომ, საფრანგეთის საკონსულოს ვიზის მისაღებად ამ რამდენიმე დღის წინათ მივმართეთ მაშინ, როდესაც ამის შესახებ 5 მაისს უნდა გვეცნობებინა. მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო მაშინ გაურკვეველ სიტუაციაში ვიყავით. მიუხედავად ამის... საკონსულომ ყველანაირი დახმარება აღმოგვიჩინ... და ვიზები უმოკლეს ვადაში მოგვცა, რაზეც მად... ლობის მეტი რა გვეთქმის.

**— კიდევ ვინ დაგეხმარათ?**

— მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხ... დო ჯეოსელს ფინანსური დახმარებისთვის. მის... მეშვეობით შესაძლებელი გახდა ბავშვების ეკიპ... რება, მეგაკომს, რომელმაც უზრუნველყო სატელ... ფონო კავშირი, ალდაგს დელეგაციის უსასყიდლო... დაზღვევისთვის, სპორტის აკადემიას, ლეილა მე... სხის საჩოგბურთო აკადემიას, რომელიც ჩვენს ბა... ვშვებს კორტებს უთმობს სავარჯიშოდ, სპეცია... ლური სკოლებისა და სკოლა ინტერნატების სამ... მართველოს უფროს გურამ ჭუმბურიძეს, რომლის... დიდი დამსახურებაა მზადების პროცესში ხელშე... ყობა, რესპუბლიკის ოვირის ხელმძღვანელობას, რო... მლებმაც 12 პასპორტი უფასოდ გასცა. ეს ის ხალ... ხია, რომლებმაც ზემოდან ყოველგვარი ზარის გა... რეშე, უანგაროდ ხელი გამოგვიწოდეს.

გარდა ამისა, მსურს მადლობა გადავუხად... ჩვენი ჩოგბურთელის ირაკლი ლაბაძის მამას, ბა... ტონ გივის, რომელიც შეძლებისდაგვარად დაეხ... მარა ჩვენს ჩოგბურთელებს. ულრმესი მადლობა... საქართველოს ეოკ-ის პრეზიდენტს ჯანო ბაგრა... ტიონს და გენერალურ მდივანს ემზარ ზენაი... შვილს, რომლებმაც შარშან ამერიკიდან დაბრუ... ნების შემდეგ ჩვენს ჩემპიონებსა და პრიზიო... რებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს და ფუ... ლადი პრემიებიც გადასცეს.

ეს ის ხალხია, ვინც ბუნებისაგან დაჩაგრული... ზრუნვას არ აკლებენ.

უნდა ითქვას, რომ ამ ბავშვებს ყველაზე მე... ტად სითბო და თანადგომა სჭირდებათ. ბოდიში... მინდა მოვუხადო ყველა იმ ბავშვს, რომლებიც... ევროპის სპეციალური ოლიმპიური თამაშებისთვის... ემზადებოდნენ და დღეს შეჯიბრების მიღმა რჩე... ბიან მაშინ, როდესაც ამგვარი თამაშები მათ რე... აბილიტაციას ემსახურება, ჩვენ კი მათ ამის სა... შუალებას ვერ ვაძლევთ, არადა ხელისუფლე... ბამ ყველანაირი დახმარება აღგვითქვა, მაგრამ...

**გიგა გურასაშვილი**

ავტორის ფოტო



ივან გოტი

*ივან გოტის ბოლო სამ წელიწადში ორჯერ მოუგია „ჯირო“ და ახლაც გამარჯვების დიდი იმედი აქვს. თუმც მისი წარმატებები ორჯერვე მთავარი მეტოქის, მარკო პანტანის უიღბლობებს დაემთხვა. 1997 წელს „მეკობრე“ ველოსიპედიდან ჩამოვარდა და ტურნირსაც გამოეთიშა, შარშან კი ის დოპინგის მსხვერპლი გახდა. „ივანი ძალიან სტაბილური მრბოლია. ამასთანავე „ჯიროს“ მშვენივრად იცნობს. ასე რომ, გამარჯვების უპირველესი კანდიდატია“ — ამბობს ლომბარდიის პატარა ქალაქ სან პელეგრინოში დაბადებულ გოტიზე მისი გუნდის სპორტული დირექტორი ჯანლუიჯი სტანგა. მონაკოში მცხოვრები „პოლტის“ ლიდერი მოსაგებად უჩვეულოდ ემზადება. ყოველ საღამოს საგანგებოდ მისთვის მოწყობილ კარავში შედის, სადაც ჰაერში ჟანგბადის შემცველობა შემცირებულია, ისევე როგორც მთებში. ასე გოტი მთის ეტაპებისთვის ემზადება*

# კარვის კაცი

— მშვენივრად ვისვენებ და ძალე-
ს აღდგენაშიც ძალიან მეხმარება —
ნუცხადა იტალიურ გაზეთ „კორიე-
დელა სერას“ გოტიმ.

**— როგორი იყო პირველი მთის ეტაპი ორშაბათს?**

— შეიძლება უცნაურად მოგეჩვე-
თ, მაგრამ წინა ეტაპი უფრო მაში-
ბდა. კორინალდოსა და პრატოს შო-
ს აპენინების უღელტეხილი უნდა
ვვეძლია. გზა ძალიან, ძალიან გრძე-
იყო, სიძნელეებიც მრავლად. კი-
ვ კარგი, ვინმე ფავორიტთაგანმა არ
ასწრო, თორემ შეიძლებოდა, მოგე-
ს შანსი დამეკარგა კიდეც.

**— აბეტონის ეტაპი?**

— ორშაბათს საკმაოდ მოკლე მან-
ლი გვქონდა გასავლელი. მთავარი
, სან პელეგრინო ინ ალპესა აბე-
ონის ალმართებზე გევაჟკაცა. თუ აქ
ჩამორჩებოდი, საერთო ჩათვლაში
რგ ადგილს შეინარჩუნებდი.

**— როგორ ფიქრობთ, პანტანი მართებში კარგად დადის?**

— ის აქ თითქოს „ტურის“ მოსამ-
დებლად მოვიდა, მაგრამ გამარჯვე-
ბაზეც არ იტყოდა უარს. გუნდიც ძლი-
ერ ეხმარება, მაგრამ უკვე აშკარად
გამოჩნდა, რომ ჩვეულ ფორმაში არ
არის.

**— კიდევ აქვს „ჯიროს“ მოგების შანსი?**

— რა თქმა უნდა, არა. მით უმეტეს, რომ ინდივიდუალურ რბოლაში ექვს წუთზე მეტი წააგო და, ფაქტობრივად, ამ ჩამორჩენის დაძლევას ველარ შეძლებს. თანაც კიდევ ერთი ასეთი ეტაპიცაა დარჩენილი. მან თუ „ჯირო“ მოიგო, ეს ფანტასტიკა იქნება.

**— სხვა მრბოლთაგან ვის ანიჭებთ უპირატესობას?**

— ბევრს შეუძლია მოგება, მაგრამ ფავორიტებს შორის პირველ ადგილზე რუს პაველ ტონკოვს დავაყენებდი. მის შემდეგ ფრანჩესკო კასაგრანდე მოდის. მერე კი მე, დანილო დი ლუკა, ვლადიმერ ბელი. თავიდან პაოლო სავოლდელისაც ფავორიტად ვთვლიდი, მაგრამ იგი ახლა უკვე ძალიან ჩამორჩა.

**— შეტევაზე გადასვლას როდის აპირებთ?**

— უახლოეს დღეებში იერიშებზე არც ვფიქრობ. თანაც ძალიან კარგად იცით, რომ არასოდეს შემიძლია პანტანივით ლამაზად მოვიგო რომელიმე ეტაპი. ამის გაკეთებას მარკოს გარდა ვერავინ შეძლებს.

**— მაინც ხომ უტევთ ხოლმე...**

— კი, ასეთი დღეებიც მახსოვს — 1997 წლის „ჯიროზე“, სერვინას ეტაპზე, როცა ვარდისფერი მაისურა მოვიპოვე. შარშანაც, მორტიროლოში შევუტიე. თუმცა ვიმეორებ, რომ შემტევი მრბოლი ნამდვილად არ ვარ.

**— აბა, რა თვისებების ხარჯზე იგებთ?**

— ჩემი ძლიერი მხარე სტაბილურობაა. ყოველთვის კარგად ვანაწილებ ძალებს მთელი ტურნირის მანძილზე. ეს მშვენივრად ჩანს ხოლმე დიდი შეჯიბრებების მესამე, დასკვნით კვირაში, როცა თითქმის ყველა სხვა მრბოლს დაღლა ეტყობა. სწორედ მაშინ გადაწყდება „ჯიროს“ ბედიც. მაგალითად, ბოლოსწინა ეტაპზე, როცა სესტრიერში ინდივიდუალური რბოლა მოეწყობა.

**თარგმნა ბაბი ბურულმა**

# უბრალოდ მამა
## ანდერლეხტიდან პელოტონში

მს ასოთხმოცდათერთმეტ სანტიმე-
რიანი სიმაღლის კაცი პელოტონის
ნარჩენი წევრების უმეტესობას ზე-
დან გადაჰყურებს. აქსელ მერქსი პრო-
ესიონალი მრბოლი შვიდი წლის წინ
ხდა და უმძიმესი მემკვიდრეობის მი-
ედავად, თავის საქმეს ჩინებულად
თმევს თავს. უმძიმესიო, იმიტომ ვა-
ობთ, რომ მართლაც ძნელია, მამის
ოფესია აირჩიო და გარკვეულ წარ-
ტებებსაც მიაღწიო მაშინ, როცა მა-
ველოსპორტის ისტორიაში უდიდე-
იყო. აქსელი „ჯიროსა“ და „ტურ
ფრანსის“ ხუთ-ხუთგზის გამარჯ-
ბულის, ედი მერქსის ერთადერთი ვა-
ა.

აქსელი ცხოვრების ამ გზას თავის
ბით გაჰყვა. ალბათ, მამამისის კარი-
ამაც იმოქმედა მის გადაწყვეტილე-
ზე, მაგრამ ედი მერქსს ნამდვილად
ურჩევია შვილისთვის მრბოლობა.
სელი თხუთმეტი წლისა იყო, როცა
წერილი დატოვა, რომელშიც მშობ-
ებს ამცნობდა, ფეხბურთს თავი და-
ნებეო. მას დიდ მომავალს უწინას-
რმეტყველებდნენ და ბელგიური გრა-
ის, „ანდერლეხტის“ ხელმძღვანელო-
ახალგაზრდა ტალანტის დაკარგვამ
ტად დაამწუხრა. მაგრამ აქსელს წი-
უკვე ნაყარი ჰქონდა და ველოს-
რტში ყველა დროის უპრესტიჟუ-
ესი გვარი დაბრუნდა. რბოლებში
ლავ მიიღებდა მონაწილეობას მერქსი!
თავიდან უმცროს მერქსს ძალიან გა-
ჭირდა, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაყარა
ჯიუტად განაგრძო ვარჯიში. ყვე-
აზე მეტად მეტოქეების რეპლიკა —
ერქსი დავამარცხე“ — აღიზიანებდა.
ელი იყო სახელოვანი მამის ჩრდი-
ში ყოფნა, თუმცა აქსელი ძალ-ღონეს
იშურებდა მზის ქვეშ საკუთარი ად-
ლის დასამკვიდრებლად. იგი თავდა-
ზოგავად ვარჯიშობდა, რათა ფიზი-
ურად მოღონიერებულიყო და 1993
ლის 4 სექტემბერს, როცა პატარა ბელ-
იურ რბოლაში პირველად გამოვიდა,
როგორც პროფესიონალი, უკვე საკმა-
ოდ ძლიერი იყო. 21 წლის მერქსის
როფესიულ დებიუტს ბელგიურ პრე-



აქსელ მერქსი

საში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ეს იმის დასტური იყო, რომ მიუხედავად კარიერაში მიღწეული წარმატებებისა, იგი მაინც სხვებისგან გამორჩეული ველომრბოლი იქნებოდა.

და რა წარმატებებს ითვლიდა აქსელ მერქსი წლევანდელი „ჯიროს“ მერვე ეტაპის მოგებამდე? ყურადღების ღირსი შედეგები მხოლოდ 1996 წლიდან გამოჩნდა. შვეიცარიულ ლუგანოში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხე ადგილი, „ლომბარდიის ტურში“ მესამე, ლიეჟი — ბასტონი-ლიეჟში ფინიშის ხაზზე მეშვიდეობა. იმავე წელს იტალიაში, საშუალო მნიშვნელობის რბოლის „სანსონის დიდი პრიზის“ მოგება...

„მამაჩემი განუმეორებელი ჩემპიონი იყო. მე ვერასოდეს მივაღწევ მის დონეს, თუმცა ველოსპორტის სიყვარულსა და ამ საქმისადმი თავდადებაში ნამდვილად არ ჩამოვრჩები“ — ამბობს უმცროსი მერქსი.

კარიერის განმავლობაში მან რამდენიმე გუნდი გამოიცვალა, თუმცა ჯერჯერობით კიდევ ვერ გახდა გუნდის ლიდერი და ნამდვილი, სამაგიეროდ, მისნაირი გრეგარის დახმარებაზე ყველა ძლიერი მრბოლი სიამოვნებით დათანხმდებოდა.

ამჟამად აქსელი მონტეკარლოში ცხოვრობს თავის კანადელ მეუღლე ჯოდისთან ერთად. „მამაჩემს ძალიან დიდი სახელი აქვს და მას ბევრი იყენებს, მათ შორის გარკვეულწილად მეც. თუმცა ის, უპირველეს ყოვლისა, ჩემთვის მამაა და მხოლოდ მერეა უდიდესი ველომრბოლი. ახლა, მისგან შორს ვცხოვრობ, მაგრამ როცა რჩევა მჭირდება, ყოველთვის მივმართავ“ — წერს მამისადმი მიძღვნილ წიგნში აქსელ მერქსი.

ედიც მუდმივად თავისი ვაჟის გვერდითაა. „ჯიროს“ მერვე ეტაპის მოგების შემდეგაც პოდიუმზე აქსელი ყველა დროის საუკეთესო მრბოლს ჩაჰხუტებოდა აცრემლებული. ოღონდ მისთვის ის უბრალოდ მამა იყო.

**ბაბი ბურული**



# PLAY OFF

## ნახევარფინალი



REUTERS

კოლორადოელმა ჯონ კლიმმა (24) დალასელი კირკ მიულერი ბორტს მიაჭყლიტა

# რეი ბურკს სტენლი ესიზმრება

25 მაისი

დასავლეთი

**კოლორადო — დალასი 3:3**

**კოლორადო — დალასი 2:1**

**0:0 1:1 1:0**

**1:0 ბურკი 24'30 (1); 1:1 ჰალი 32'27 (9); 2:1 დრური 56'09 (4)**

ჰოკეის ნებისმიერი ქომაგი უეჭველად კმაყოფილი უნდა იყოს იმით, თუ როგორ მიმდინარეობს სტენლის თასის გადამწყვეტი ბატალიები. კონფერენციის ფინალებში მართლაც რომ ლიგის უძლიერესი ოთხი გუნდი მოხვდა და მათმა ორთაბრძოლამ ნამვილად დაამშვენა პლეი ოფი. და ახლა, როცა კოლორადო მეექვსე თამაშში გავარდნას გადაურჩა, გამორჩეული რამ მოხდა — მეორედ ლიგის 83-წლიან ისტორიაში (პირველად — 1964 წელს) ორივე ნახევარფინალი შვიდი შეხვედრისგან შედგება!

„ამ სერიას ეყოლება გამარჯვებული, მაგრამ იგი არ იქნება უძლიერესი“ — სამართლიანად აღნიშნა დალასი — კოლორადოს მეექვსე მატჩის კომენტატორმა. მართლაც, სრულიად გაუგებარია, ასეთ თანაბარ ბრძოლაში როგორ აჯობა კოლორადომ მეტოქეს. განსაკუთრებით საინტერესო მეორე პერიოდი გამოდგა, რომელშიც მეტოქეებმა გოლები გაცვალეს და უამრავი მომენტი შექმნეს. იქნებ მასპინძელთა გამარჯვება მათმა ფხიზელმა, ფაქიზმა და კორექტულმა თამაშმაც განაპირობა. ფაქტობრივად, „ეველანშმა“ მხოლოდ ერთხელ გამოავლინა აგრესიულობა და ეს ძვირად დაუჯდა. მეორე მესამედის შუაგულში, უმცირესობაში ყოფნისას ადამ ფუტი დალასელთა ლიდერ მაიკ მოდანოს უდიერად მოექცა და თავისი გუნდი კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა. 83 წამის განმავლობაში სამი კოლორადოელის წინააღმდეგ მოთამაშე დალასელები რიცხვმრავლობაში ჩინებულად გაისარჯნენ და საბოლოოდ ბრეტ ჰალმა სერგეი ზუბოვის უზუსტესი პასის შემდეგ ანგარიში გაათანაბრა. თუმცა ეს ერთადერთი ეპიზოდი იყო, როცა მასპინძლები ემოციებს აჰყვნენ. მთლიანობაში მათ ძალიან საიმედოდ ჩაატარეს შეხვედრა. მეტიც, მცველები ისე ზედმიწევნით ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, რომ შეტევებში თითქმის არ ერთვებოდნენ, ამიტომ სამი ფორვარდის ამარა მყოფი „ეველანში“ ვერ ხეირობდა და ერთი პირობა ისეთი შთაბეჭდილებაც შეიქმნა, რომ დალასის „რკინის მანქანას“ ვერ დაშლიდა და მაინც, მასპინძლებს დროდადრო ეძლეოდათ სახიფათო იერიშების წარმართვის საშუალება და, თუ აშკარა საგოლე მომენტების რაოდენობით ვიმსჯელებთ, უდავო უპირატესობა ჰქონდათ. ხოლო იმას, რომ ეს ყველაფერი მოგებად იქცა, კოლორადო ლიგის ერთ-ერთ უხუცეს მოთამაშეს, უკვე ლეგენდად ქცეულ რეი ბურკს უნდა უმადლოდეს. სახელოვანი მცველი, რომელმაც 20 წელი უერთგულა ბოსტონს, კოლორადოში ერთი მიზნით მივიდა — კარიერა სტენლის თასის მოპოვებით დაესრულებინა. სწორედ ბურკმა იხსნა თავისიანები და მოახერხა ის, რაც ჯო საკიკმა, მილან ჰეიდუკმა და მისმა პარტნიორებმა ერთად ვერ გააკეთეს. 25-ე წუთზე დალასი, პირველად მატჩში, მეტოქის ზონაში ჩარჩა და მასპინძლებმა შეტევაში შექმნილი რიცხობრივი უპირატესობა ჩინებულად გამოიყენეს. საკიკმა ბურკი დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა და ვეტერანმაც შაიბა ცხრიანში გაიტანა, ხოლო მესამე პერიოდის მიწურულს, როცა საქმე თითქოსდა ოვერტაიმისკენ მიდიოდა, ბურკის დარტყმულს კრის დრურიმ მიმართულება შეუცვალა და თავისიანები დააწინაურა. დარჩენილ წუთებში დალასი გამუდმებით უტევდა, მეკარე მეექვსე მოთამაშითაც შეცვალა, მაგრამ კოლორადოს დაცვამ ამჯერად უშეცდომოდ და აუღელვებლად მოთამაშე პატრიკ რუას თავკაცობით მეტოქეს გათანაბრების საშუალება არ მისცა. „დღეს ძალიან კარგად ვითამაშეთ. რაც უფრო დიდხანს გრძელდება სერია, ბრძოლის ჟინი მით უფრო გვემატება“ — დამარცხებული დალასის თავკაცის, კენ ჰიჩკოკის სიტყვები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ რაოდენ დაძაბული და უშეღავათოა ამ სერიაში ბრძოლა.

ბოლოს დავძენთ, რომ ჰალის გოლი მისთვის პლეი ოფში 86-ე გამოდგა, რის წყალობითაც „ოქროს ბრეტი“ ლიგის მეხუთე ბომბარდირი გახდა, ლეგენდარულ მაიკ ბოსს გაუსწრო და ახლა მხოლოდ 80-იანი წლების ედმონტონის დიდ ოთხეულს ჩამორჩება.

**სამველ ლარიბიანი**



სერ ალექს ფერგიუსონი



კატარინა ვიტს მხარი ტომას გოტშალკმა დაუმშვენა

| გერმანია |
|---|
| მეორე ბუნდესლიგა |
| XXXIV ტური |
| მაინცი 2:0 ვალდჰოფი |
| ნიურნბერგი 2:1 გლადბახი |
| ქემნიცი 1:0 ბერლინი |
| კოტბუსი 2:0 კიოლნი |
| ჰანოვერი 3:3 ბოხუმი |
| ფორტუნა 4:1 ოფენბახი |
| კარლსრუე 1:1 ქიქერსი |
| ალემანია 2:2 ფიურტი |
| ზტ. პაული 1:1 ობერჰაუზენი |

| ინგლისი |
|---|
| პლეი ოფი |
| დარლინგტონი 0:1 პიტერბრო |

| შვეიცარია |
|---|
| XII ტური |
| სენტ გალენი 0:0 სერვეტი |



ბორის ბეკერი მონტე კარლოს მეუღლე ბარბარასთან ერთად ეწვია

# პირველად მონტე კარლოში

ᲐᲘ, სპორტშიაც დაიწყო. სხვანაირად კი, თუ ჰოლივუდს „ოსკარი" აქვს, ახლა სპორტსაც ექნება თავისი ყოველწლიური ჯილდოები — „ლორესის" თასები. 25 მაისს მთელმა განთქმულმა სპორტულმა ხალხმა მონაკოში მოიყარა თავი. მონტე-კარლოს სპორტულ კლუბში წლის ლაურეატებს აჯილდოებდნენ. სტუმრიანობა ფრიადი იყო, ძველი და ახალი დროის სპორტსმენები და მსახიობები დიდი ხორხოცით ეგებებოდნენ ყოველ ახალ სტუმარს, ამათ შორის კი იყვნენ: სპრინტერი მერიონ ჯონსი და მისი მსუქანა ქმარი სი ჯეი ჰანტერი, ბორის ბეკერი და მისი ცოლი ბარბარა, განთქმული მოციგურავე კატარინა ვიტი და მისი ამხანაგი ტომას გოტშალკი, დები სერენა და ვინუს უილიამსები, სქოთურად მორთული ფორმულელი დევიდ კულჰარდი, განთქმული იტალიელი სამთომოთხილამურე ალბერტო ტომბა და ათასი სხვა.

აჯილდოებდნენ პოლიტიკოსები და მსახიობები. თვით ნელსონ მანდელაც კი.

ნომინაციათა მიხედვით ლაურეატები შეიქნენ:

*წლის კაცი — ამერიკელი მეგოლფე ტაიგერ ვუდსი.*

*წლის ქალი — ამერიკელი მძლეოსანი მერიონ ჯონსი.*

*წლის გუნდი — „მანჩესტერ იუნაიტედი", რომლის მენეჯერმა ალექს ფერგიუსონმაც, რაიან გიგზთან და რონი იონსენთან ერთად ჩაიბარა ჯილდო.*

*წლის ახალბედა — ესპანელი მეგოლფე სერხიო გარსია.*

*წლის დაბრუნება — ამერიკელი ველომრბოლი ლენს არმსტრონგი.*

*წლის მძლეოსანი უუნაროთა შორის — ინვალიდის ეტლით მრბოლი, ავსტრალიელი ლუის სუვიჯი.*

*წლის ალტერნატივა — ამერიკელი შოსენ პალმერი, რომელიც მრავალ საჩეობაში ცდის ბედს.*

კარიერისთვის საუკუნო ჯილდო დაიმსახურა პელემ. თუმცა, ფეხბურთის მეფე რომში იყო ახლოაღმოსავლეთში მშვიდობის დარეგულირებისადმი მიძღვნილ საფეხბურთო მატჩზე, სადაც იასერ არაფატსა და შონ კონერის ებაასებოდა და მონაკოში ვერ ჩამოასწრო. მის ღირსებებზე ნელსონ მანდელამ იბაასა. გამარჯვებულნი დაასახელა მსოფლიო სპორტის აკადემიამ, რომელსაც ხელთ ჰქონდა ჟურნალისტთაგან შედგენილი ორასკაციანი სია.



ფერი ფერს და... მერიონ ჯონსი და სი ჯეი ჰანტერი



იელოვას დები: სერენა და ვინუს უილიამსები



ლა ბომბა: ალბერტო ტომბა



აი, შოტლანდიელი: დევიდ კულჰარდი


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კეღელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge